საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლელო

ყაზბეგი

№132
(12 202)

7 ივნისი ხუთშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან

ფასი
50 თეთრი

# მაქსიმუმი

## ამ შემადგენლობითა და ასეთი თამაშით



პაატა
თოთაძე
ოსერიდან

### კლაუს ტოპმიოლერი

საფრანგეთი ძალიან ძლიერი გუნდია, როგორც ფიზიკურად, ასევე ტაქტიკურად. ეს თამაში მათ უნდა მოეგოთ და მოიგეს კიდეც. პირველი ტაიმის შემდეგ ძალიან გაბრაზებული ვიყავი. განსაკუთრებული პრობლემები შეგვექმნა რუსეთსა და უკრაინაში მოთამაშე ფეხბურთელების გამო, რადგან ისინი ვერ არიან სათანადოდ მომზადებულები, როგორც ტაქტიკურად, ისე ფიზიკურად. ფეხბურთელებს ვერანაირად ვერ მოვუხსენი შიში, არადა, საამისოდ ცდა არ დაგვიკლია. ვარწმუნებდი მათ, რომ მეტი შეუძლიათ, მაგრამ არ გამოვიდა. მე რომ შემძლებოდა მოედანზე გასვლა, გავიდოდი და ვითამაშებდი... სამწუხაროდ, არ შემეძლო... კარგი მომენტი ჰქონდა მარცვალაძეს, მაგრამ გამოჩნდა, რომ მას სათამაშო პრაქტიკა აკლდა და ამიტომაც ვერ გამოიყენა ეს მომენტი...

### რაიმონ დომენეკი

მეტად მძიმე მატჩი იყო ფიზიკური თვალსაზრისით. ეს ყველამ ნახეთ, განსაკუთრებით, მეორე ტაიმში. მიუხედავად იმისა, რომ ორი ფორვარდი გვყავდა, ამანაც არ გვიშველა, ძალიან გაგვიჭირდა. მაგრამ მე ვამაყობ ჩემი ფეხბურთელებით...

მატჩის მიმოხილვა 2

### კახა კალაძე

**მიმაჩნია, რომ საქართველოს ნაკრებში მწვრთნელის პრობლემა არ არის, მოთამაშეების პრობლემაა...**




პაატა თოთაძის ფოტოები






www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. B ჯგუფი

**საფრანგეთი-საქართველო**

**1:0**

06.06.07 ოსერი. აბე დეშამი
15 000 მაყურებელი

1:0 ნასრი (33. რიბერის პასით)

საფრანგეთი: ლანდრო, აბიდალი, კლერი, გალასი, ტურამი, მაკელელე, მალუდა (62. სისე), ნასრი, ტულალანი, ანელკა (89. ბენზემა), რიბერი (90. გოვუ).

*სათადარიგოები:* ფრეი, ესკუდე, დიარა.

საქართველო: ლომაია, ელიავა (59. მარცვალაძე), ლვინიანიძე, კალაძე, ხიზანეიშვილი, ხიზანიშვილი, სალუქვაძე (12. მუჯირი), კანკავა (86. შაშიაშვილი), კვირკველია, ბურდული, იაშვილი.

*სათადარიგოები:* ჭანტურია, ონიანი.

გაფრთხილება: ხიზანიშვილი (25), კანკავა (53)

არბიტრი: ლუსილიუ ბატიშტა (პორტუგალია)

| სტატისტიკა | | |
|---|---|---|
| 11 (8) | დარტყმა | 2 (0) |
| 12 | ჯარიმა | 11 |
| 7 | კუთხური | 1 |
| 2 | თამაშგარე | 0 |
| 53% | ბურთის ფლობა | 47% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საფრანგეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 15-2 | 18 |
| 2. იტალია | 7 | 5 | 1 | 1 | 13-6 | 16 |
| 3. შოტლანდია | 6 | 5 | 0 | 1 | 13-6 | 15 |
| 4. უკრაინა | 6 | 4 | 0 | 2 | 8-6 | 12 |
| 5. ლიტვა | 7 | 2 | 1 | 4 | 4-7 | 7 |
| 6. საქართველო | 8 | 2 | 0 | 6 | 13-14 | 6 |
| 7. ფარერები | 7 | 0 | 0 | 7 | 2-27 | 0 |

**მომდევნო ტური**

8 სექტემბერი:

საქართველო-უკრაინა

შოტლანდია-ლიტვა

იტალია-საფრანგეთი

# მაქსიმუმი






პაატა თოთაძის ფოტოები

საფრანგეთმა პროვინციაში უმასპინძლა პროვინციულ ნაკრებს. საქართველო საფეხბურთო პერიფერიაა, რომლის ეროვნული გუნდი ისედაც დიდი ვერაფერი ხვითოა, გუშინ კი ბევრი საკვანძო ფეხბურთელის გარეშე ოსერში გიგანტს ებრძოდა.

საქართველომ ამ შესარჩევში მეექვსე მატჩი წააგო. **კლაუს ტოპმიოლერს** თავისი მოეკითხება, მაგრამ თუ რა ადამიანური რესურსი გააჩნია დღეს ქართულ ფეხბურთს, ეს გუშინ ძალიან კარგად გამოჩნდა. ზოგიერთი ფეხბურთელი იმ პროდუქტის ნახევარფაბრიკატიც არ არის, სანაკრებო რეალიზაციისთვის რომ გამოდგეს.

ტოპმიოლერის მშობლიურ გერმანიაში, როცა **ერიხ რიბეკის** მწვრთნელობისას ნაციონალმანშაფტი ევრო 2000-ზე ჩაფლავდა, "ბილდმა" პირველ გვერდზე ცარიელი ბოთლები დახატა, რომლებშიც მწვრთნელ-ფეხბურთელები გამოამწყვდია. კომპიუტერული გრაფიკით შექმნილ კარიკატურას კი წააწერა, თქვენ ისეთი ცარიელი ბოთლები ხართ, ტარაშიც რომ არავინ ჩაიბარებსო.

გუშინ საქართველოს ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელში ასეთი სიცარიელე დავინახეთ. ეს იყო გუშინ და შესაძლოა, ასე აღარ იყოს ხვალ, თუ, რა თქმა უნდა, ისინი საქართველოსთან შედარებით მდიდარ, თუმცა მაინც პერიფერიულ საფეხბურთო ლიგებს თავს დააღწევენ.

საფრანგეთთან 0:1 წაგება ერთი ჩვეულებრივი ამბავია, მით უმეტეს ჩვენთვის წაგებას ნიადაგ ნაჩვევი საზოგადოებისთვის, მაგრამ რაც საქართველოს ნაკრებმა პირველ ტაიმში ითამაშა, ასე აღარც ლიხტენშტაინი თამაშობს, არც ანდორა, სანმარინო თუ ფარერები. ტოპმიოლერის გუნდს მოედნის თავისივე ნახევარზე თითქოს ხაზი ჰქონდა გავლებული, ამის იქით არ უნდა გადავიდეთ, თორემ წითელი აგვენთებაო. ფრანგებს ჩვენვე მივეცით იმის ნება, ორმოცდახუთწუთიანი შტურმი თუ რაღაც ამის მაგვარი მოეწყო.

რამდენი მატჩი წაუგია საქართველოს, რამდენჯერ უთამაშია უსუსურად, მაგრამ ბურთის ასე ხშირი უმისამართოდ მოგერიება მანამდე არასდროს გვინახავს. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელები გუშინ პირველ ტაიმში ბურთს მეტწილად კი არ კარგავდნენ, არამედ ჩუქნიდნენ მეტოქეს.

ფრანგი მუშკეტერები კი მთლად კარგად ვერ ისროდნენ. დამაგვირგვინებელ ფაზაში **რაიმონ დომენეკის** გუნდი უნაკლო სულაც არ იყო. საკუთარ საჯარიმოში თუ მის სიახლოვეს საქართველოს ნაკრები რიცხობრივი უპირატესობის შექმნას ახერხებდა და ერთი პირობა თავი ამით გაჰქონდა, მაგრამ ყველაფერი ეს ბოლომდე წარმატებული ვერ გამოდგა - **რიბერიმ** მარჯვენა ფლანგზე **ელიავას** და **კვირკველიას** აჯობა, ჩააწოდა - **ნასრიმ** კანკავას დაასწრო და ათიოდ მეტრიდან ერთი შეხებით ზუსტად დაარტყა **გიორგი ლომაიასგან** შორეულ კუთხეში.

**მათე ლვინიანიძე, ჯაბა კანკავა, დავით მუჯირი** - ნახევარდაცვის ცენტრი ინერტული, მოუქნელი იყო, ფლანგებიდანაც ვერ ყოჩაღობდნენ **დავით კვირკველია** თუ **ლადო ბურდული**, ვერც განაპირა მცველებს, **ზურაბ ხიზანიშვილსა** და ზაალ ელიავას წაუვიდათ შეტევაში თამაში. ერთადერთი **ალექსანდრე იაშვილი** იყო, ბურთს კარგად რომ მოიგდებდა, თანაგუნდელებს რამდენიმე წამით რომ ამოასუნთქებდა და იოტისხელა იმედს გვილვივებდა.

შესვენების შემდეგ ტოპმიოლერმა გუნდი სხვანაირად მომართა - ქართველებს ბურთი ხონჩით არ მიჰქონდათ ფრანგებისთვის, მოკლე პასებით თამაში რამდენჯერმე გამოუვიდათ, მაგრამ არ იყო ის აგრესია და სითამამე, გუნდის თამაშს მკვეთრად რომ შეცვლიდა.

ტოპიმ მოედანზე **ოთარ მარცვალაძე** შეუშვა, ის თავდასხმაში იაშვილს არ შეუწყვილა, სიფრთხილეს თავი მაინც არ აატკივა, ისევ ერთი ფორვარდით გააგრძელა თამაში.

ბურდულმა კუთხური კარგად ვერ ჩააწოდა; მუჯირმა ოცდახუთიოდე მეტრიდან ზუსტად და ძლიერად ვერ დაარტყა; მარცვალაძემ ფრანგთა დაცვის ცენტრის შეცდომით ვერ .ისარგებლა და ხელსაყრელ სიტუაციაში ბურთი ვერ გააჩერა - სულ ეს იყო, რაც საქართველოს ნაკრებს გუშინ შეტევაში გამოუვიდა.

ლომაია კი კარში თავდაჯერებულად იდგა, **ჯიბრილ სისეს** ახლო, ძლიერი დარტყმაც მოიგერია. კარგია, როცა მეკარეს საკუთარი თავის რწმენა ემატება.

ბევრი წაგება ძალიან დამღლელია, მას ის ინდეფერენტულობაც მოაქვს, რაც ხასიათში მყარად უჯდებათ ფეხბურთელებს, გამოცდილებსაც და პერიფერიული ნაკრებისთვის ზედგამოჭრილ მოთამაშეებსაც.

0:1 - ამ შემადგენლობითა და ასეთი თამაშით - ეს გუშინ ჩვენი გუნდის მაქსიმუმი იყო.

**დავით თავართქილაძე**

მეტოქეები

# კვალიარელას დუბლით

**ლიტვა-იტალია 0:2**

**ლიტვა:** გრიბაუსკასი, კლიმავიჩუსი, პაულაუსკასი (46. გედგაუდასი), შემბერასი, სკერლა, სტანკევიჩუსი, ჟვიგრჟდაუკასი, კალონასი, მორინასი (39. მიკოლიუნასი), სავენასი (61. ლაბუკასი), დანილევიჩუსი.

**იტალია:** ბუფონი, კანავარო, მატერაცი, ოდო, ძამბროტა, დე როსი (65. გატუზო), პეროტა (71. ამბროზინი), პირლო, დი ნატალე (74. დელ პიერო), ინძაგი, კვალიარელა.

**გოლები:** 0:1 კვალიარელა (31), 0:2 კვალიარელა (45)

**მაყურებელი:** 700

ახალბედა აძურელმა **ფაბიო კუალიარელამ როზერტო დონადონის** ნდობა სრულად გაამართლა და კაუნასური მატჩის გმირად იქცა. ახალგაზრდა ფორვარდი თანაგუნდელთა შორის აშკარად გამოირჩეოდა, რითიც ბუნებრივია, იტალიის ნაკრებში მყარად დამკვიდრების სანსი გაიჩინა.

დონადონიმ ფარერული მატჩის შემდეგ, კარდინალური ნაბიჯები გადადგა და ძირითად შემადგენლობაში ერთბაშად ხუთი ცვლილება განახორციელა. ამ ხუთეულში კუალიარელაც შევიდა. პირველი გოლი მან ინდივიდუალური ოსტატობით გაიტანა, ლიტველი მცველი ჩამოიცილა და ახლო მანძილიდან აჯობა ლიტველთა სათადარიგო გოლკიპერ **გრიბაუსკასს** (ბალტიელთა ძირითადმა მეკარე **კარჩემარსკასმა** მატჩი საქართველოსთან მიღებული ყვითელი ბარათის გამო გამოტოვა). ტაიმის მიწურულს სამპდორიელი მეტოქის მცველებისგან თავისუფალ ზონაში აღმოჩნდა და მიზანს უფრო იოლად მიაღწია. ფარერული შეხვედრისგან განსხვავებით, ნაკლებად ეფექტური იყო მისი მეწყვილე **ფილიპო ინძაგი**.

მეორე ნახევარში შეხვედრის შედეგის შეცვლის რეალური წინაპირობა ფაქტობრივად, არ ყოფილა. ლიტველები შეტევაში უგერგილოდ ირჯებოდნენ, ბუნებრივია, თავი აღარც მსოფლიო ჩემპიონებს გამოუდიათ და იტალიელოებმა ფარერულ-ლიტვური ვოიაჟები მაქსიმალური სარგებლით დაასრულეს. წინა მატჩისგან განსხვავებით, დონადონი შეგირდების ქმედებით სრულიად კმაყოფილი დარჩა. საწუწუნოდ საქმე არც ლიტველებს აქვთ, საქართველოსთან ჩატარებული სამქულიანი მატჩი მათთვის გაცილებით პრინციპული იყო.

**ფარერები-შოტლანდია 0:2**

**შოტლანდია:** გორდონი, ალექსანდერი, მაკმანუსი, ნეისმიტი, უეირი, ფერგიუსონი, ფლეტჩერი (68. ტილი), ჰარტლი, ბოიდი (83. ნეისმიტი), მელონი (77. ადამი), ო'კონორი.

**ფარერები:** მიკელსენი, ბენაიმინსენი, დანიელსენი, ი-რ. იაკობსენი, იოჰანესენი (36. ჯურჰუუსი/77. სამუელსენი), ბორგი (82. ფლოტუმი), ოლსენი, ტომასენი, კ-ჰ. იაკობსენი, ჰოლსტი.

**გოლები:** 0:1 მელონი (31), 0:2 ო'კონორი (35)

**მაყურებელი:** 8 000შოტლანდიელთა თავკაცმა **ალექს მაკლიშმა** იტალიელთა მძიმე ფარერული მატჩის შემდეგ, კუნძულელთა მისამართით მოზომილი განცხადებები გააკეთა და როგორც თამაშმა აჩვენა, მისი შეგირდები საქმეს საფუძვლიანად მოეკიდნენ. მოყვარულთა ძლევა დიდი ვერაფერი მიღწევაა, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ მაკლიშმა გამოცდილი **უოლტერ სმიტისგან** ნაკრების მესაჭეობა ღირსეულად გადაიბარა.

ჭაბუკმა შოტლანდიელმა **შონ მელონიმ** ანგარიში ოსტატურად შესრულებული საჯარიმო დარტყმით გახსნა, ოთხიოდ წუთში კი მოსკოვის ლოკომოტიველმა გარი ო'კონორმა ახლო დისტანციიდან ფარერელთა იემდები დაასამარა.

მეორე ტაიმში სქოთები ძირითადად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ, მასპინძლებმა კი გვარიანად გაიბრძოლეს. 69-ე წუთზე **კრისტიან ჰოლსტმა კრეიგ გორდონს** ბურთი თავზე გადაატარა, სტუმრები ძელმა იხსნა. მსაჯის მიერ კომპენსირებულ დროში **ანდრეს ფლოტუმმა** ხარიხას გაარტყა.

ნამატჩევს ფარერელთა თავკაცმა **მარტინ იოგვან ოლსენმა** იტალიასა და შოტლანდიასთან გამართული საშინაო მატჩებით კმაყოფილება გამოთქვა და პროგრესზე ისაუბრა, მაკლიშმა კი განაცხადა, არცთუ ხელწამოსაკრავ მეტოქეს ვძლიეთ და ევროპაზე გასვლის შანსი შევინარჩუნეთო. ერთადერთი ფაქტი, რამაც მისი გულდაწყვეტა გამოიწვია, **ბარი ფერგიუსონის** მიერ მიღებული გაფრთხილებაა. შოტლანდიის ნაკრების ლიდერი ლიტვასთან დაპირისპირებას გამოტოვებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

www.kazbegi.com

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ინტერვიუ პეტარ სეგრტთან

# ეს არ უნდა მომხდარიყო...

## ამაყი სეგრტი უკვე პოლონეთზე მუშაობს

**21-წლამდელთა ნაკრების თავკაცი პეტარ სეგრტი ფეხბურთზე საუბრისასაც ისეთივე ემოციურია, როგორიც საქართველო-ესპანეთის მატჩის დროს იყო. ამ კაცს აშკარად ეტყობა, რომ გულიანად აკეთებს საქმეს. მწვრთნელობაც იცის და ფსიქოლოგიაშიც ცოტა არ გაეგება, თორემ სხვაგვარად, მრისხანე ესპანეთის წინააღმდეგ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების საბრძოლოდ მომართვა ძალიან გაუჭირდებოდა...**

**საინტერესოა, დღეს როგორ აფასებს შესარჩევი ციკლის პირველ მატჩს, ან რას ფიქრობს პერსპექტივაზე, რაზე ესაუბრა მატჩის შემდეგ ინიაკი საესს, რით ჰგავს ის კლაუს ტოპმიოლერს... ამ და სხვა საკითხებზე სასაუბროდ პეტარ სეგრტს გუშინ ფეხბურთის ფედერაციაში ვეწვიეთ...**

- ესპანეთთან მატჩს დეტალურად თუ განვიხილავთ, შეიძლება ითქვას, რომ კარგი თამაში ჩავატარეთ. მეტოქეს ჩვენზე გაცილებით მაღალი კლასის ფეხბურთელები ჰყავდა და ჩემი აზრით, სწორედ ეს იყო წაგების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. რაც შეეხება ხოსე ენრიკეს გოლს, იმ პოზიციიდან კარში დარტყმას თითქმის არავინ ფიქრობს. მან კი არაორდინალური და მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. შეიძლება, თქვას კიდეც ვინმემ, იმ ეპიზოდში მეკარე შეცდა, არასწორი პოზიცია ეკავაო, მაგრამ ლორიას წაგებას ნამდვილად ვერ დავაბრალებ. მეტიც, ჩვენმა მეკარემ ჩინებულად ითამაშა და მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესოც იყო. 21-წლამდელთა შორის, ესპანეთი არა მარტო ევროპაში, არამედ მსოფლიოში ერთ-ერთი გამორჩეული გუნდია. და ეს არის ტრადიცია. სწორედ ამიტომ, თამაშამდე ბიჭებს ვუთხარი, ის გუნდი მოიგებს, რომელიც ნაკლებ შეცდომას დაუშვებს-მეთქი. ჩვენ ერთი გუნდი ვართ! ბუნებრივია, ჩვენი გუნდიც ამ იდეით ცხოვრობს. ჩვენ ერთად ვიგებთ და ერთად ვმარცხდებით.

**- იქნებ კიდევ ერთხელ გაიხსენოთ გოლის მომენტი...**

- იმ ეპიზოდში, კობახიძე დაშავებული იყო და შეცვლას ვამზადებდით. ახალი ფეხბურთელის მოედანზე შესვლა არბიტრმაც გარკვეულწილად დააყოვნა. დარწმუნებული ვარ, იმ ეპიზოდში კაცნაკლულნი რომ არ ვყოფილიყავით, ესპანელები ბურთს ვერ გაგვიტანდნენ. ხოსე ენრიკეს დარტყმისას, ჩვენი ყველა ფეხბურთელი თავის ადგილზე იყო, ყველა თავის საქმეს აკეთებდა, მხოლოდ ერთი ფეხბურთელი გვაკლდა. ხოსე ენრიკეს გადაწყვეტილებაც და დარტყმაც ჩინებული იყო. ეს უნდა ვაღიარო... ალბათ, ყველა დამეთანხმება, რომ ტაქტიკურად, ფიზიკურად, მოტივაციით, სტრატეგიითა და აგრესიულობით გამორჩეული მატჩი ჩავატარეთ. აღსანიშნავია ერთიც: ჩვენი და მეტოქის ფეხბურთელთა ასაკს თუ გადავხედავთ, სტუმრების ყველა ფეხბურთელი, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, 1986 წელსაა დაბადებული, ჩვენ კი ბევრი გვყავდა 1987, 88 და 89 წლებში დაბადებულები. ასე რომ, ჩვენები 2-3 წლით უმცროსები იყვნენ მეტოქეზე. დავუმატოთ ამას სხვა პრობლემებიც... ისე კი, ვფიქრობ, ამ კონტინგენტით ორ წელიწადში ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება შეიძლება. ჩვენ მალტის, ალბანეთისა და ლუქსემბურგის დონის გუნდთან არ გვითამაშია, არც საშუალო ევროპული დონის ბელგიასთან, ეს მხრისხანე ესპანეთი იყო. ჩემი აზრით, ჩვენი ფეხბურთელები კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ: თუ თამაშში მთელ გულსა და სულს ჩადებ, მაქსიმუმს გაიღებ, მაშინ კლასით და შემადგენლობით გაცილებით ძლიერი მეტოქეც ვერ გაჯობებს თამაშით.

**- რაღაც პრობლემა ახსენეთ. რა პრობლემაზეა საუბარი?**

- ბუცების პრობლემა... შეიძლება, ბევრს გაუკვირდეს, მაგრამ ჩვენს რამდენიმე ფეხბურთელს 6-ქაცვიანი, ნორმალური ბუცი არ ჰქონდა. ფეხბურთელებს თამაშის წინა დღეს ფედერაციამ უყიდა ბუცები. სამწუხაროდ, საქართველოში დღეს ეკონომიკური გასაჭირია და ეს ფეხბურთელთა ცხოვრებაზეც აისახება. სამწუხაროდ, ესპანელთა დარად, ჩვენს მოთამაშეებს 5-6 წყვილი სხვადასხვანაირი ბუცი არ აქვთ. ერთსაც დავამატებდი: ესპანელთა დელეგაციას გავეცანით. მწვრთნელებიანად შტაბში 13 კაცია. შესაბამისად, თბილისში ჩამოსულ 18 ფეხბურთელზე 13 ადამიანი მუშაობს. მათ საათივით აქვთ ყველაფერი აწყობილი. არ დაგავიწყდეთ, ეს 21-წლამდელთა ნაკრებია და არა ეროვნული...

**- რით ხართ ამაყი და გული რაზე გწყდებათ?**

- გულშემატკივრის დიდად მადლიერი ვარ. მათ მხარდაჭერას მთელი თამაშის განმავლობაში ვგრძნობდით და ჩვენი კარგი თამაში მათი დიდი დამსახურებაცაა. ამით მართლაც ამაყი ვარ. ალბათ მოედნის გარედანაც ჩანდა, მთელი მატჩის განმავლობაში შემართული ვიყავი, ბიჭებს მითითებებს ვაძლევდი, ვამხნევებდი... მატჩის მსვლელობისას ის ერთი, გარდატეხის მომენტი რომ გადაგველახა, ამ მატჩს არა თუ არ წავაგებდით, არამედ მოვიგებდით კიდეც. მეტოქემ ამ მატჩში ვერც კონტრშეტევებით იხეირა და ვერც თავისუფალ ზონებს პოულობდა. შესაბამისად, მათ ნერვიულობა დაეტყოთ და ცოტაც რომ გაგვეძლო, სტუმრებზე ეს ნერვოზული მდგომარეობა უფრო მეტად აისახებოდა. ეს კი ჩვენს წისქვილზე დაასხამდა წყალს... ამაყი ვარ იმითიც, რომ ჩემმა ფეხბურთელებმა დავალებები შეასრულეს, მრისხანე მეტოქეს არ შეუშინდნენ, ფსიქოლოგიურად არ გატყდნენ, ბოლომდე ვაჟკაცურად იომეს და ქომაგებმაც ტაშით გაგვაცილეს მოედნიდან. გუნდის ასეთ მომზადებაში გელა შეყილაძე, ოთარ გაბელია და სერგო კოტრიკაძე მეხმარებოდნენ, ამაში მათი დიდი წვლილიცაა.

**- მატჩის შემდეგ ინიაკი საესთან გქონდათ საუბარი. ამ დიალოგის დეტალები ყველასთვის საინტერესოა...**

- თამაშის შემდეგ გულდამწვარი ვიყავი, მაგრამ ვიზავისთან მივედი და გამარჯვება მივულოცე. საესმა შემატყო ნერვიულობა და დამამშვიდა - ჩინებული გუნდი გყავს, ასეთს ნამდვილად არ ველოდიო, ბედნიერი ვარ, რომ მატჩი ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდაო... ისეთი თამაში წავიდა, გოლს ვინც გაიტანდა, ის მოიგებდაო. გამიმხილა, რომ პირველი ტაიმის შემდეგ თავადაც ბევრი უნერვიულია - ერთადერთი იმედი გვქონდა, რომ ქართველები ფიზიკურად ვერ გაძლებდნენ და მეორე ტაიმში დაიღლებოდნენო. ცხადია, ამ თამაშის შემდეგ, ევროპაში ჩვენს გუნდს უფრო მეტად დააფასებენ... ჰო, კიდევ ერთი: საესმა მითხრა, თქვენგან სექტემბერში კიდევ ერთი თავის ტკივილი გველისო. სექტემბერში, ალბათ, ცოტა შეცვლილი შემადგენლობით ჩამოვალთ ესპანეთში-მეთქი, ღიმილით მივუგე. 21-წლამდელთა ნაკრების მთავარი მიზანი ეროვნული გუნდის შევსებაა და დიდი შანსია, სწორედ ასე მოხდეს.



**- ესპანელებთან მომავალმა მეტოქე პოლონეთმა დაგვზვერა. მათ წარმომადგენელთან ხომ არ გისაუბრიათ?**

- არა, არ მინახავს. მართალია, ესპანეთთან კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ამით არ ვკმაყოფილდებით. 5 ივნისის მატჩის ვიდეოანალიზი მალე გვექნება, ყველაფერს დეტალურად გავარჩევთ და შეცდომების გამოსწორებაზე ვიზრუნებთ. ამით დაიხურება ესპანეთის საქაღალდე და მერე უკვე სრულად გადავერთვებით პოლონეთზე. უკვე დავიწყეთ მეტოქეზე ინფორმაციის შეგროვება და მალე უფრო ბევრი მასალა გვექნება. აქვე, ერთსაც დავამატებდი: ყველას ძალიან გვეწყინა ჩიმაკაძის ტრავმა. თავის დროზე, ფეხბურთელი გახლდით და სწორედ ტრავმის გამო მომიწია ნაადრევად კარიერის დასრულება. ასე რომ, კარგად ვიცი ტრავმის სიმძიმე. მთელი გუნდი მორალურად ჩიმაკაძის გვერდით ვართ და გვჯერა, მალე გამოჯანმრთელდება. თქვენთან საუბრის შემდეგ, გელა შეყილაძესთან ერთად, სწორედ მის სანახავად მივდივარ კლინიკაში.

**-კლაუს ტოპმიოლერთანაც გქონიათ საუბარი...**

- დიახ, ამ დილით ვესაუბრე. კლაუსი გუშინდელი მატჩის მსვლელობისას გამუდმებით რეკავდა და კითხულობდა, რა ხდებაო... დღეს კი ყველაფერი დაწვრილებით მკითხა. როცა ესპანელთა გოლის ამბავი გაიგო, უთქვამს - მეტოქეზე ზეწოლა გააგრძელეთ და ფრეზე იზრუნეთო. სწორედ ასეთია ჩვენი მიდგომა: მნიშვნელობა არ აქვს 0:1-ს წააგებ თუ 0:2-ს მატჩის გადარჩენისთვის ბოლომდე უნდა იბრძოლო... გოლის შემდეგ ჩვენც დიდ რისკზე წავედით. თავად განსაჯეთ, წინა ხაზზე ჭელიძე, ბარაბაძე, კახელიშვილი, ყენია გვყავდა...

**- ბუნებრივია, ჯგუფიდან გასვლისთვის იბრძოლებთ. რა შანსი გვაქვს საამისოდ?**

- რა თქმა უნდა, მიზანი ჯგუფიდან გასვლაა და შანსიც გვაქვს. უკვე დავიწყეთ პოლონეთზე ინფორმაციების შეგროვება. ამაღამ, გერმანიის გავლით ჰოლანდიას მივემგზავრები. გელა შეყილაძესთან და გიორგი ჩიხრაძესთან ერთად, იქ უეფას მწვრთნელთა სემინარს დავესწრებით. ჰოლანდიაში ერთ ჩემს მეგობარს ვნახავ, რომელიც ახლახან ჩატარებულ ჰოლანდია-პოლონეთის მატჩის ვიდეოფირს მომცემს. ივლისის შუა რიცხვებში კი კანადაში დავესწრები 21-წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატს, სადაც პოლონეთიც ასპარეზობს. ასე რომ, მეტოქეზე ბევრი ინფორმაცია გვექნება და 22 აგვისტოს მატჩს მომზადებულები შევხვდებით.

**დავით ცაბაძე**

ევრო 2009. პოლონელი მზვერავი

# საქართველომ განმაცვიფრა

22 აგვისტოს პოლონეთს ვეთამაშებით. ამიტომ, ესპანეთთან მატჩს მათი მზვერავიც ესწრებოდა. **რადოსლავ მრადკოვსკიმ** (სხვათა შორის, თამაშამდე თქვა, საქართველო-ესპანეთი 1:1 დამთავრდებაო) ბევრი რამ ჩაინიშნა. საინტერესოა, რას ფიქრობს ის საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებზე:

*"მატჩამდელ პროგნოზში 1:1 იმიტომ კი არ ვთქვი, რომ ქართველების გული მომეგო. კარგად ვიცი, საქართველო ტალანტების ქვეყანაა და თუ ამას გერმანულ დისციპლინასაც დავუმატებთ, უკვე შეიძლება კარგი შედეგის მიღება... რაც შეეხება მატჩს, ქართველებმა ძლიერ ესპანეთს ტოლი არაფერში დაუდეს. მასპინძელთა გუნდიდან რამდენიმე მოთამაშე მომეწონა: №9* **(ჭელიძე)**, *№10* **(მერებაშვილი)**, *№6* **(კობახიძე)** *და №2* **(ლობჟანიძე)**... *აღვნიშნავ იმასაც, რომ მასპინძელთა ნაკრების ყველა სათამაშო რგოლი სინქრონულად მოქმედებდა. ერთი სიტყვით, აგვისტოში ქართველებთან რთული მატჩი გველის, მაგრამ იმედია, მინიმალური ანგარიშით მაინც მოვიგებთ. ფავორიტი ესპანეთია? ვითომ? რამდენადაც ვიცი, რუსეთიც კარგი გუნდია. ვფიქრობ, ჯგუფში პირველი ადგილისთვის ბრძოლა სწორედ ესპანეთსა და რუსეთს შორის წარიმართება. პოლონეთი და საქართველო კი მეორე პოზიციისთვის იბრძოლებენ"* - გვითხრა პან მრადკოვსკიმ.

**დავით ცაბაძე**



ინტერვიუ კახა ცხადაძესთან

# ფრეზე თამაში არასწორია

**საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროშესარჩევი შინ ესპანეთთან 0:1-ით დაიწყო. პეტარ სეგრტის გაწვრთნილ გუნდში, ალბათ, ნაკლიც საკმაოდ იყო და დადებითი ასპექტებიც. ყველაფერ ამასთან დაკავშირებით, ცხადია, საინტერესოა სპეციალისტის აზრიც. საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ კაპიტან კახა ცხადაძეს მნიშვნელოვანი სამწვრთნელო გამოცდილებაც აქვს: მის ხელში საქართველოს ჩემპიონი თბილისის "დინამოც" გახდა და ბოლნისის "სიონიც". საქართველო-ესპანეთის მატჩზე აზრის გამოთქმაც ცხადაძეს ვთხოვეთ...**



- არ მომეწონა ის აჟიოტაჟი, რაც თამაშის წინ იყო, რადგან ეს იმას ჰგავდა, რომ თუ კარგ გუნდთან წავაგებდით, თავი გაგვემართლებინა. უშუალოდ მატჩს რაც შეეხება, ჩვენი ფეხბურთელები მართლაც ძალიან მონდომებულები იყვნენ, თუმცა კარგად ჩანდა, რომ საქართველოს ნაკრები უფრო ფრეზე თამაშობდა და როცა საშუალება მიეცემოდა, კონტრშეტევები უნდა განეხორციელებინა. ვფიქრობ, ასეთი სტრატეგია არასწორი იყო. ჩვენი გუნდიდან მომეწონა კაშია, ლობჟანიძე, ფოფხაძე... თუმცა ცენტრალურ მცველს ამდენი დრიბლინგი არ სჭირდება. მომეწონა ნავალოვსკიც, ვისაც ესპანეთიდან ყველაზე ძლიერი ფეხბურთელის წინააღმდეგ მოუწია თამაში.

**- კიდევ რა ნაკლოვანებები შენიშნეთ საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში?**

- ჩვენს გუნდში ვერ დავინახე შეტევის მიმართულება. ესპანელებს კარგად გადაჰქონდათ ბურთი ფლანგებზე, მერე ცენტრში, რის შემდეგაც ინდივიდუალურად ცდილობდნენ დაცვის გარღვევას. ჩვენს ნაკრებში კი ბურთის ამოტანა, ფაქტობრივად, არ ხდებოდა. გაუგებარი იყო, 0:1-ზე მოედანზე ხიდეშელი რატომ შეუშვეს. ყენია კი უფრო ადრე უნდა გამოეყვანათ. მან რამდენჯერმე კი გაამწვავა თამაში, მაგრამ უფრო ეფექტური რომ ყოფილიყო, ამისთვის დრო არ ეყო.

**- ჩვენი ნაკრების ნახევარდაცვაზე რას იტყოდით? როგორ შეაფასებდით შოთა გრიგალაშვილისა და სანდრო კობახიძის მოქმედებას, რომელთაც, ალბათ, ევალებოდათ კიდეც გუნდის თამაშის წარმართვა?**

- გრიგალაშვილისგან მეტს ველოდი. მას, ასე ვთქვათ, თამაში უნდა წაეყვანა. ამ ფეხბურთელის შესაძლებლობები კარგად ვიცი, მას მეტი შეუძლია. კარგად ითამაშა კობახიძემ, თუმცა 70 წუთის იქით მისი ფიზიკური კონდიციები საკმარისი აღარ არის. ჩვენს ნაკრებს ნახევარდაცვაში არ აღმოაჩნდა ისეთი ფეხბურთელი, ვინც გუნდს იდეას შესთავაზებდა. შეტევაში ინერტული იყო ჩვენი მარჯვენა ფლანგი, კახელიშვილი რატომღაც ცენტრისკენ იწევდა...

**- თავდასხმაზეც გკითხავთ. ეს რგოლიც არაეფექტური რომ იყო, ამას რას დააბრალებდით?**

- ჭელიძე სწრაფი ფორვარდია და მას გამჭოლი პასებით მომარაგება სჭირდება, მისკენ კი უფრო მაღალი ბურთები იგზავნებოდა. თუ ასე ვაპირებდით თამაშს, უმჯობესი იქნებოდა, თავიდანვე ტანმაღალ ბარაბაძეს ეთამაშა.

**- მეტოქე ფლანგებიდან ბევრს გვიტევდა, განსაკუთრებით მარჯვნიდან, სადაც ძალიან სწრაფი სისინიო გონსალესი ჰყავდა. ასეთ დროს რა ტაქტიკური ხერხი იყო საჭირო?**

- ჩვენი განაპირა მცველები, ნავალოვსკი და ლობჟანიძე, ცენტრისკენ იყვნენ შეწეულები. მეტოქის გარემარბებთან უფრო ახლო დისტანცია უნდა დაეჭირათ, როცა გარემარბებისკენ პასი მიდიოდა, მაშინ უნდა ებრძოლათ, მერე კი მათთვის ბურთისართმევა ძალიან ძნელი იყო.

**- საბოლოო ჯამში რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

- ამ გუნდთან მუშაობა შეიძლება, თუმცა სელექცია, ჩემი აზრით, გამოსასწორებელია. ბუალავას დაახლოებით 90 პროცენტი წუნი ჰქონდა. ერთხელაც ვიტყვი, რომ ფრეზე თამაში არასწორია და შეტევაში მხოლოდ იმის იმედზე არ უნდა ვიყოთ, მეტოქის საჯარიმოში აუტი ჩავაგდოთ და იქნებ ასე მოვახერხოთ რამე.

**დავით თავართქილაძე**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



# ბათუმი

## ადგილი ჩემპიონატში: 9

### მონაგარი

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| გალოგრე | 24 | 22 | 1 | 6 | - |
| ცანავა | 24 | 22 | - | 6 | - |
| კუნჭულია | 22 | 16 | 1 | 1 | - |
| სომხიშვილი (მკ.) | 19 | 19 | -24 | 1 | - |
| ლობჟანიძე | 19 | 19 | - | 4 | - |
| ბეჟანიძე | 17 | 10 | 5 | 1 | - |
| ფარტენაძე | 16 | 3 | 1 | 1 | 1 |
| შალამბერიძე** | 13 | 13 | 1 | 1 | - |
| დარჩიძე** | 13 | 11 | 2 | 1 | - |
| ტულუში | 13 | 1 | 3 | - | - |
| ნერგაძე** | 12 | 12 | 3 | 1 | - |
| ექონია* | 11 | 11 | 1 | 3 | - |
| მ. კვარაცხელია** | 11 | 11 | 3 | 3 | - |
| ხოხონიშვილი** | 11 | 10 | - | 3 | 1 |
| ოძრუაშვილი* | 11 | 10 | - | - | - |
| კომკაძე* | 10 | 10 | - | - | - |
| თედორაძე** | 10 | 10 | - | 1 | - |
| აფშილავა* | 9 | 9 | - | 2 | - |
| გოგოლაძე* | 9 | 7 | 2 | 1 | - |
| ა. მუჯირი* | 8 | 8 | 3 | - | 1 |
| ჯინჭარაძე* | 8 | 6 | - | 1 | 1 |
| ა. ბაჯელიძე | 8 | 2 | - | 2 | - |
| თოთლაძე (მკ.) | 7 | 7 | -6 | 1 | - |
| კერესელიძე* | 6 | 3 | - | - | - |
| რ. ჯიქია* | 5 | 5 | - | 1 | - |
| ნაჭყებია* | 5 | 5 | - | 1 | - |
| ძორიძე* | 5 | 5 | - | 2 | - |
| ჯაბნიძე* | 5 | 4 | 1 | - | - |
| მაკარიანი** | 4 | 2 | - | - | - |
| გოგიშვილი* | 3 | 3 | - | 1 | - |
| ტიაგო* | 2 | 2 | - | - | - |
| თურმანიძე** | 2 | 2 | - | - | - |
| მახარაძე | 2 | 1 | - | 1 | - |
| აბაშიძე* | 2 | - | - | - | - |
| ხარაზი* | 2 | - | - | - | - |
| დემურაძე** | 2 | - | - | - | - |
| ჯანელიძე* | 1 | 1 | - | 1 | - |
| გოგიტიძე* | 1 | - | - | - | - |
| შავლიძე* | 1 | - | - | - | - |
| ბერიძე* | 1 | - | - | - | - |
| ბაციაძე** | 1 | - | - | - | - |

* - მხოლოდ პირველ წრეში
** - მხოლოდ მეორე წრეში

„ბათუმის" ამოცანა იმთავითვე ნათელი იყო. ძლიერი სპონსორის გარეშე დარჩენილმა აჭარულმა კლუბმა მხოლოდ უმაღლესში დასარჩენად იბრძოლა და არცთუ სახარბიელოდ ჩატარებული პირველი წრის მიუხედავად, მიზანს დამაჯერებლად მიაღწია. ძლიერი ახალწვეულების დახმარებით, სეზონის მეორე ნახევარში „ბათუმმა" უფრო გამართული ფეხბურთი აჩვენა და ჩემპიონატის დასრულებამდე რამდენიმე ტურით ადრე, თავი ქუდში ჰქონდა. მომავალი, ტრადიციულად, ბუნდოვანია, რამდენიმე დღეში უნდა გაირკვეს, როგორი ამბიციები ექნება „ბათუმს" მომავალ სეზონში.




### ამირან გოგიტიძე
### მთავარი მწვრთნელი



„პირველ წრეში გაცილებით უკეთესი პირობები გვქონდა, მაგრამ შემადგენლობა არ გვყავდა ძლიერი. მეორე წრეში კი ყველაფერი პირიქით იყო. საერთო ჯამში, ჩემპიონატი ღირსეულად ჩავატარეთ, თითოეულ ფეხბურთელს, რომელსაც ამ სეზონში „ბათუმის" მაისურა ეცვა, თავდადებული გარჯისთვის მადლობას ვუხდი".

**საუკეთესო მატჩი**

„ამერს" სტუმრად ტოლ-სწორად ვებრძოლეთ და ფრე ვითამაშეთ. ჩემმა ბიჭებმა დაამტკიცეს, რომ ნებისმიერ მეტოქესთან შეეძლოთ წარმატების მიღწევა".

**ყველაზე ცუდი მატჩი**

„ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე მატჩი ცუდად ჩავატარეთ, ამა თუ იმ შეხვედრაში ნაჩვენები შედეგის მიუხედავად, თავი არავისთან დაგვიზოგავს, ყველგან ბოლომდე ვიბრძოლეთ".

**პლუსი**

„ჩვენი მთავარი ღირსება გუნდური სულისკვეთება იყო, მცირე გასამრჯელოს მიუხედავად, ბიჭებმა საოცარი შემართება გამოიჩინეს".

**მინუსი**

„სეზონი მოუმზადებლებმა, გადახალისებული შემადგენლობით დავიწყეთ, არ შეიძლება ყოველ ექვს თვეში ახალი გუნდი შექმნა".

**მომავალი სეზონი**

„როცა კლუბის ბიუჯეტი დამტკიცდება, მიზნებზე უფრო კონკრეტულად მაშინ ვისაუბრებ. ყველაფერი ერთ კვირაში თუ არ გაირკვა, მაღალი დონის ფეხბურთელების დამატებას ველარ მოვასწრებთ".

**საკადრო პოლიტიკა**

„წავიდნენ ის ფეხბურთელები, რომლებიც ნათხოვარი გვყავდა – **შალამბერიძე, ხოხონიშვილი, კვარაცხელია, ნერგაძე, ლობჟანიძე, თურმანიძე**. სავარაუდო ახალწვეულების დასახელებისგან, ჯერჯერობით, თავს შევიკავებ".

**ფინანსური მდგომარეობა**

„იმედია, ახალ სეზონში გუნდს ნორმალური საარსებო პირობები ექნება".

**ჩემპიონატის რჩეულნი**

„ბათუმიდან" **ბეჟანიძეს, კვარაცხელიას, ნერგაძეს, თედორაძეს, ლობჟანიძესა** და **დარჩიძეს** გამოვარჩევ, სხვა გუნდებიდან – დინამოელ **იაშვილს**, ოლიმპელ **გოცირიძეს**, ზესტაფონელ **ვიეირასა** და ამერელ **დავითაშვილს**.

**ბათუმი და ქომაგი**

„გულშემატკივარი მხარში ერთგულად გვიდგას და ვფიქრობ, გუნდის მონდომებით უკმაყოფილო არ უნდა იყოს. იმედია, მომავალში ბათუმელებს უფრო წარმატებული გუნდი ეყოლებათ".

**ჩემპიონატის ფორმატი**

„მესმის, რომ ფინანსური გარანტიები აუცილებელია, თუ ამის წარმოდგენა ბევრმა შეძლო, სჯობს, უმაღლეს ლიგაში 16-მა გუნდმა ითამაშოს. ასეთ შემთხვევაში, ფეხბურთის ინტერესი და თავის გამოჩენის შანსი გაცილებით მეტ ახალგაზრდას მიეცემა".

**გამორჩეული კოლეგები**

„დიდი **ნოდარ ახალკაცის** დონის სპეციალისტი არ გვყავს. კვალიფიციური მწვრთნელების სიმცირეს კი ნამდვილად არ ვუჩივით. ფინანსებია მთავარი, თორემ პროფესიონალები არ გვაკლია".

**მსაჯობა**

„უშეცდომო არავინაა, პროგესს კი ნამდვილად ვხედავ. მოდის ახალგაზრდა მსაჯთა თაობა, რომლისთვისაც ავტორიტეტი და რეპუტაცია მნიშვნელოვანია".

**გარიგებული მატჩები**

„რამდენიმე გუნდმა ჩემპიონატის ბოლო ტურებში საეჭვოდ ბევრი ქულა დააგროვა. ვფიქრობ, ამით ყველაფერია ნათქვამი".

**ლევან ჯანეზაშვილი**



ბოლო ტურის მატჩი: დინამო-ბათუმი

**I ტური**
29.07.06 ს დილა 0:0

**II ტური**
06.08.06 შ ამერი 0:1

**III ტური**
20.08.06 ს ტორპედო 1:2
გოლი: ჯაბნიძე

**IV ტური**
27.08.06 შ სიონი 1:2
გოლი: ექონია

**V ტური**
09.09.06 ს კახეთი 3:1
გოლები: გოგოლაძე (2), გალოგრე

**VI ტური**
17.09.06 შ ზესტაფონი 0:0

**VII ტური**
23.09.06 ს ლოკომოტივი 0:1

**VIII ტური**
14.10.06 შ მერანი 3:0
გოლები: მუჯირი (2), ფარტენაძე

**IX ტური**
21.10.06 ს ოლიმპი 1:2
გოლი: მუჯირი

**X ტური**
29.10.06 შ ვიტ ჯორჯია 0:1

**XI ტური**
05.11.06 ს ჩიხურა 0:1

**XII ტური**
18.11.06 ს ბორჯომი 0:0

**XIII ტური**
21.11.06 შ დინამო 1:3
გოლი: კუნჭულია

**XIV ტური**
23.02.07 შ დილა 2:1
გოლები: კვარაცხელია, ბეჟანიძე

**XV ტური**
02.03.07 ს ამერი 0:0

**XVI ტური**
10.03.07 შ ტორპედო 2:0
გოლები: ნერგაძე, ბეჟანიძე

**XVII ტური**
17.03.07 ს სიონი 2:1
გოლები: შალამბერიძე, კვარაცხელია

**XVIII ტური**
31.03.07 შ კახეთი 3:2
გოლები: ტულუში (3)

**XIX ტური**
07.04.07 ს ზესტაფონი 0:4

**XX ტური**
13.04.07 შ ლოკომოტივი 0:1

**XXI ტური**
21.04.07 ს მერანი 1:1
გოლი: დარჩიძე

**XXII ტური**
27.04.07 შ ოლიმპი 1:2
გოლი: ნერგაძე

**XXIII ტური**
05.05.07 ს ვიტ ჯორჯია 0:0

**XXIV ტური**
12.05.07 შ ჩიხურა 3:0
გოლები: ბეჟანიძე (2), ნერგაძე

**XXV ტური**
16.05.07 შ ბორჯომი 1:0
გოლი: ბეჟანიძე

**XXVI ტური**
20.05.07 ს დინამო 2:4
გოლები: დარჩიძე, კვარაცხელია

26 მატჩი, 8 მოგება, 6 ფრე, 12 წაგება, ბურთები 27-30, 30 ქულა

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ დავით ოდიკაძესთან

# დინამოს ძირითადშიც მოვხვდები და ნაკრებშიც დამაბრუნებენ

**დავით ოდიკაძე** გულშემატკივარმა "თბილისიდან" გაიცნო. ახალგაზრდა მცველი ისეთი სასარგებლო იყო, თავის საქმესაც უვლიდა და შეტევებშიც მშვენივრად ერთვებოდა. ორი წლის წინანდელ ჩემპიონატში ლამის ბომბარდირიც გახდა. მისი თამაში თბილისის "დინამოს" მწვრთნელებს მოეწონათ და ნიჭიერი მოთამაშე გადაიბირეს. მალე ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვიეს, "დინამოს" ლიდერიც გახდა და როცა მისი კარიერა აღმავალი გზით მიდიოდა, მაშინ შეემთხვა სწორედ ის უბედურება, რასაც ერთწლიანი პატიმრობაც მოჰყვა...

სამწუხაროდ, ახლა ისე აღარ მიდის საქმე, როგორც ორი წლის წინათ. ფორმიდან ამოვარდნილი მოთამაშე დუშან უჰრინმა სათადარიგოთა სკამზე დასვა, ეროვნული ნაკრებიც წარსულში დარჩა და ამიტომაც, ახალი სეზონი მისთვის უმნიშვნელოვანესი იქნება: მან უნდა დაიბრუნოს ადგილი თბილისის "დინამოსა" და ქვეყნის მთავარ გუნდში...

**- დავით, წლევანდელი სეზონი წარმატებული ვერ აღმოჩნდა, "დინამოს" ძირითადში ვერ ხვდებოდი და აქედან გამომდინარე, ნაკრებშიც აღარ გიწვევდნენ...**

- წარმატებული ვერც იქნებოდა. ციხეში გატარებული თუნდაც ერთი წელიწადი ყველას დაასვამდა დაღს და მეც ასე მომივიდა. ეს სეზონი უფრო ფორმის აღდგენას მოვახმარე.

**- ...თუმცა საკონტროლო მატჩებში გოლებიც გაიტანე, მოსამზადებელი ეტაპი გუნდთან ერთად გაიარე, მეორე წრეში ქომაგები ძირითად შემადგენლობაშიც გელოდნენ, მაგრამ... ბოლომდე თადარიგში დარჩი...**

- დუშან უჰრინი ყოველთვის მაძლევდა იმის იმედს, რომ მათამაშებდა. თუმცა ძირითადი დრო მაინც სათადარიგოებში გავატარე. ეტყობა, ბოლომდე მაინც არ მენდობოდა. მაგრამ ეს კაცი ტყუილად არავის ელაპარაკება და როგორც ჩანს, ჩემი მაინც სჯერა. ახალ სეზონს მეც იმედით ველოდები.

**- იქნებ, საუკეთესო ფიზიკურ კონდიციებს მართლა ვერ მიაღწიე?**

- არა, ფიზიკურად ძალიან კარგად ვიყავი მომზადებული, ამის პრობლემა არც შემქმნია. პირიქით, ძალიან გამიკვირდა, ერთწლიანი შესვენების მიუხედავად, ფორმა სწრაფად რომ აღვიდგინე. ბურთთან გაუცხოებაც არ მიგრძვნია. ალბათ, უფრო ფსიქოლოგიურად გამიჭირდა. ვთამაშობდი ნაკრებში და გუნდშიც კარგად ვიყავი... უცებ, ყველაფერი შეიცვალა და ეს ყველაფერი თავიდან მოსაპოვებელი გამიხდა. ძნელია ამ მდგომარეობიდან გამოსვლა, მაგრამ არა უშავს, მაინც იმედით ვცხოვრობ, ცუდი პერიოდი ჩაივლის, "დინამოს" ძირითადშიც მოვხვდები და ნაკრებშიც დამაბრუნებენ.

**- მას შემდეგ, ნაკრებში შენით ერთხელაც არ დაინტერესდნენ?**

- ამაზე არაფერი მსმენია.

**- მართალია, თითქოს წინა ციკლში უკრაინასთან თბილისური მატჩის შემდეგ ერთბაშად ათი გუნდი გიწვევდა?**

- ათი იყო თუ რამდენი, არ ვიცი, მაგრამ მართლაც ასარჩევად მქონდა საქმე. მათი უმრავლესობა უკრაინული გუნდი იყო. მერე რაც მოხდა, ყველამ იცის და უცხოეთს ვინ ჩივის, საქართველოში თამაშიც სანატრელი გამიხდა. მე მაინც მჯერა, მალე ყველაფერი მოგვარდება.

**- ცოტა დაუჯერებელი კია, მაგრამ მაინც გკითხავ: ციხიდან გამოსვლის შემდეგ ნალჩიკის "სპარტაკი" იწვევდაო. მართალია?**

- არც მე ვიჯერებდი, მაგრამ მართლა ასე იყო. როცა ციხიდან ჩემი გამოსვლის ამბავი გაიგო, თურმე, გოგიტა გოგუა ნალჩიკის "სპარტაკის" მწვრთნელს ესაუბრა და დაარწმუნა, რომ ჩემი მიწვევა ულირდა. მიმიწვიეს კიდეც, მაგრამ ვერ გავრისკე. ფიზიკურად მზად არ ვიყავი და არ მინდოდა, უკან უსახელოდ დავბრუნებულიყავი. ვიფიქრე, ჯერ საქართველოში ვითამაშებ-მეთქი. ახლა არ მაწყენდა წასვლა, უცხოეთში თამაში უკვე ძალიან მინდა.

**- კიდევ სადმე გიწვევენ?**

- ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია. საქართველოში თუ არ ვითამაშე, ვინ წამიყვანს?

**- როგორც შევიტყვეთ, "ზესტაფონი" და "ოლიმპი" გიწვევენ, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, "დინამო" იოლად შეგელიოს...**

- მიწვევებზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი. სადაც არ უნდა ვიყო, "დინამოში", "ოლიმპსა" თუ "ზესტაფონში", მთავარია, ვითამაშო. სკამზე ჯდომა არ მაკმაყოფილებს. ნაკრებში მიწვევდნენ და იქ დაბრუნებაზე ფიქრი თავიდან არ ამომდის. მინდა, ყველაფერი ისე გავაკეთო, რომ კარიერა უკეთესად ავიწყო. ისე, "დინამოში" თამაში ძალიან მინდა. ამ კლუბის მადლიერი ვარ, ყველაზე ძნელ პერიოდში გვერდში დამიდგნენ და ამის დავიწყება არ შემიძლია.

**მერაბ მამულაშვილი**

## განცხადება

საფეხბურთო კლუბ "დინამო" თბილისის ბავშვთა აკადემია აცხადებს კონკურსს 1991-92 წლებში დაბადებულ ნორჩ ფეხბურთელთა შორის. აკადემიაში მიმღებთა შერჩევას "დინამოს" გამოცდილი მწვრთნელ-სელექციონერები აწარმოებენ. შერჩევა გაიმართება 7-17 ივნისს.

მსურველები 7 ივნისამდე დაგვიკავშირდნენ ტელეფონის ნომერზე 53-20-76

*ს.კ. "დინამო" თბილისის ბავშვთა აკადემია*

ლეგიონერი

# ტოპმიოლერს დავარწმუნებ, რომ ნაკრებში თამაშს ვიმსახურებ

## გოგუა თბილისში სავიზო პრობლემებს აგვარებს

ნაკრებიდან მოკვეთილი **გოგიტა გოგუა**, რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, საქართველოშია და რუსეთში გასამგზავრებლად სავიზო პრობლემებს აგვარებს. დიახ, ის პრობლემა, რაც დიდი ხანია ქართველი მოთამაშეებისთვის ლამის დაუძლეველ ბარიერად იქცა, ამჯერად, რამენსკოეს "სატურნის" ნახევარმცველსაც შეეხო. კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ვკითხულობთ, რომ გუნდი მას უახლოეს დღეებში ელის. სწორედ ამით აიხსნება "სატურნის" ბოლო მატჩში გოგიტას უთამაშებლობა და არა იმ ვერსიით, რომელიც ორიოდ დღის წინათ გავრცელდა, თითქოს, რამენსკოელთა ახლადდანიშნული მწვრთნელი **გაჯი გაჯიევი** ქართველს არ ენდობა და ყაზანის "რუბინთან' საკონტროლო მატჩში არ დააყენაო. სინამდვილეში, ამ დროს გოგუა თბილისში ვიზის საკითხით იყო დაკავებული და ბუნებრივია, მოედანზე ვერც ითამაშებდა. გოგიტას გუშინ გავესაუბრეთ. პირადად მისგან გვინდოდა, მოგვესმინა, მართლა მოუვიდა თუ არა კონფლიქტი ნაკრებში:

*"ნაკრების არც ერთ წევრთან ჩხუბი და გაწევ-გამოწევა არ მქონია. მესმის, რომ ჩემი თანადგომის სურვილით იყო ნაკარნახევი გია ლეჟავას ინტერვიუ, მაგრამ აჯობებს, როცა ჩემ შესახებ საუბრობთ, პირადად მკითხოთ, რა მოხდა და როგორ მოხდა, ან მოხდა კი საერთოდ რამე. ფეხბურთზე კამათი ჩხუბს არ ნიშნავს. ნაკრებში თამაშზე კი უარი მე არასოდეს მითქვამს და ამას არც მომავალში ვაპირებ. რაც შეეხება კლაუს ტოპმიოლერის გადაწყვეტილებას, მას რამენაირად დავარწმუნებ, რომ ეროვნულ გუნდში თამაშს ვიმსახურებ".*

სხვათა შორის, სავიზო პრობლემა დღემდე ვერ მოაგვარა რუსეთის პირველ ლიგაში მოასპარეზე ნოვოკუზნეცკის "მეტალურგ-კუზბასის" სპორტულმა დირექტორმა **იური მამინაშვილმაც**. ძნელი წარმოსადგენი კი არის, მაგრამ ფაქტია: ბატონ იურის ციმბირელები თებერვლის შემდეგ ელიან (?!). ამ დროს კი, ყველას მშვენივრად მოეხსენება, რომ სპორტული დირექტორის პოსტი კლუბში ერთ-ერთი საკვანძოა. ქართველებს ხელს რომ უშლიან, ეს გასაგებია, მაგრამ საკუთარ კლუბებსაც რატომ აზარალებენ, ეს უკვე გაუგებარია.

**მერაბ მამულაშვილი**



გოგიტა გოგუა

მერანი

# კოსტავა და ნორჩი დინამო



დედაქალაქური „მერანის“ მთავარი მწვრთნელის საკითხი აქამდე ღიად იყო. როგორც იცით, გუნდს სეზონი **ასლან ბალაძემ** ჩაამთავრებინა, მაგრამ იმთავითვე ნაკლები იყო იმის ალბათობა, მას ხელშეკრულება რომ გაეხანგრძლივებინა.

კლუბის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, „მერანის“ ახალი დამრიგებელი გამოცდილი **თამაზ კოსტავა** იქნება, მის ასისტენტებად კი სტაჟიანი მერანელი **დავით ეჯიბიშვილი** და **თენგიზ კაცია** იმუშავებენ.

აქამდე კოსტავა „ნორჩი დინამოს“ მთავარი მწვრთნელი იყო, თუმც სამუშაოს შეცვლის მიუხედავად, ამ საფეხბურთო სკოლას სულაც არ ჩამოსცილებია. საქმე ისაა, რომ „მერანმა“ და „ნორჩმა დინამომ“ ხელშეკრულება გააფორმეს, რომლის თანახმადაც „ნორჩი დინამო“ „მერანის“ პარტნიორი იქნება, მისი ფარმ-კლუბის სტატუსით პირველ ლიგაში ითამაშებს და ნიჭიერი ფეხბურთელებით მოამარაგებს.

წესით, ეს თანამშრომლობა ორივესთვის სასარგებლო უნდა იყოს. „მერანს“ ერთ-ერთი წარჩინებული საფეხბურთო სკოლიდან კარგი ცვლა გაეზრდება, „ნორჩ დინამოს“ კი ფინანსური პრობლემები ნაკლებად შეაწუხებს და გამართულად იმუშავებს. უკვე ცნობილია, რომ პირველლიგელებს **ვახტანგ კოპალეიშვილი** გაწვრთნის.

13 ივნისს „მერანის“ კრებაა დაგეგმილი, სადაც სხვა მნიშვნელოვანი საკითხებიც გადაწყდება. სწორედ ამ დღიდან დაიწყება გუნდის დაკომპლექტება, სავარაუდოა, რომ „მერანი“ მომავალ სეზონში გაცილებით მაღალი მიზნებისთვის იბრძოლებს.

ასლან ბალაძეს რაც შეეხება, მას „მერანში“ მეკარეების მწვრთნელობა შესთავაზეს, მაგრამ უარი თქვა. მოგეხსენებათ, იგი საქართველოს ასაკობრივ ნაკრებებში მოღვაწეობს და ამის გამო, საკლუბო და სანაკრებო საქმის ერთმანეთთან შეთავსებას ვერ ახერხებს. *„მერანს“ დროებით ვწვრთნიდი და ვიცოდი, რომ გუნდს მალე დავტოვებდი. შესაბამისად, ეს გადაწყვეტილება არ გამკვირვებია. ნაკრებებში ბევრი საქმე მაქვს, ამიტომაც „მერანის“ დატოვება მომიწევს. კლუბის ხელმძღვანელობასთან კარგ ურთიერთობას შევინარჩუნებ, ბუნებრივია, „მერანს“ წარმატებებს ვუსურვებ“*, - ამბობს ბალაძე.

**ლევან ჯანეზაშვილი**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
იძ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge



ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# კივუ და ინტერი, გადაწყვეტილია?

## რომასთვის ალტერნატივა ჟუანი ან მერტეზაკერია



კრისტიან კივუ

**რობერტო მანჩინი** დაცვას აძლიერებს. ცნობილი გახდა, რომ რუმინელ მცველ **კრისტიან კივუს** "ინტერში" გადასვლამდე ბევრი არაფერი უკლია. მილანური გრანდი "რომას" მცველთან 5-წლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. "ჯალოროსისთან" ხელშეკრულება მას 2008 წელს ეწურება. ფეხბურთელსა და კლუბს შორის თანამშრომლობის გაგრძელებაზე გამართულმა მოლაპარაკებებმა შედეგი ვერ მოიტანა. "ინტერი", რომელიც კარგა ხანია ცდილობს კივუს გადაბირებას, მოვლენებს გაფაციცებით აკვირდებოდა. რუმინელის აგენტი **ვიქტორ ბეკალი** "რომას" ვიცე-პრეზიდენტ **როზელა სენსის** შეხვდა და საქმის კურსში ჩააყენა. თუმცა ამით ყველაფერი არ გარკვეულა. რამდენს იხდის "ინტერი" და რამდენი უნდა რომაულ კლუბს, ამაზე მოლაპარაკებები ჯერ კიდევ წინაა. გასარკვევია ფეხბურთელის ანაზღაურების საკითხიც. დედაქალაქში ის წლიურად 1.7 მილიონ გირვანქას იღებდა. კივუმ "რომასგან" ხელფასის გაზრდა მოითხოვა, დაუზუსტებელი ინფორმაციით, 2.8 მილიონამდე. "ინტერი" კი 26 წლის მცველს 2.5 მილიონ გირვანქას სთავაზობს.

"რომას" მწვრთნელი **ლუჩანო სპალეტი** კივუს წასვლის წინააღმდეგია, თუმცა იძულებულია, ანგარიში გაუწიოს კლუბის ფინანსურ ინტერესებს. ვიცე-პრეზიდენტ სენსის ურჩევნია, კივუ ახლავე გაყიდოს, ვიდრე ზამთარში ნომინალურ ფასად დათმოს, მომავალ ზაფხულს კი სულაც თავისუფალ აგენტად გაუშვას. "ინტერის" შეთავაზება ასეთია: ფეხბურთელის შესაძენი თანხა 4-დან 7 მილიონ გირვანქამდე, პლუს სრული სატრანსფერო უფლება **დავიდ პისაროზე** (ახლა ეს უფლება 50/50-ზეა). მიუხედავად იმისა, რომ კივუ "რეალს", "ბარსელონას", "მილანსა" და "იუვენტუსსაც" აინტერესებთ, დღესდღეობით "ინტერის" პოზიციები გაცილებით მყარი და საიმედოა.

გავრცელდა ცნობა, რომ "რომა" უკვე კივუს შემცვლელს ეძებს. შესაძლოა, ეს იყოს "ლევერკუზენის" ბრაზილიელი მცველი **ჟუანი**, საუბარია "ვერდერის" უკანახაზელ **პერ მერტეზაკერზეც**.



დიდიე დეშამი

ბორდო

# დეშამი, პაპენი ან ბლანი

**დიდიე დეშამის** უმუშევრობა, ალბათ, მალე დასრულდება. "იუვენტუსიდან" წასული მწვრთნელი მოლაპარაკებას მართავს "ბორდოსთან", რათა პოსტზე ბრაზილიელი **რიკარდო** შეცვალოს. ეს უკანასკნელი "მონაკოში" ინიშნება. მონეგასკები მას ორწლიან კონტრაქტს გაუფორმებენ. რაც შეეხება "ბორდოდან" მისი წასვლის მიზეზს, საქმე ეხება ჩემპიონთა ლიგაში ვერმოხვედრას. თურმე, მწვრთნელის კონტრაქტში ეს მოთხოვნა ერთ-ერთი მუხლის სახით ყოფილა შეტანილი. ასე რომ, ხელშეკრულების პირობა უნდა შესრულდეს. დეშამთან მოლაპარაკებებს კი ფრანგული სააგენტოებიც ადასტურებენ და გუშინ ეს "გაძეტა დელო სპორტმაც" დაწერა.

მაგრამ დეშამი ეული კანდიდატი არ გახლავთ. არის ალტერნატივა ლეგენდარული **ჟან-პიერ პაპენის** სახით. თურმე, "ბორდოს" განვრთნა სურს კიდევ ერთ დიდ ფიგურას, 41 წლის **ლორან ბლანს**, რომელსაც თანამდებობის დაკავებაში შესაბამისი დიპლომის არქონა უშლის ხელს. ერთი სიტყვით, ამ მომენტისთვის დეშამის პოზიციები უფრო ანგარიშგასაწევია.

კიდევ ერთი ამბავი, რომელიც "ბორდოს" ეხება. "რომა" ჟირონდელთა ნახევარმცველ **ჟულიენ ფობერის** გადაბირებას ცდილობს. 23 წლის მოთამაშეზე დიდი მოთხოვნაა. ის უნივერსალად ითვლება, რაკი დაცვაშიც შეუძლია თამაში და შუა ხაზის ნებისმიერ პოზიციაზეც. ფობერს უკვე ჰქონდა დებიუტი ეროვნულ ნაკრებში. **რაიმონ დომენეკმა** ის გასული წლის აგვისტოში (საქართველოსთან მატჩამდე), ბოსნიასთან ამხანაგური მატჩისთვის გამოიძახა და 10-ნომრიანი მაისურაც უბოძა. შეგახსენებთ, რომ ხსენებული მატჩი ფრანგებმა 1:2 დათმეს. რაც შეეხება ფობერის სატრანსფერო ფასს, როგორც გაირკვა, "რომა" ნახევარმცველში 10 მილიონ ევროს იხდის.

დაპირისპირება

# გალიანი: მე ეს არ მითქვამს!

## მილანის ოფიციოზი ხელს მასმედიისკენ იშვერს. ეტო'ოს შეძენის წინადადებით ბარსას მოგვიანებით მივმართავთო...

"მილანის" ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** უხერხულ სიტუაციაში აღმოჩნდა. იტალიურ პრესაში გამოქვეყნდა მისი ინტერვიუ, რომელშიც საუბარია "როსონერიში" **სამუელ ეტო'ოს** მოსალოდნელ ტრანსფერზე, თითქოსდა, ამ ტრანსფერის განხორციელებას ბევრი არაფერი უკლია. მასალამ "ბარსელონის" ხელმძღვანელთა აღშფოთება გამოიწვია. ისინი გალიანის "თამაშის წესების" დარღვევასა და არაკოლეგიალობაში ადანაშაულებენ, თან ზედაც სპეციალურ განმარტებას ითხოვენ. "მილანის" ოფიციოზი იძულებული გახდა, საკუთარი ვებგვერდის საშუალებით საპასუხო განცხადება გაევრცელებინა. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაფერი პრესას დაბრალდა:

*"განვმარტავთ, რომ "მილანის" ხელმძღვანელობას, ჯერჯერობით, არ აქვს გეგმაში, ეტო'ო იტალიაში ჩამოიყვანოს. ისეთმა პრესტიჟულმა კლუბმა, როგორიც "ბარსელონაა", უნდა იცოდეს, "მილანი" ყოველთვის დადგენილი წესების ფარგლებში მოქმედებს. ადრიანო გალიანი შეშფოთდა, როცა პრესაში წაიკითხა ის, რაც არ უთქვამს. ამაში, "მილანსა" და გალიანის არანაირი ბრალი არ მიუძღვით. ეტო'ო "ბარსელონის" მოთამაშეა და თუ "მილანი" გადაწყვეტს მის შეძენას, აუცილებლად მიმართავს კლუბს, მაგრამ ეს მოხდება მხოლოდ ესპანეთის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ. გაყიდის მოთამაშეს, თუ შეინარჩუნებს, ეს უკვე უშუალოდ "ბარსელონის" გადასაწყვეტია".*

რა თქმა უნდა, გალიანის არ სურს ისეთივე კონფრონტაცია ჰქონდეს კატალონიურ კლუბთან, როგორსაც ადგილი ჰქონდა გასულ ზამთარს, "რეალის" პრეზიდენტ **რამონ კალდერონთან** მოლაპარაკებების დროს, როცა საქმე ეხებოდა რონალდოს მილანურ ტრანსფერს. თუმცა ზემოთ მოყვანილ განცხადებაში ეტო'ოს შეძენის სურვილი ნათლად იკითხება. "მილანის" ოფიციოზი ასევე გამოგონილს უწოდებს გალიანის კიდევ ერთ კომენტარს, რომელიც ბოსმა **დავიდ ტრეზეგესა და ალბერტო ჯილარდინოს** შესაძლო გაცვლასთან დაკავშირებით გააკეთა. განცხადებაში ნათქვამია, რომ "როსონერის" ვიცე-პრეზიდენტს არ უთქვამს ფრაზა - "შეშლილები ხომ არ ვართ"?!

*"გალიანიმ ზუსტად ასე თქვა: ჩვენ საფეხბურთო სამყაროს ძალიან კარგად ვიცნობთ და ტრანსფერებშიც უდიდესი გამოცდილება გვაქვს. რაც შეეხება ჯილარდინოსა და ტრეზეგეს გაცვლას, სწორედაც გამოცდილება გვკარნახობს, რომ ფეხბურთელი, რომელიც 1982 წელსაა დაბადებული, არ შეიძლება გაცვალო მოთამაშეში, რომელიც მასზე ხუთი წლით უფროსია".*

იუვენტუსი

# ლემპარდი მხოლოდ ოცნებაში...

## ძებინამ კონტრაქტი გააგრძელა

"იუვენტუსი" რომ **ფრენკ ლემპარდის** შეძენითაა დაინტერესებული, ამაზე უკვე ვწერდით. ტურინელებს იმედი აქვთ, რომ ამ ტრანსფერში საკვანძო როლს ითამაშებს ახლადდანიშნული მწვრთნელი **კლაუდიო რანიერი**, რომელიც კარგად იცნობს ლემპარდს "ჩელსიში" მათი ოთხწლიანი თანამშრომლობის დროიდან. მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად არ არის. "ბებერ ქალბატონს" ინგლისის ნაკრების ნახევარმცველის ყიდვა ძალიან გაუჭირდება. საქმე ასეა: ტურინელები მასში 12 მილიონ გირვანქას იძლევიან, მაშინ, როცა 2001 წელს "ჩელსიმ" "ვესტ ჰემიდან" ის 11 მილიონად შეიძინა. ზლაპარია, რომ ლონდონელებმა გუნდის ლიდერი და მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველი ამ ფასად დათმონ.

მაშ, სად არის გამოსავალი? გამოსავალი მარტივია: "იუვენტუსმა" შეთავაზებული ფასი მინიმუმ ორჯერ მაინც უნდა გაზარდოს. მაგრამ, როგორც ირკვევა, ტრანსფერებისთვის გამოყოფილი თანხა მკაცრად ლიმიტირებულია. როგორც ჩანს, "კალჩოპოლის" სკანდალისგან მიყენებული ზარალი "სინიორას" ჯერაც მძიმე ტვირთად აწევს. კლუბის მეპატრონეები, ჯერჯერობით, დიდ დანახარჯებზე ვერ მიდიან. არადა, "იუვეს" მარტო ლემპარდი არ სჭირდება. აქედან გამომდინარე, საოცნებო გარიგება, შეიძლება, ოცნებადვე დარჩეს.

მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, ფეხბურთელის ლონდონური მომავალი მაინც კითხვის ნიშნის ქვეშაა. პრესაში გაჩნდა ცნობა, რომ ლემპარდმა უკვე უარყო კლუბის წინადადება, რომელიც კვირეული ხელფასის 140 ათას (!) გირვანქამდე გაზრდასა და კონტრაქტის 2009 წლამდეგ გახანგრძლივებას ეხებოდა.



ფრენკ ლემპარდი

და რა ხდება "ბარსელონის" ფრონტზე? როგორც იცით, ლემპარდის გადაბირებით კატალონიური გრანდიცაა დაინტერესებული. "ბარსას" სპორტულმა დირექტორმა **ჩიკი ბეგირისტაინმა** კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ინგლისელის შესაძენად ფულსა და ძალ-ღონეს არ დაიშურებს.

დაბოლოს, კიდევ ერთი ინფორმაცია "იუვენტუსის" ბანაკიდან. ფრანგმა მცველმა **ჯონათან ძებინამ** "ქალბატონს" ბედი კიდევ 4 წლით დაუკავშირა.

პარმა

# გვიდოლინი?

## შეიძლება, როსი რანიერის იუვეში გაჰყვეს

**ფრანჩესკო გვიდოლინი**, შეიძლება, "პარმის" მთავარი მწვრთნელი გახდეს. უთავოდ დარჩენილი კლუბი ვაკანტური პოსტის დასაკავებლად რამდენიმე ვარიანტს განიხილავს, მაგრამ როგორც იტალიური პრესა გვარწმუნებს, მთავარი კანდიდატი "პალერმოს" ექსთავკაცია. სხვებიდან, პირველ რიგში, **ლუიჯი დელ ნერი** უნდა გამოვყოთ. "პარმა" უკვე დაუკავშირდა "მფრინავ ვირს", რომელმაც 2-წლიანი კონტრაქტი მოითხოვა. კლუბის პრეზიდენტმა **ტომაზო გირარდიმ** (ჯერჯერობით) დელ ნერი უარით გაისტუმრა. ის ამჯობინებს, მწვრთნელი ერთი წლით დაიქირაოს და თუ წარმატება ექნა, კონტრაქტის გაგრძელებას რაღა დაუდგება წინ?

სწორედ ამის შემდეგ გადაწყდა მოლაპარაკების დაწყება გვიდოლინთან, რომელსაც სხვა წინადადებაც აქვს. არ გამორიცხავენ, ის "ბოლონიას" დაუბრუნდეს, სადაც წლების წინათ გარკვეული წარმატებები ჰქონდა. მაგრამ საკითხავია, რამდენად ულირს გვიდოლინს სერია B-ში მუშაობა. ცნობილია, რომ პარმელთა წინადადებას ის ენთუზიაზმით შეხვდა, მაგრამ მოსაფიქრებლად გარკვეული დრო ითხოვა.

ამასობაში, ვრცელდება ინფორმაცია, რომ "პარმის" ახალგაზრდა შემტევი ნახევარმცველი **ჯუზეპე როსი** "იუვენტუსში" **კლაუდიო რანიერის** გაყვება. პარმეზანულ კლუბში ის ამ ზამთარს გაანათხოვრა "მანჩესტერ იუნაიტედმა", რომელიც მასზე უფლებების ხელიდან გაშვებას არ აპირებს. ასე რომ, "იუვეს" სწორედ "მენიუსთან" მოუწევს ურთიერთობის გარკვევა. 21 წლის ტალანტს ტურინში თანაგუნდელები ელოდებიან ახალგაზრდული ნაკრებიდან - **რაფაელე პალადინო** და **სებასტიან ჯოვინკო**. მაგრამ როსი, ალბათ, ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ "იუვეში" კონკურენცია მოუწევს თვით **ალესანდრო დელ პიეროსა** და **დავიდ ტრეზეგესთან**, რაც მისი მომავლისთვის, ერთი მხრივ, შემაფერხებელი ფაქტორიც იყოს, ხოლო მეორე მხრივ, უკეთესიც. მოკლედ, უნდა იფიქროს... მაგრამ აცლიან კი ფიქრს?



ფრანჩესკო გვიდოლინი

ტორინო

# ნოველინომ ხელი მოაწერა

მაშ ასე, "ტორინომ" საბოლოოდ **ვალტერ ნოველინოზე** შეაჩერა არჩევანი. გუშინ, მწვრთნელმა "ბროწეულებთან" 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. "ტორინოს" პრეზიდენტი **ურბანო კაირო** თანახმა იქნება, მწვრთნელთან თანამშრომლობა მომავალ წელსვე გააგრძელოს, თუკი წარსულში სახელოვანი კლუბი სერია A-ს მომავალ კამპანიაში წარმატებით გამოვა. თუმცა ოფიციალური პრეზენტაციისას, არაფერი თქმულა იმაზე, თუ რა იგულისხმება ამ "წარმატებაში". ჯერჯერობით, "ტორინოში" არსებული სიტუაცია არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ახალ ჩემპიონატში გუნდი მაღალი ადგილებისთვის იბრძოლებს, თუნდაც უეფას თასის საგზურისთვის. პრეზიდენტი კი თვლის, რომ ეს გარანტიები სწორედ ნოველინომ, როგორც გამოცდილმა და მცოდნე სპეციალისტმა უნდა შექმნას. საამისოდ, ახალი ფეხბურთელებია საჭირო, ახალი და თან ძლიერი. ჯერჯერობით, "ტორინოს" სახელს მხოლოდ **ალვარო რეკობას** უკავშირებენ. რეკობა ნოველინოსთან ერთად ჯერ კიდევ "ვენეციაში" თანამშრომლობდა. მაშინ, "ელ ჩინო" იქ "ინტერიდან" იყო განათხოვრებული, ახლა კი "ინტერში" თავის მომავალს ვეღარ ხედავს. რეკობას ერთმნიშვნელოვნად აქვს გადაწყვეტილი, "ნერაძური" ამ ზაფხულსვე დატოვოს. მაგრამ გადავა თუ არა ტურინში, ამას ჯერ ვერავინ იტყვის.

ორიოდ სიტყვით ნოველინოს წარსულზე. 54 წლის სპეციალისტის, წარსულში არცთუ ურიგო მცველის საფეხბურთო ნათლობა სწორედ "ტორინოში" მოხდა, სადაც სადებიუტო მატჩი 1972 წელს ჩაატარა. სამწვრთნელო კარიერა კი "პერუჯათი" დაიწყო. მერე იყო "გუალდო", "რავენა" და "ვენეცია", რომელიც სერია A-ში გადაიყვანა და პირველსავე სეზონში მე-10 ადგილი მოუტანა. გონდოლების ქალაქიდან ნოველინომ სერია B-ში დაქვეითებულ "ნაპოლის" მიაშურა და ისიც უმაღლეს დივიზიონში გადაიყვანა. შემდეგ ანალოგიური წარმატებით იმუშავა "პიაჩენცაშიც", ბოლოს კი "სამპდორიაშიც", რომელიც 2002 წელს ჩაიბარა და ჯერ სერია A-ში გადაიყვანა, ორ წელიწადში კი უეფას თასის საგზურიც მოაპოვებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი

# ბოხუმმა პოდოლსკი მოითხოვა

## გამოვა თუ არა ლუკასის არენდა?



ლუკას პოდოლსკი

**ლუკას პოდოლსკიმ** ეს სეზონი ჩააგდო. ჩააგდო და მერე როგორ! მოთამაშემ, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გახდა, "ბაიერნის" ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა. არადა, ვერავინ იტყვის, რომ მას ჩაგრავდნენ, სულაც პირიქით, მწვრთნელები, ხელმძღვანელები, გულშემატკივრები, ჟურნალისტები - "პრინც პოლდის" ყველანი მხარში ედგნენ. უბრალოდ, როცა ფეხბურთელი უსუსური "კიოლნიდან" მიუნხენის "ბაიერნში" გადადის, რაც არ უნდა ნიჭიერი იყოს, ისიც უნდა იცოდეს, რომ გაცილებით მეტი მოეთხოვება. არცაა გასაკვირი, "კიოლნის პრინცი" რეკორდმაისტერში რომ ჩაიკარგა.

ერთი სიტყვით, თამამად შეიძლება ითქვას, რომ პოდოლსკიმ "ბაიერნის" ბოსებს იმედები გაუცრუა და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რეკორდმაისტერმა მომდევნო სეზონისთვის **ლუკა ტონი** გადაიბირა, პოდოლსკის შანსი, ითამაშოს ძირითად შემადგენლობაში, კიდევ უფრო შემცირდა. თანაც, ბავარიელები **მიროსლავ კლოზეს** გადაბირებასაც აპირებენ და ხომ ხვდებით, ფაქტია, რომ ლუკასს თამაში ძალიან იშვიათად მოუწევს, რადგან ტონი, კლოზე, **მაკაი** - ეს ისეთი კომპანიაა, სადაც პოდოლსკი მეოთხეხარისხოვანი თავდამსხმელის წოდებისთვისაა განწირული.

სწორედ ამიტომ, რეალურად მოჩანს ის ვარაუდი, რომ მიუნხენელები მას სადმე გაანათხოვრებენ. და უკვე გამოჩნდა გუნდი, რომელიც მზადაა, პოდოლსკი არენდით აიყვანოს. ეს გახლავთ "ბოხუმი", რომელიც "ლევერკუზენში" გადაბარგებული **თეოფანის გეკასის** შემცვლელს ეძებს. "შპორტ-ბილდის" ცნობით, რურელთა მთავარი მწვრთნელი **მარსელ კოლერი** ძალიანაა მონადინებული, რომ პოდოლსკი ერთი წლით ინათხოვროს. აქვე უნდა გითხრათ, რომ კოლერი ის კაცია, ვინც პოლდი აღმოაჩინა. შვეიცარიელი სპეციალისტი "კიოლნს" სწორედ იმ დროს წვრთნიდა, როცა იქ ლუკასი გამოჩნდა.

*"დიახ, პოდოლსკის არენდით აყვანაზე სერიოზულად ვფიქრობ,"* - განუცხადა კოლერმა "შპორტ-ბილდს". ცნობილია, რომ რურელთა თავკაცი ლუკასს უკვე დაუკავშირდა და თავისი გეგმები გააცნო. *"მე მას ვუთხარი, "ბოხუმის" კარი შენთვის ღიაა და თუ ფიქრობ, რომ "ბაიერნში" სათამაშო პრაქტიკა არ გექნება, მე წაგიყვან და გათამაშებ-მეთქი. მიმაჩნია, რომ არენდის წინააღმდეგი არც "ბაიერნი" უნდა იყოს,"* - ამბობს კოლერი და იქვე ამატებს, - *"თუ ლუკასი ჩვენთან მთელ სეზონს ითამაშებს, საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნდება, რაც მომავალი ევროპის ჩემპიონატისთვის ძალიან მნიშვნელოვანია."*

თვითონ ფეხბურთელი დღემდე რეგულარულად იმეორებდა, არ მაინტერესებს, ვის ყიდულობს "ბაიერნი", დარწმუნებული ვარ, რომ აუცილებლად ვითამაშებო. *"ვინც არ უნდა იყიდონ, თუ თავს არ დავზოგავ, ჰიტცფელდი აუცილებლად მათამაშებს. თანაც, ისეთი ფორვარდების გარემოცვაში ყოფნა, როგორებიც ტონი, მაკაი და კლოზე არიან, ჩემთვის უდიდესი პატივი იქნება,"* - ამბობს ლუკასი.

მაგრამ ფაქტია, რომ თუ მიუნხენელებმა კლოზეც იყიდეს, ჰიტცფელდს მორალური უფლება არ ექნება, რომ ტონი, მაკაი ან მირო სკამზე დასვას, რომელიმე მათგანის ნაცვლად კი პოდოლსკი ათამაშოს. მიროს და ტონის თავი რომ დავანებოთ, მაკაიმ ამ სეზონში 16 გოლის გატანა შეძლო. შედარებისთვის, პოლდიმ ოდენ 4 გოლს მოუყარა თავი, რაც ფორვარდისთვის, რბილად რომ ვთქვათ, ცუდი შედეგია.

**გოტფრიდ ლენცი**

ესპანეთის ნაკრები

# ჩავი: მე კატალონიელი ვარ

## მაგრამ ბარსელონელი ნახევარმცველი პოლიტიკაში არ ერევა



ჩავი ერნანდესი

**ჩავის** ესპანელი ჟურნალისტების დაუფარავი აგრესიის მოგერიება თითქმის ყოველ დღე უხდება. მედია "ბარსას" ნახევარმცველს მას შემდეგ დაუპირისპირდა, რაც მან განაცხადა, რომ საკუთარი კლუბის ინტერესებიდან გამომდინარე, ლატვიის ნაკრებთან მატჩში ყვითელი ბარათი განგებ მიიღო. უეფას მიერ დისკვალიფიცირებულ ერნანდესს ლიხტენშტეინთან თამაშის უფლება აღარ აქვს. ასე რომ, ის "ბარსელონას" ნაადრევად დაუბრუნდა. ფეხბურთელი "ესპანიოლთან" უმნიშვნელოვანეს დაპირისპირებას დასვენებული შეხვდება. კატალონიელი გულშემატკივრები ჩავის საქციელით აღფრთოვანებულები დარჩნენ. აი, პატრიოტი ესპანელი ქომაგები და ჟურნალისტები კი აღშფოთებას ვერ მალავენ. ამ ხალხმა ბარსელონელი დაუნდობელი კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა. ერნანდესი იძულებული გახდა, თავი ემართლებინა: *"ვერ ვხვდები, რატომ აგორდა სკანდალი. ჩემი გადაწყვეტილების შესახებ თავიდანვე გარკვევით ვისაუბრე, მაგრამ რატომღაც საზოგადოებამ ვერ გამიგო. ან, შესაძლოა, არც სურთ, რომ გამიგონ. მთელი ამბავი ატეხეს, ჩავიმ პოლიტიკური დემარში მოაწყოო. ეს უდიდესი სისულელეა. დიახ, მე კატალონიელი ვარ, მაგრამ პოლიტიკური გადაწყვეტილებები არასოდეს მიმიღია. უკვე ათი წელია, რაც ესპანეთის ნაკრებში ვთამაშობ. ერთ შემთხვევასაც ვერ გაიხსენებენ, ოდესმე უარი მეთქვას "სელექსიონის" ღირსების დაცვაზე. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ ახლა "ბარსას" უფრო ვჭირდები. განა ძნელი მისახვედრია, რომ ეროვნული გუნდი ლიხტენშტეინს უჩემოდაც დაამარცხებს? მოკლედ, ყველას ვთხოვ, უაზრო აჟიოტაჟს ნუ ატეხავენ."*

გერმანიის ნაკრები

# ადიდასის რევოლუციური გეგმა

## აი, როგორი იქნება ბუნდესგუნდის ფორმა ევროპის ჩემპიონატზე...

ნოემბერში გერმანიის ნაკრების მთავარი სპონსორი და შემმოსავი "ადიდასი" იმ ფორმას წარადგენს, რომლითაც ალემანები ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებენ. მანამდე ჯერ კიდევ დიდი დროა, მაგრამ გამოცემა "ბილდმა" უკვე გამოაქვეყნა (ექსკლუზიურად) იმ ფორმის ფოტო, რომელიც "ადიდასმა" ნოემბერში გერმანიის საფეხბურთო საზოგადოებას უნდა წარუდგინოს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს არ არის უბრალოდ ახალი ფორმა - ჩვენი გერმანელი კოლეგებიც პირდაპირ წერენ, რომ ეს ნამდვილი რევოლუციაა. პირველად, გერმანიის ნაკრების არსებობის ისტორიაში, თეთრ მაისურას წინა მხარეს ე.წ. ბეჭედი ექნება - შავი, განიერი ზოლი, წითელი და ოქროსფერი, მკრთალი ზოლებით, ანუ გერმანიის სახელმწიფო ფერები, ეროვნული დროშა ეროვნული ნაკრების მოთამაშეების მკერდზე. გერმანიის საფეხბურთო კავშირის ლოგო ამ შემთხვევაში ნეგატივითაა: თეთრი შავ ფონზე.

ამრიგად, დღეიდან საფეხბურთო გერმანია იწყებს დისკუსიას: ლამაზია თუ არა ბუნდესგუნდის ფორმის ეს ვარიანტი? 1972 წელს **გერდ მიულერმა, ფრანც ბეკენბაუერმა, გიუნტერ ნეტცერმა** და სხვებმა, გერმანია ევროპის ჩემპიონი უბრალო, თეთრ მაისურებში გახადეს. 80-იან წლებში **ბერნარდ დიტცი** და კომპანიაც ასეთივე ფორმით ზეიმობდნენ. 1996 წელს **იურგენ კლინსმანმა** ინგლისიდან ევროპის თასი კვლავინდებურად თეთრი ფორმით წაიღო და DFB-ს ლოგო მაშინაც შავ ფონზე გახლდათ დატანილი.

აქვე გეტყვით, რომ გუშინ გამოცემა "ბილდმა" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოკითხვა ჩაატარა. კითხვა ასე ჟღერდა: როგორ მოგწონთ ახალი ბუნდესფორმა? სავარაუდო პასუხი კი 2 იყო: "საშინელებაა!" და "შესანიშნავია, ამ ფორმით ევროპის ჩემპიონები გავხდებით!" აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 76.38-მა პროცენტმა ახალ ფორმას საშინელება უწოდა და ის მხოლოდ 23.62 პროცენტს მოსწონს.



კიკერის ფოტომონტაჟი:
ასეთი იქნება გერმანელთა ახალი ფორმა

### სენამ და ფორლანმა იჩხუბეს

"ვილიარეალის" გუშინდელი ვარჯიში სამარცხვინო ინციდენტის გამო შეწყდა. ამის მიზეზი **მარკოს სენასა** და **დიეგო ფორლანის** მიერ გამართული მუშტიკრივი გახდა. **მანუელ პელეგრინიმ** ჩვეული მომქანცველი, მაგრამ ძალიან სასარგებლო სავარჯიშოების შემდეგ შეგირდებს 30-წუთიანი სპარინგ-მატჩის გამართვა დაავალა. პრობლემები სწორედ ამ დროს წარმოიქმნა. სენამ ფორლანს ზედიზედ ორჯერ საკმაოდ მტკივნეულად ჩაარტყა. ურუგვაელი წყენას ვერ მოერია და პირველი შესაძლებლობისთანავე თანაგუნდელს მუხლთან ახლოს გამეტებით უთავაზა. მარკოსმა სიბრაზისგან კონტროლი დაკარგა და დიეგოს მუშტი ყბაში უთავაზა. ვალში სამხრეთამერიკელიც არ დარჩა და მოედანზე ქუჩური ჩხუბი გაჩაღდა. სხვა ფეხბურთელების დროული ჩარევა რომ არა, ინციდენტი სერიოზული ტრავმებით დასრულდებოდა. "ვილიარეალის" ბაზაზე მისული ჟურნალისტები გაოგნებულები დარჩნენ. ვარჯიშის დასრულების შემდეგ მათ მოჩხუბრების კომენტარების მოპოვება ცადეს, თუმცა ფორლანი არ გაჩერდა და მანქანისკენ ჩქარი ნაბიჯით გაიქცა. სენამ კი ასეთი რამ თქვა: *"ყველას დიდ ბოდიშს გიხდით. უნდა ვაღიარო, რომ ცუდად მოვიქეცით. ზოგჯერ ემოციების მოთოკვა შეუძლებელი ხდება. მერწმუნეთ, მე და დიეგო ძალიან მალე შევრიგდებით და ამ დღეს აღარასოდეს გავიხსენებთ. რას ვიზამთ, ფეხბურთი და ემოცია განუყოფელია ერთმანეთისგან."*

### კარლოს დიოგო: ჩემპიონი ბარსელონა გახდება

"სარაგოსის" ურუგვაელი მცველი **კარლოს დიოგო** "რეალთან" მოახლოებული დაპირისპირების ციებ-ცხელებაში ჩაერთო და საზოგადოებას საკმაოდ თამამი განცხადებით მიმართა: *"მიმდინარე სეზონის მსვლელობისას რამდენიმე გუნდი გამოირჩეოდა. "სევილიამ" ზედიზედ მეორედ მოიპოვა უეფას თასი. მას ჩემპიონობის შანსი დღემდე არ დაუკარგავს. "ბარსელონა" საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში ყველაზე ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა. "რეალმა" სერიოზული პროგრესი განიცადა. ახლა ყველას აინტერესებს, ამ სამი გუნდიდან რომელი გახდება ჩემპიონი. თავს უფლებას მივცემ და ჩემს პროგნოზს შემოგთავაზებთ. ჩემპიონი "ბარსელონა" გახდება. კატალონიელებს ძალაუნებურად დავეხმარებით. "სარაგოსას" უეფას თასის საგზურის მოპოვება სურს. ამისათვის კი სამეფო კლუბის დამარცხებაა საჭირო. წინასწარ საუბარი არ მიყვარს ხოლმე, მაგრამ ამჯერად გამონაკლისს დავუშვებ. აბსოლუტურად დარწმუნებული გახლავართ, რომ "რეალს" დავამარცხებთ."* დიოგოს განცხადებას სამეფო კლუბის გენერალური დირექტორი **პრედრაგ მიატოვიჩი** გამოეხმაურა და ურუგვაელი მცველის გამოსვლას მასხარაობა უწოდა.

### რობერტო კარლოსი ფენერბაჰჩეში

"ფენერბაჰჩეს" ხელმძღვანელობამ გულშემატკივრებს უაღრესად სასიხარულო ინფორმაცია ამცნო. თურქული კლუბის მესვეურებმა **რობერტო კარლოსი** გადაიბირეს. აი, რა წერია "ფენერის" ოფიციალურ ვებგვერდზე: *"ბრაზილიელი მცველის მენეჯერთან მოლაპარაკებამ მხოლოდ 20 წუთს გასტანა. დეტალები წინასწარ გვქონდა განხილული. ახლა უკვე დარწმუნებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ რობერტო კარლოსი მომავალი სეზონიდან ჩვენი გუნდის ღირსებას დაიცავს."* გუშინ ჟურნალისტებს "ფენერბაჰჩეს" პრეზიდენტი **აზიზ ილდირიმი** გაესაუბრა. კლუბის უმაღლესი ხელისუფალი გვამცნობს, რომ სამხრეთამერიკელი ვეტერანი სტამბულში მომდევნო ორ სეზონს გაატარებს.

### ალუ დიარა: იუვე თუ ვერდერი?

ბრემენის "ვერდერი" "ლიონისა" და საფრანგეთის ნაკრების საყრდენი ნახევარმცველით, **ალუ დიარათი** დაინტერესდა. 25 წლის დიარა გერმანულ ფეხბურთს კარგად იცნობს, რადგან 2000-იდან 2002 წლამდე "ბაიერნის" რიგებში ირიცხებოდა, თუმცა ბუნდესლიგაში არცერთი შეხვედრა არ ჩაუტარებია. "ვერდერთან" ერთად მისი გადაბირება "იუვენტუსსაც" სურს. დიარას ფასი 5-იდან 7 მილიონ ევრომდე მერყეობს.

### პუმპიდომ მექსიკას მიაშურა

არგენტინის ნაკრების ყოფილი მეკარე **ნერი პუმპიდო** მექსიკური "ველაკრუსის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. 1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონს 2002 წელს პარაგვაულ ოლიმპიასთან ერთად ლიბერტადორესის თასის აქვს მოპოვებული. სხვა და სხვა დროს მას არგენტინულ "ნიუელს ოლდ ბოისსა" და მექსიკურ "ტიგრესში" უმუშავია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დავორ შუკერთან

# 17 ივნისს სიბელესზე ვიქნები

## სამეფო კლუბის ყოფილი ფორვარდის გულის ნაწილი სევილიას ეკუთვნის, თუმცა მიატოვიჩსა და კაპელოსთან მეგობრობის გამო მას რეალის ჩემპიონობა სურს...

**"სარაგოსისა" და "რეალის" დაპირისპირების მოახლოებასთან ერთად, ესპანურ საფეხბურთო წრეებში აჟიოტაჟი არნახულ მასშტაბებს აღწევს. უკვე არაერთხელ მოგახსენეთ, რომ პრიმერადივიზიონურმა ინტრიგამ "სელექსიონის" თამაშები პირწმინდად დაჩრდილა. დღე ისე არ ჩაივლის, წამყვან გაზეთებში რომელიმე მოქმედი, ან ყოფილი ფეხბურთელის ინტერვიუ არ გამოქვეყნდეს. ამჯერად საშუალება გვაქვს "დიარიო მარკას" მიერ მომზადებული მასალა გაგაცნოთ. მადრიდული გამოცემა ესპანეთის დედაქალაქში საგანგებოდ ჩასულ დავორ შუკერს გაესაუბრა. სამეფო კლუბის ყოფილი ფორვარდის ვიზიტი ორი მიზეზით იყო განპირობებული. პირველ ყოვლისა, მას სურს, არაგონელებთან უმნიშვნელოვანესი დაპირისპირების წინ საყვარელი გუნდის მოთამაშეები გაამხნეოს და გამარჯვებაში მოკრძალებული წვლილი შეიტანოს. გარდა ამისა, შუკერს ალიკანტეში საქმეც ჰქონდა. ამ ქალაქში მას სამშენებლო ფირმა და ავეჯის მცირე ქარხანა აქვს გახსნილი. ესპანეთში წარმოებულ პროდუქციას დავორი ხორვატიაში ყიდის. როგორც თავად ამბობს, ბიზნესი სწრაფი ტემპებით ვითარდება, რადგან მის თანამემამულეებს ალიკანტეში გაკეთებული ავეჯი და სამშენებლო მასალები ძალიან მოსწონთ. როგორც გაირკვა, შუკერმა მორიგი ვიზიტი საგანგებოდ ამ დროს დაამთხვია, რადგან "რეალის" ფეხბურთელებს შეხვდეს და გამოცდილება გაუზიაროს. ფაბიო კაპელო ყოფილი შეგირდის ინიციატივას სიამოვნებით დათანხმდა. იტალიელ სპეციალისტს არ დავიწყებია, რომ ხორვატმა ვარსკვლავმა 1996-97 წლების სეზონში ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაში სერიოზული როლი ითამაშა.**

**- მადრიდში საკმაოდ ხშირად ჩამოდიხართ. ეს ვიზიტი, ალბათ, განსაკუთრებულია. არ დაიზარეთ და მადრიდს გამოფრინდით. როგორც თავად მოგვახსენეთ, ბიჭების გამხნევება გსურთ...**

- გულმა არ მომითმინა. სახლში ვერ დავჯდებოდი. ცხადია, თავს არადელიკატური მოქმედების უფლებას არ მივცემდი. ოფისში წინასწარ დავრეკე და ვიკითხე, რომ გესტუმროთ, ხელს ხომ არ შეგიშლითმეთქი. გაეცინათ და მითხრეს, დავორ, შენ ჩვენიანი ხარ. როცა მოგესურვება, მაშინ ჩამოდიო. ესპანეთში სერიოზული ბიზნესი მაქვს, მაგრამ "სარაგოსასთან" მოახლოებული თამაში რომ არა, ჯერ არ ჩამოვფრინდებოდი. შესაძლებლობით ვისარგებლებ და თამაშის შემდეგ საქმესაც მივხედავ... თუმცა უკვე იცით, რომ პირველ რიგში სამეფო კლუბის მხარდასაჭერად ვარ აქ.

**- როგორ ფიქრობთ, მალე დაბრუნდებით მადრიდში?**

- დაახლოებით 10 დღეში. ჩემივარაუდით, "რეალი" ჩემპიონობას ბოლო ტურში გაიფორმებს. ასე რომ, 17 ივნისს სიბელესზე ვიქნები.

**- დარწმუნებული ხართ, რომ კაპელოს ბიჭები ჩემპიონები გახდებიან?**

- ეჭვიც არ მეპარება. "ბარსელონა" ფავორიტი იყო, მაგრამ შანსი ხელიდან გაუშვა. ისინი სიტუაციის შემობრუნებას ვერ შეძლებენ. ეს "რეალის" სეზონია. კატალონიელებმა ყველაფერი საკუთარ თავს უნდა დააბრალონ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ მათ ფანტასტიკური შანსი გაუშვეს ხელიდან. სამეფო კლუბმა დარჩენილი ორი შეხვედრა აუცილებლად უნდა ჩაატაროს. "სარაგოსა" ტრადიციულად რთული მეტოქეა, თუმცა მე, პედიასა და კაპელოს არაგონელები ერთხელ დამარცხებული გვყავს. არ მესმის, ახლა რატომ ვერ უნდა მოიგონ? მთავარია, არ აღელდნენ და ეიფორიაში არ ჩავარდნენ.

**- გულწრფელად რომ ვთქვათ, "რეალი" მიმდინარე სეზონში არ ბრწყინავდა. განვლილი თვეების განმავლობაში ისინი უამრავ პრობლემას გადაეყარნენ. აი, სეზონის დასკვნით მონაკვეთს კი მართლაც ფანტასტიკურად ატარებენ...**

- უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ პედიასა და კაპელოს მიერ გაწეულმა შრომამ შედეგები მოიტანა. მათ დიდი განსაცდელი გამოიარეს. პრესას სისტემატურად ვკითხულობ და ვიცი, რომ ჟურნალისტები დაუნდობლად აკრიტიკებდნენ. ყველაზე მტკივნეული გულშემატკივრების რისხვა იქნებოდა. ამ ჯოჯოხეთის მიუხედავად, მიატოვიჩმა და კაპელომ საიმისო ძალა გამონახეს, მუშაობა გაეგრძელებინათ და ყველასთვის დაემტკიცებინათ, რომ ჭეშმარიტი პროფესიონალები არიან. მჯერა, ამ ორ ადამიანს შესანიშნავი ფინალი ელის. ყველაფერი სიბელესის ფიესტით დაგვირგვინდება. არ მავიწყდება, რომ ამ სეზონში სამეფო კლუბს მსაჯები აწამებდნენ. ობიექტური მიზეზების გამო, ფეხბურთელები, მწვრთნელები და დირექტორატის მაღალჩინოსნები ამ საკითხზე ღიად ვერ ისაუბრებენ. მე კი თავისუფალი ადამიანი ვარ და შემიძლია მოგახსენოთ, რომ არბიტრების გაუგონარი შეცდომების გამო "რეალმა" მრავალი ქულა დაკარგა. მათი არაობიექტურობა რომ არა, ჩემი გუნდი ვადამდელი ჩემპიონი გახდებოდა. ხშირად ამბობენ, რომ ბიჭები ლამაზად ვერ თამაშობენ. იცით რას გეტყვით? სეზონის ბოლოს შედეგებს ითვლიან და საუკეთესოს ქულების რაოდენობის მიხედვით ავლენენ. დიახ, "რეალი" ხშირად უსახურად გამოიყურებოდა, მაგრამ ახლა ხომ უდიდესი გამარჯვების მიჯნაზეა? არადა, განვლილმა ოთხმა წელმა ტიტულების გარეშე ჩაიარა. კაპელომ და მიატოვიჩმა მუშაობის პირველივე წელს შეძლეს, სამეფო კლუბი პრიმერა დივიზიონის უპირველეს ფავორიტად ექციათ.



დავორ შუკერი, დიეგო მარადონა და გორან ივანიშევიჩი ერთ-ერთი საქველმოქმედო მატჩისას

**- გენერალური დირექტორითა და მთავარი მწვრთნელით აღფრთოვანებული ხართ, თუმცა თქვენგან განსხვავებით, მიმომხილველებისა და გულშემატკივრების უდიდესი ნაწილი მათით უკიდურესად უკმაყოფილო იყო.**

- დასამალი არ არის, რომ "რეალის" გულშემატკივრები დაუნდობლად მკაცრები და მომთხოვნები არიან. პედიამ და ფაბიომ მართლაც უამრავი დარტყმა იგემეს. სხვა მათ ადგილზე გატყდებოდა, თუმცა ისინი არ დანებდნენ და გუნდი მოწინავე პოზიციაზე გაიყვანეს. მომავალში რაც არ უნდა მოხდეს, მე ყოველთვის ამ ადამიანების დამცველი ვიქნები. უბრალოდ, უხერხულია ნამდვილი პროფესიონალების კვალიფიკაციის ეჭვქვეშ დაყენება.

**- "რეალისა" და "ბარსელონის" დაპირისპირებას ძალიან კარგად იცნობთ. ხომ არ ფიქრობთ, რომ კატალონიელებს სამეფო კლუბის შიში გაუჩნდათ?**

- მოდით, ამ დებატში ნუ ჩამრთავთ. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ "ბარსა" ფიზიკური თვალსაზრისით ძალიან ცუდადაა მომზადებული. გადაიღალნენ და "ხეტაფესთან", ფაქტობრივად, მოგებული სათასო დუელი წააგეს. "ბეტისთანაც" ცუდად ითამაშეს და სასიცოცხლო ქულები დაკარგეს. "ბარსელონის" ღირსებას უდიდესი ფეხბურთელები იცავენ, მაგრამ თუ ფიზიკურად კარგად არ ხარ მომზადებული, არასოდეს არაფერი გამოგივა.

**- როგორ ფიქრობთ, რონალდინიო ვარჯიშით თავს რატომ არ იკლავს?**

- ალბათ, ეზარება. ვიმეორებ, ფიზიკური მომზადება ფუნდამენტური საკითხია. მის გარეშე ვერაფერს გახდები. ფეხბურთელი გახლავართ და ზედმიწევნით კარგად ვიცი რასაც ვამბობ. ხომ ხედავთ, რა ცუდი სანახავია ცუდად ნავარჯიშები ფენომენალური ნიჭის მქონე რონალდინიო?

**- ესე იგი მიგაჩნიათ, რომ "ბარსელონამ" პოზიციები არასახარბიელო ფიზიკური კონდიციის გამო დათმო?**

- ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნამდე კატალონიელები შესანიშნავად გამოიყურებოდნენ. ისინი ულამაზეს და კომბინაციურ ფეხბურთს თამაშობდნენ, მაგრამ შემდეგ დაიღალნენ და ფარ-ხმალი დაყარეს.

**- მიმომხილველები "ბარსას" რონალდინიოს, ეტოოსა და მესის გუნდად მიიჩნევენ. თითქოს სხვა ფეხბურთელები არც არსებობენ. საინტერესოა, დავორ შუკერს ამ ტრიოდან ყველაზე მეტად რომელი მოსწონს?**

- სამივე სუპერვარსკვლავია, თუმცა, ჩემი აზრით, კატალონიელებს წელს ყველაზე მეტად ეტოოს გოლები დააკლდათ. კამერუნელს ტრავმა რომ არ მიეღო, სულ მცირე კიდევ ათ ბურთს გაიტანდა. ეს კი საკმარისი გახდებოდა იმისთვის, რომ ფიზიკური მოუმზადებლობის მიუხედავად სეზონის მიწურულს სერიოზული უპირატესობა ჰქონოდათ.

**- მესიზე რას ფიქრობთ?**

- ნამდვილი გენიოსია! მას პრიმერა დივიზიონის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად მივიჩნევ... თუმცა, რატომ მხოლოდ პრიმერა დივიზიონის?! ლეო მსოფლიო დონის მოთამაშეა.

**- რუუდ ვან ნისტელროის მიერ ჩატარებულ სეზონზე რას გვეტყვით?**

- აღფრთოვანებული გახლავართ. ჰოლანდიელი ფორვარდი ფანტასტიკურ სეზონს ატარებს. მერწმუნეთ, პრიმერა დივიზიონის საუკეთესო ბომბარდირობა არ არის იოლი.

**- თქვენც რაულის დამცველთა რიგებში ხართ?**

- რაულს ძალიან ბევრი ადამიანი აკრიტიკებდა, მაგრამ დრომ გამოააშკარავა, რომ ისინი სასტიკად ცდებოდნენ. გონსალეს ბლანკოს დონის ფეხბურთელები სანთლით საძებარნი არიან. ვლოცულობ, რომ რაულმა საჩემპიონო ტიტული დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნოს.

**- არ მალავთ, რომ საჩემპიონო მარათონში "რეალს" გულშემატკივრობთ. არადა, ესპანეთმა "სევილიაში" თამაშით გაგიცნოთ. ნუთუ კიდევ ერთი ყოფილი გუნდი სამუდამოდ დაივიწყეთ?**

- რას ბრძანებთ... ჩემი გულის დიდი ნაწილი "სევილიას" ეკუთვნის. უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ მან უდიდეს წარმატებებს მიაღწია. ანდალუსიელებს წარმატებებს ვუსურვებ, თუმცა პედიასა და ფაბიოსთან მეგობრობის გამო, მსურს, ჩემპიონი "რეალი" გახდეს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ლინკოლნი გალათასარაის მოურიგდა?

## თურქები შალკეს 8 მილიონს სთავაზობენ

"გალათასარაის" ხელმძღვანელები ახალ მწვრთნელთან ერთად ფლეიმეიქერსაც ეძებენ. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, თურქული გრანდის ბოსები ამ დღეებში "შალკეს" ბრაზილიელ გამთამაშებელ **ლინკოლნთან** კონკრეტულ მოლაპარაკებებს გამართავენ. თურქული პრესის ცნობით კი, ლინკოლნმა, რომელსაც **ლევან კობიაშვილის** გუნდთან კონტრაქტი 2008 წლამდე აკავშირებს, "გალათასარაის" უკვე თანხმობა შეუთვალა და თუკი გუნდებიც შეთანხმდებიან, ბრაზილიელი სტამბულში გადაბარგდება.

*"ლინკოლნთან კავშირი არ გვაქვს, მას მერე, რაც სეზონი დამთავრდა, ბრაზილიაშია და არ შეგვხმიანებია. ვფიქრობ, თურქებს მისთვის რომ მიემართათ, აუცილებლად შეგვატყობინებდა. სტამბულიდან ჩვენთვის არავის დაურეკავს,"* - აცხადებს "შალკეს" გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი**. გაირკვა, რომ "გალათასარაი" მზადაა, გელზენკირხენულ კლუბს ბრაზილიელის სანაცვლოდ 8 მილიონი ევრო გადაუხადოს; ლინკოლნს კი, წლიურად 2.1 მილიონს სთავაზობს.

თუმცა "შალკეს" ბრაზილიელ ათიანთან კონტრაქტის ნაადრევად გაგრძელება უნდა. მიულერმა არაერთხელ აღნიშნა, რომ ლინკოლნის შენარჩუნება სურს. ამ უკანასკნელს ბოლო დროს გერმანელი ჟურნალისტები ხშირად აკრიტიკებენ, რადგან გადამწყვეტ შეხვედრებში ძალიან ცუდი შთაბეჭდილება დატოვა. აქვე გეტყვით, რომ "გალათასარაის" ნიურნბერგელი **იან პოლაკიც** სურს და მზადაა, ფრანკებს ამ ნახევარმცველის სანაცვლოდ 1.5 მილიონი ევრო ჩაუთვალოს. საუბრობენ "ჰერტას" მცველით, **იოსიპ შიმუნიჩით** დაინტერესებაზეც.

უმუშევარი მწვრთნელი

# ფინკეს ციურიხში უხმობენ

**ფოლკერ ფინკე** და "ფრაიბურგი", ეს გერმანულ ფეხბურთში ლამის იგივე იყო, რაც "ჰამბურგი" და ბუნდესლიგა, **ბეკენბაუერი** და "ბაიერნი", კულინარიაში მდოგვი და სოსისი. მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული... "ფრაიბურგის" ფანები ბოლო ტურამდე აცხადებდნენ პროტესტს იმის გამო, რომ გუნდის ხელმძღვანელებმა ფოლკერის გაშვება გადაწყვიტეს, მართავდნენ აქციებს, დაამზადეს ათიათასობით ტრანსფარანტი შინაარსით "ჩვენ ვართ ფინკე", მაგრამ ამ ყველაფერმა შედეგი არ გამოიღო - ფოლკერს "ფრაიბურგი" მაინც დაატოვებინეს და 16 წლიანი იდილიაც დასრულდა. ბრაისგაუ განუყრელ მწვრთნელს მაინც გაეყარა...

პირველი შოკი და იმედგაცრუება უკვე გადატანილია. ახლა ქართველი ფეხბურთელების მოყვარულ სპეციალისტს ახალი გეგმები და მიზნები აქვს. როგორც ჩვენი გერმანელი კოლეგები იტყობინებიან, ფოლკერს შვეიცარიის ჩემპიონი "ციურიხი" ეპატიჟება - გუნდი, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ მთავარი მწვრთნელი **ლუსიენ ფავრი** ბერლინის "ჰერტას" 200 ათასი ევროდ მიჰყიდა. ფინკეს კონკურენტები შვეიცარიის ახალგაზრდული ნაკრების თავკაცი **ბერნარ შალანდე** და ლეგენდარული ბულგარელი ფეხბურთელი **კრასიმირ ბალაკოვი** არიან.

*"ყველაზე მთავარი ის გახლავთ, რომ "ციურიხის" ახალი მწვრთნელი ძალიან კარგად უნდა იცნობდეს შვეიცარიულ ფეხბურთს, ახალგაზრდა მოთამაშეებთან კომუნიკაციის დამყარება უნდა შეეძლოს და ჩვენი გეგმების განხორციელება უნდა მოახერხოს,"* - ამბობს "ციურიხის" მენეჯერი **ფრედი ბიკელი**. ფინკე ამ მხრივ იდეალური ვარიანტია - "ფრაიბურგში" მუშაობის 16 წლიან პერიოდში მის ხელში არაერთი ახალგაზრდა მოთამაშე გამოიწვრთნა და ფოლკერის ხელში ლამის სამმა თაობამ გაიარა. "ბილდის" ცნობით, ბიკელი ფინკეს უკვე შეხვდა და ესაუბრა. მწვრთნელის დანიშვნა "ციურიხის" გულშემატკივრების პრეროგატივა რომ იყოს, ფინკეს დღესვე კონტრაქტს გაუფორმებდნენ - გამოცემა "ბლიკ-ონლაინის" გამოკითხვაში ფოლკერი უდიდესი უპირატესობით ლიდერობს.



ფოლკერ ფინკე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ იუნაიტედი

# ფერგი: არ ვიცი, როდის წავალ

## ეშმაკები ალან სმიტს კონტრაქტს არ გაუგრძელებენ, სოლსკიაერმა ქომაგები დაამშვიდა...

**სერ ალექს ფერგიუსონი** ამბობს, რომ "მანჩესტერის" ახალგაზრდა ვარსკვლავები ენერგიას მატებენ. 65 წლის სპეციალისტი "იუნაიტედში" 21-ე სეზონისათვის ემზადება. დამსახურებულ პენსიაზე ფიქრი კი აზრადაც არ მოსდის. *"წასვლის დროც მოვა, მაგრამ წარმოდგენა არ მაქვს, როდის. ახალგაზრდები მეხმარებიან. ისინი შესანიშნავი ფეხბურთელები და პიროვნებები არიან. კრისტიანო რონალდოსა და უეინ რუნის ვარჯიშის ყურებაც კი სიამოვნებაა. ჰოდა, ეს მაახალგაზრდავებს,"* - თქვა ფერგიმ მანჩესტერულ რადიოსთან ინტერვიუში. სერ ალექსი 2002 წლის ზაფხულში უნდა წასულიყო, მაგრამ გადაიფიქრა. მწვრთნელს სამი წლით გაუგრძელეს კონტრაქტი, თუმცა მოგვიანებით ხელშეკრულება კიდევ განუსაზღვრელი ვადით გაგრძელდა: *"ჯანმრთელობა ხელს მიწყობს, მუშაობა შემიძლია. ვფიქრობ, ესაა გადამწყვეტი ფაქტორი, რის გამოც სახლში არ მივდივარ."*

"მანჩესტერი" **ალან სმიტს** კონტრაქტს არ გაუგრძელებს. ფეხბურთელს ამის შესახებ გუშინ აუწყეს. 26 წლის თავდამსხმელს ხელშეკრულებაში ორი წელიწადი აქვს დარჩენილი, მაგრამ ახალ ხელშეკრულებაზე უარის თქმა იმის მაუწყებელია, რომ კლუბს მისი გაყიდვა სურს. "ეშმაკებმა" საზაფხულო ტრანსფერებში უკვე 48 მილიონი გირვანქა დახარჯეს. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ რამდენიმე მილიონის კომპენსირება სურთ. მიმომხილველთა ვარაუდით, სმიტს ერთბაშად რამდენიმე სარფიანი წინადადება ექნება. მისი შეძენა "ტოტენჰემს", "ევერტონს", "მიდლსბროსა" და "ასტონ ვილას" სურთ. მოსალოდნელი გარიგების დეტალები უცნობია. ალანს "იუნაიტედი" კვირაში 50 ათას გირვანქას უხდის. ამ ხელფასს ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი კლუბი გასწვდება. იმასაც შეგახსენებთ, რომ ფორვარდი "მენიუში" 2004 წელს "ლიდსიდან" გადავიდა. მისი შეძენა "ეშმაკებს" 7 მილიონი გირვანქა დაუჯდათ.

**ოლე გუნარ სოლსკიაერმა** მანჩესტერელი ქომაგები დაამშვიდა და აუწყა, რომ მუხლის ტრავმა, რის გამოც ორშაბათს ოპერაცია გაუკეთეს, სერიოზული არ არის. გასულ უქმეებზე ნორვეგიელ თავდამსხმელს მუხლი წამოსტკივდა. ის სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეს. გამოკვლევის შემდეგ ქირურგიული ჩარევა გადაწყდა. ექიმების მტკიცებით, სოლსკიაერს მწყობრში ჩასადგომად ოთხი კვირა დასჭირდება. აი, რა განუცხადა ოლე გუნარმა ინგლისელ მიმომხილველებს: *"კარიერის დასრულებას ჯერ არ ვაპირებ. ფიზიკურადაც და მენტალურადაც მზად ვარ, რათა გუნდს ვარჯიშების დაწყებისთანავე შევუერთდე."*



ალან სმიტი



დავიდ ტრეზეგე

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ტრეზეგეს ინგლისური პერსპექტივა

"იუვენტუსი" ინგლისურ გრანდებს **დავიდ ტრეზეგეს** შეძენას სთავაზობს. "კორიერე დელო სპორტის" ცნობით, ტურინელ ბოსებს ფეხბურთელთან კონტრაქტის გაგრძელების ყველა იმედი გადაეწურათ. ფორვარდის მოქმედ ხელშეკრულებაში ერთი წელიწადია დარჩენილი. ეს იმას ნიშნავს, რომ 12 თვის შემდეგ დავიდი თავისუფალი აგენტი გახდება. ამიტომ უნდათ თუ არა, ამ ზაფხულს უნდა გაყიდონ. ტრეზეგეს შეძენის სურვილი გამოთქვა "ვალენსიამ", მაგრამ მოლაპარაკებები შეჩერებულია. ვალენსიელებმა ჯერ თავიანთი სპორტული დირექტორის **ამადეო კარბონის** ბედი უნდა გადაწყვიტონ. დავიდის მიწვევის ინიციატორი სწორედ ის გახლდათ. ფრანგი ვარსკვლავის თაყვანისმცემელია **რაფა ბენიტესიც**. თანაც "ლივერპულის" ბოსს უმაღლესი დონის ფორვარდი სჭირდება. ტრეზეგეს **სერ ალექს ფერგიუსონიც** სიამოვნებით შეიძენდა. მის ტრანსფერში ბევრ რამეს დავიდის პირადი ფინანსური ამბიციები გადაწყვეტს. თუ ის ასტრონომიულ ხელფასს არ მოითხოვს, გარიგება შედარებით უპრობლემოდ შედგება. მაგრამ გარიგება ვისთან? ამ საკითხზე ჯერჯერობით ყველა მხარე დუმს. "ლივერპულისა" და "მანჩესტერ იუნაიტედის" გარდა, დავიდის პოტენციურ მსურველთა შორის უნდა ვიგულისხმოთ "არსენალი" და "ნიუკასლი", რომლებმაც ტრეზეგეს შეძენის სურვილი იანვრის ტრანსფერებისას დააფიქსირეს.

ჩელსი

# სად არის ლემპარდი?

## ფრენკი არისტოკრატების ახალ მაისურას არ წარადგენს

"ჩელსის" ახალი დიზაინის მაისურები შეუკერეს. უმთავრესი სიახლეა ფერი. "არისტოკრატებს" გასვლით მატჩებში მკვეთრი მოყვითალო-მომწვანო ეკიპირება ეცმევათ. დღესდღეობით ზუსტად ამ ფერის ფორმებით თამაშობს "ბარსელონა" - რა თქმა უნდა, მეტოქეთა მოედნებზე. "სანის" მტკიცებით, დიზაინი პირადად **რომან აბრამოვიჩის** არჩეულია. დღეს "სტემფორდ ბრიჯზე" ამ მაისურების პრეზენტაცია უნდა გაიმართოს. ფორმებს ლიდერები - კაპიტანი **ჯონ ტერი, მიხაელ ბალაკი, დიდიე დროგბა, ჯო კოული, პეტრ ჩეხი, არიენ რობენი** და **ეშლი კოული** წარადგენენ. როგორც შეამჩნიეთ, სიაში არ არის **ფრენკ ლემპარდი**. არ გეგონოთ, რომ ის დაავიწყდათ. ფრენკის გამოტოვება სრულიად შეგნებული ნაბიჯი გახლდათ. ეს გარემოება აძლიერებს სპეკულაციებს ლემპარდის მოსალოდნელი აბარგების თაობაზე. გუშინდელმა "დეილი მეილმა" ისიც კი გვაუწყა, რომ ნახევარმცველმა კვირაში 140 ათას გირვანქაზეც უარი თქვა და საკუთარი თავი, ფაქტობრივად, ტრანსფერზე დააყენა. ინგლისური მედია ლემპარდის წასვლას დიდი ხანია წინასწარმეტყველებს და ამ თემას განუწყვეტლივ განიხილავს. ფეხბურთელის ყველაზე სავარაუდო ნავსაყუდელად "ბარსელონას" მიიჩნევდნენ, მაგრამ ორი დღის წინათ კატალონიელების სპორტულმა დირექტორმა **ჩიკი ბეგირისტაინმა** ასეთი განცხადება გააკეთა – "კამპ ნოუზე" ლემპარდის ადგილი არ არისო. დასასრულს გეტყვით, რომ "ჩელსის" ახალი მაისურის მსურველს მინიმუმ 30 გირვანქის გადახდა მოუწევს. მთელი ეკიპირების ყიდვა 58 გირვანქად შეიძლება.



ასოციაციის თასი ლემპარდის ლონდონურ კარიერაში, შეიძლება უკანასკნელი ჯილდო აღმოჩნდეს

### რუმენიგე კანს აკრიტიკებს

"ბაიერნის" დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე კარლ ჰაინც რუმენიგემ ოლივერ კანი გააკრიტიკა. გავლენიანი მოხელის აზრით, [illegible] ტანს უხასიათოდ ყოფნა ჩვევად ექცა: *"ოლივერმა უნდა გააცნობიეროს, რომ მას სხვებზე მეტი პასუხისმგებლობა აკისრია. ის, რომ კანი უგუნებოდაა, არავის ბრალი არ არის. ამიტომ მან ჯავრი თანაგუნდელებზე არ უნდა იყაროს. ეს გუნდში უარყოფით აურას ქმნის და საერთო ატმოსფეროზე მოქმედებს."* რუმენიგეს ინტერვიუ გაზეთ "ბილდში" გამოქვეყნდა.

### ალუ დიარა ვერდერში?

ბრემენის "ვერდერი" ფრანგი ნახევარმცველით, **ალუ დიარათი** დაინტერესდა. 25 წლის ფეხბურთელი "ლიონის" საკუთრებაა. ის საფრანგეთის ჩემპიონებმა ერთი წლის წინათ "ლანსიდან" გადაიყვანეს. ალუს მისი მოგვარე **მაჰამადუს** შეცვლა დაეკისრა. ამ უკანასკნელმა, მოგეხსენებათ, მადრიდის "რეალს" მიაშურა. ალუ დიარას ნაკრების შემადგენლობაში 12 მატჩი აქვს გამართული. ის მშობლიური ენასავით ლაპარაკობს გერმანულს. თავის დროზე, ნახევარმცველი "ბაიერნის" სარეზერვო გუნდში თამაშობდა. მუსიკოსები 5-7 მილიონ ევროს გაამზადებენ. ალუს უთანხმოება ჰქონდა "ლიონის" ყოფილ ბოს **ჟერარ ულიესთან**. ამის გამო საფრანგეთის პირველობაზე მხოლოდ 14-ჯერ ითამაშა. სეზონის ბოლოს ულიემ გუნდი დატოვა. მის ადგილზე **ალენ პერენი** მიიწვიეს.

### პანათინაიკოსი პეშეიროს ჩააბარეს

"პანათინაიკოსმა" ორწლიანი კონტრაქტი გაუფორმა **ჟოზე პეშეიროს**. 47 წლის სპეციალისტი ესპანელი **ვიქტორი მუნიოსის** ადგილს დაიკავებს. ეს უკანასკნელი ერთი თვის წინათ დაითხოვეს. სენიორ მუნიოსის შეგირდებმა ჩემპიონთა ლიგის საგზური ვერ მოიპოვეს. "პანათინაიკოსმა" საბერძნეთის პირველობა მესამე ადგილზე დაასრულა. მას "ოლიმპიაკოსმა" და აეკმა გაუსწრეს. სხვათა შორის, 1990-იანი წლების დასაწყისში პეშეირუ და **ჟოზე მოურინიო** სამწვრთნელო კურსებზე ერთად დადიოდნენ. 2003-04 წლების სეზონში სეუ ჟოზე მადრიდის "რეალში" **კარლუშ კეიროშის** მარჯვენა ხელი გახლდათ. სამეფო კლუბიდან წასვლის შემდეგ ის ლისაბონის "სპორტინგში" მიიწვიეს. 2005 წელს მწვრთნელმა გუნდი უეფას თასის ფინალში გაიყვანა, მაგრამ გადამწყვეტი მატჩი მოსკოვის ცსკასთან 1:3 წააგო. შეგახსენებთ, ის ფინალი პორტუგალიის დედაქალაქში, "სპორტინგისავე" არენაზე გაიმართა.

### ფიგუ მალე მოიფიქრებს

**ლუიშ ფიგუმ** მონაგონი უწოდა სპეკულაციებს ინგლისში მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ. ბრიტანულმა სააგენტოებმა გვაუწყეს, რომ პორტუგალიელი გალაქტიკო "ტოტენჰემის" ვარიანტს განიხილავდა. ლუიშმა საუდის არაბეთში წასვლა გადაიფიქრა. მას "ინტერთან" კონტრაქტიც ამოწურული აქვს და ჯერ არ იცის, სად გაატარებს ახალ სეზონს: *"იოტისოდენა სიმართლეც კი არ არის ცნობებში, რომელსაც გაზეთებში ვკითხულობ. ინგლისში ან პორტუგალიაში წასვლას გამოვრიცხავ. თუ ევროპაში დავრჩები, მხოლოდ "ინტერში" ვითამაშებ."* ვარსკვლავი გადაწყვეტილებას ივნისის შუა რიცხვებში მიიღებს. ის არც პენსიაში გასვლას გამორიცხავს: *"არ ვიცი, დავრჩები თუ არა ფეხბურთში, თუმცა ვხედავ, რომ არჩევანი უმოკლეს დროში უნდა გავაკეთო. მოსაფიქრებლად ბევრი დრო არ მაქვს. ახალი სეზონი სადაცაა, დაიწყება."* მილანელთა პრეზიდენტმა **მასიმო მორატიმ** ფიგუს საჯაროდ შესთავაზა ახალი კონტრაქტი. "ინტერის" მეპატრონე პორტუგალიელს ძალიან აფასებს და მასთან ხელშეკრულების გაგრძელება სურს.




### აბიატი 3.5 მილიონი ღირს

"მილანი" **კრისტიან აბიატის** სანაცვლოდ 3.5 მილიონ ევროს ითხოვს. გუშინ "როსონერის" ვიცე-პრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** "ტორინოს" ემისრებს შეხვდა. საუბარი გამოცდილი მეკარის ტრანსფერს შეეხო. აბიატიმ გასული სეზონი ტურინში იჯარის წესით გაატარა. "ზრონეულებს" მისი გამოსყიდვა სურთ, მაგრამ 3.5 მილიონის გადამხდელები არ ჩანან. "ტუტოსპორტის" ცნობით, მოლაპარაკებები უახლოეს დღეებში გაგრძელდება.

### ასტონ ვილა ორ ტრანსფერს გეგმავს

"ასტონ ვილა" "ვესტ ჰემის" კაპიტან **ნაიჯელ რეო კოკერს** ყიდულობს. 23 წლის მცველს "ტოტენჰემი" და "ნიუკასლიც" ეპატიჟებიან, მაგრამ ბირმინგემელებს მიზნის მიღწევამდე ცოტაღა უკლიათ. ისინი ლონდონელებს 7 მილიონ გირვანქას სთავაზობენ. ვილელთა ამბიციები ამით არ ამოიწურება. **მარტინ ონილს** "აიაქსის" ცენტრალური ნახევარმცველის, **ვესლი სნეიდერის** შეძენაც სურს. მწვრთნელი 22 წლის ფეხბურთელს ჰოლანდიის თასის ფინალში დააკვირდა. იმ თამაშში ამსტერდამელებმა პენალტებით სერიით გაიმარჯვეს (ძირითადი დრო 1:1 დასრულდა). სნეიდერს "ვალენსიაც" ეპატიჟება. სულ ბოლოს "აიაქსმა" ესპანელთა 12-მილიონიანი შეთავაზება უარყო.

### პერუცის ლაციოში დარჩენა სურს

**ანჯელო პერუცის** "ლაციოსთან" თანამშრომლობის იმედი აქვს. გოლკიპერი, რომელიც რომაულ კლუბს სეზონის დასრულებისთანავე გამოეთხოვა, ადმინისტრაციულ პოსტს უმიზნებს: *"იმედია, კლუბში ვიმუშავებ. რამდენიმე თვის წინათ პრეზიდენტმა კლაუდიო ლოტიტომ მითხრა, რომ სურვილის შემთხვევაში, ადმინისტრაციაში დამასაქმებდნენ. მას ამ დღეებში შევხვდები. სიმართლე გითხრათ, ფუნქციონერობა უფრო მხიბლავს, ვიდრე ახალგაზრდული გუნდის მწვრთნელობა."*




მათეუსი დორტმუნდელებს წარმატებებს უწინასწარმეტყველებს

ექსპერტის მოსაზრება

# დორტმუნდი მძინარე გოლიათია

## მათეუსი მომავალ სეზონში ბორუსიის გამოღვიძებას წინასწარმეტყველებს

ლოთარ მათეუსი

იმისთვის, რომ დავასკვნათ, თუ როგორი სახელი აქვს დორტმუნდის "ბორუსიას" გერმანიაში, ერთი ფეხბურთელის დასახელებაც საკმარისია: **დიეგო კლიმოვიჩი** - ფორვარდი, რომელიც "ვოლფსბურგიდან" BVB-ში გადავიდა. არგენტინელი თავდამსხმელი არჩევნის წინაშე იდგა: შეეძლო, კარიერა იმ "ნიურნბერგში" გაეგრძელებინა, რომელმაც გერმანიის თასი მოიგო და მომდევნო სეზონში უეფას თასზე იასპარეზებს, ან "დორტმუნდში" გადაბარგებულიყო, სადაც, ლოგიკურად დიდი შანსია, რომ ისეთივე სეზონი ჰქონდეს, როგორიც "ვოლფსბურგში" ჰქონდა, ანუ, ბუნდესლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლოს, ზუსტად ისე, როგორც ამ სეზონში. არგენტინელმა არჩევანი მაინც "ბორუსიაზე" შეაჩერა - მიუხედავად იმისა, რომ BVB-მ ინტერტოტოს თასის საგზურიც კი ვერ მოიპოვა. არადა, კლიმოვიჩი უკვე ასაკოვანი ფეხბურთელია და ყველანაირი ლოგიკის თანახმად, "ნიურნბერგი" უნდა აერჩია.

ვიცი, რომ მან ასეთი გადაწყვეტილება ფულის გამო არ მიიღო, რადგან "ნიურნბერგიც" არანაკლებ სარფიან კონტრაქტს სთავაზობდა. თანაც, "ბორუსია" დიდი ხანია, აღარ არის გერმანიის უმდიდრესი კლუბი, რომელიც წლების წინათ მილიონებს ფლანგავდა. ზუსტად ვიცი, რომ კლიმოვიჩმა BVB სპორტული მოტივაციისა და ამ გუნდის სახელის გამო აირჩია - მიუხედავად ყველაფრისა, დორტმუნდის "ბორუსია" გაცილებით უკეთესად ჟღერს, ვიდრე "ნიურნბერგი".

კლიმოვიჩის მაგალითი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს იმაში, რომ მიუხედავად უამრავი პრობლემისა და გადატანილი ფინანსური კრიზისისა, რის გამოც გუნდს საერთოდ გაკოტრება ემუქრებოდა და კოლაფსის წინაშე იდგა, "დორტმუნდმა" თავისი სახელი შეინარჩუნა. დიდი ისტორია, შესანიშნავი სტადიონი და გრანდიოზული ფანები - აი, მიზეზები იმისა, რის გამოც BVB დღესაც ძალიან პოპულარული გუნდია და ბუნდესლიგის გრანდებს შორის სახელდება.

და მე დარწმუნებული ვარ, რომ მომავალ სეზონში "ბორუსია" ამას შედეგებითაც დაამტკიცებს. კლიმოვიჩს **ჯოვანი ფედერიკო** ემატება - შესანიშნავი ნახევარმცველი, რომელმაც მეორე ბუნდესლიგაში, "კარსლრუეს" მაისურით 19 გოლი გაიტანა და მეორე ლიგის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ვესტფალიელთა კიდევ ერთი ახალწვეული, პოლონელი ტალანტი **იაკუბ ბლაჟჩიკოვსკია**, რომელზეც პირადად მეც დიდ იმედებს ვამყარებ. დორტმუნდში გადასვლასთან ძალიან ახლოს არიან ბაზელელი **მლადენ პეტრიჩი** და მცველი **დავიდ როზენალიც**. როცა ამ სიას ვუყურებ, ვრწმუნდები იმაში, რომ სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი** და გენერალური მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკე** ძალიან კარგად მუშაობენ, რადგან ამ გვარების უკან დიდი პოტენციალი მოჩანს. მაგრამ, ამავე დროს, ვხედავ პრობლემასაც.

მთავარ მწვრთნელ **თომას დოლს** შეტევაში ძალიან დიდი არჩევანი ექნება. აქ არ ვგულისხმობ მხოლოდ თავდამსხმელებს. **ალექსანდერ ფრაი, ები სმოლიარეკი, ნელსონ ვალდესი, სტივენ პიენაარი, ნური შაჰინი**, კლიმოვიჩი, ფედერიკო - კონკურენცია დიდია, შესაბამისად, დიდია ქაოსის შექმნის ალბათობაც, როგორც მოედანზე, ასევე მოედანს მიღმა.

თუკი როზენალი "ბორუსიაში" გადავა, ცხადია, ის დაცვის ხაზისთვის დიდი შენაძენი იქნება, მაგრამ როზენალი მაინც არ არის **კრისტოფ მეტცელდერი**, რომელიც "რეალში" მიდის. მეტიც, ეს მცველი შალკელ **მარსელო ბორდონთან** ახლოსაც ვერ მიდის. ამიტომაც, "დორტმუნდის" შეფებმა დაცვისთვის კიდევ ერთი მაღალი დონის ფეხბურთელი უნდა გადაიბირონ. თუ არადა, **სებასტიან კელს** მოუწევს უკან დახევა. თუმცა ეს უკანასკნელი საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე უფრო საჭიროა.

ვიცი, ამ მოსაზრებაში თითქმის არავინ დამეთანხმება, მაგრამ მაინც: ჩემი აზრით, კელი ბუნდესლიგაში საუკეთესო საყრდენია! დიახ, საუკეთესო. მასზე უკეთესი ექვსი ნომერი გერმანიას არ ჰყავს. ვიცი, ახლა **ტორსტენ ფრინგსი** გაგახსენდათ და ალბათ სამართლიანადაც, მაგრამ პირადად მე ფრინგსს კელი მირჩევნია, რადგან სებასტიანს არა მხოლოდ მეტოქის შეტევების ჩაშლა და გუნდის მოტივირება შეუძლია, რასაც ფრინგსიც იდეალურად აკეთებს ხოლმე, არამედ, კელი დირიჟორიცაა, დაახლოებით **ანდრეა პირლოს** ტიპის დირიჟორი. "დორტმუნდისთვის" უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კელი აღარ დაშავდეს და მთელი სეზონი სტაბილურად, ტრავმების გარეშე ჩაატაროს. ასეთ შემთხვევაში BVB გაცილებით წარმატებული იქნება.

ამ სეზონში "ბორუსიამ" კიდევ ერთხელ ჩაისვარა და აშკარაა, რომ 2002 წლის შემდეგ, როცა უკანასკნელად გახდა გერმანიის ჩემპიონი, რეგრესს განიცდის, მაგრამ დორტმუნდელთათვის ეს სეზონი ძალიან იმედიანად დამთავრდა. ის, რომ "შალკეს" ჩემპიონობისკენ გზა სწორედ BVB-მ გადაუღობა, არა მხოლოდ ფანებისგან ალებული კრედიტია, არამედ, მთელი გუნდისთვის უდიდესი მოტივაციაც გახლავთ, რაც ამ გუნდს კიდევ უფრო თავდაჯერებულს გახდის. ფაქტია, რომ "ბორუსიას" აქვს უდიდესი პოტენციალი და ჰყავს ახალგაზრდა, მუდამ შემართული და ნიჭიერი მწვრთნელი, რომელმაც კარგად იცის, როგორ გამოიყენოს პოტენციალი. დოლმა ეს ორი წლის წინათ, "ჰამბურგში" დაამტკიცა. მოკლედ, BVB მძინარე გოლიათია.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დარწმუნებული ვარ, რომ "ბორუსია" მომდევნო სეზონში გამოიღვიძებს და მინიმუმ საუკეთესო ხუთეულში მოხვდება, რაც ამ გუნდს ევროპაში დააბრუნებს. ორ-სამ წელიწადში კი, შავ-ყვითლები ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ და "დორტმუნდი", ბოლოს და ბოლოს, დაბრუნდება იქ, სადაც მისი ადგილია...

მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### ისტორია

ბორუსიის ბალანსი 1989/90 წლების სეზონიდან

| სეზონი | ქულა | ადგილი |
|---|---|---|
| 1989/90 | 41 | 4 |
| 1990/91 | 34 | 10 |
| 1991/92 | 52 | 2 |
| 1992/93 | 41 | 4 |
| 1993/94 | 39 | 4 |
| 1994/95 | 49 | 1 |
| 1995/96 | 68 | 1 |
| 1996/97 | 63 | 3 |
| 1997/98 | 43 | 10 |
| 1998/99 | 57 | 4 |
| 1999/00 | 40 | 11 |
| 2000/01 | 68 | 3 |
| 2001/02 | 70 | 1 |
| 2002/03 | 58 | 3 |
| 2003/04 | 55 | 6 |
| 2004/05 | 55 | 7 |
| 2005/06 | 46 | 7 |
| 2006/07 | 44 | 9 |

ინტერვიუ ლუის სესარ მენოტისთან

# მხოლოდ ერთი რევოლუცია მინდა

## ლეგენდარული მწვრთნელი მიიჩნევს, რომ მინდორზე ნაღმები უნდა განალაგონ, რათა ფეხბურთელებმა უფრო სწრაფად იმოძრაონ



ლუის სესარ მენოტი

**არგენტინული მუნდიალის გმირის - ლუის სესარ მენოტის აზრი, როგორც ყოველთვის ორიგინალურობით გამოირჩევა ხოლმე. ცოტა ხნის წინათ, 68 წლის სპეციალისტმა, რომლის ბოლო სამუშაო ადგილი მექსიკური "პუებლა" იყო, ინტერვიუ მისცა გაზეთ Ole-ს. საუბარი ძალიან საინტერესო გამოდგა, ინტერვიუ კი, მეტრმა ასეთი ფრაზით დაიწყო.**

- აი, იოჰან კრუიფმა ვიდეოკასეტა გამომიგზავნა, რომელზეც ასეთი სიტყვები წერია: "თავს გაუფრთხილდი. ისეთი მწვრთნელები, როგორებიც შენ და მე ვართ, აღარ არსებობენ..."

**- ისეთი ფეხბურთელები თუ არსებობენ, როგორებიც თქვენს დროს თამაშობდნენ? მაგალითად, როგორიც მარადონა იყო...**

- დიეგოსნაირი რომ გახდე, უნდა მიხვდე იმას, რომ ფეხბურთს მთელი გუნდი თამაშობს და შენი ნებისმიერი ავანტიურა, შესაძლოა მას ძალიან ძვირად დაუჯდეს. ამის გაგების შანსი აქვს მესის, კაკას, კრისტიანო რონალდოს... წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი რონალდინიოს გზას გაუყვებიან და ვერასოდეს მიაღწევენ მარადონას, პელეს, კრუიფისა და დი სტეფანოს დონეს.

**- რა განსხვავებაა ამ ოთხეულსა და ყველა დანარჩენს შორის?**

- მათ ყველაზე კარგად ესმოდათ შემდეგი ფრაზის აზრი: "ნიჭი გუნდის სამსახურში". მე აქ მუსიკასთან გავავლებდი პარალელს: თუ შენ ორკესტრში ვიოლინოზე უკრავ და შესრულების დროს გინდა, საკუთარი ნიჭით გაიბრწყინო, მაშინ ამის შემდეგაც, არანაკლები მონდომებით უნდა დაუკრა ხოლმე. პელე 20 მეტრით იხევდა უკან, რათა პარტნიორთან ბურთი გაეთამაშებინა და ის მეკარესთან პირისპირ გაეყვანა. თავის დრიბლინგს კი, მხოლოდ მაშინ ახორციელებდა, როცა საჯარიმოში იყო შესული.

**- სადამდე შეიძლება ფეხბურთელის სრულყოფა გრძელდებოდეს?**

- თუ ის თვლის, რომ უკვე იცის, როგორ უნდა ფეხბურთის თამაში, ესე იგი, მან არაფერი არ იცის. გაიხსენეთ მარადონა - როგორ სწავლობდა ის! კარიერის დასაწყისში, დიეგო ბურთს ილებდა და მთელი გუნდის მოტყუებას ცდილობდა. მაგრამ შემდეგ მიხვდა, რომ საჭიროა გუნდის მოთამაშედ იქცე, რომ საგოლე პასი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე გოლი.

**- რიკელმემ ეს შეიგნო?**

- ის სხვა არგენტინელ ფეხბურთელებზე ერთი თავით მაღლა დგას, მაგრამ ჯერ ვერ მიაღწია იმას, რომ თავისი ნიჭი გუნდის სასარგებლოდ გამოიყენოს. ხანდახან გეჩვენება, რომ მას ყველაფერი ავიწყდება და მხოლოდ თავის თავისთვის თამაშობს.

**- მინდორზე მისი გადაადგილების სიჩქარე თქვენში ოდნავ უხერხულობას ხომ არ იწვევს?**

- მასზე უფრო სწრაფ მოთამაშეს მე არ ვიცნობ. არ არის საჭირო მას მოვთხოვოთ გატუზოს მსგავსად გიჟივით ირბინოს მინდორზე. დაე, მის ნაცვლად ბურთმა ირბინოს. დროა გავიგოთ, რომ ფეხბურთი - არითმული თამაშია და სისწრაფე სიზუსტით განისაზღვრება: 20 მეტრზე ზუსტი პასი უფრო დიდ ეფექტს იძლევა, ვიდრე მოთამაშე, რომელიც ამ მანძილს ბურთთან ერთად გაირბენს.

**- ტელევიზორში ფეხბურთს უყურებთ?**

- მხოლოდ მატჩებს, საფეხბურთო პროგრამებს - არა. მათი ცქერისას თავი მტკივდება ხოლმე. იქ ხანდახან ისეთ რამეს მოისმენ... ერთხელ ასეთი რამ თქვეს: გუნდმა გოლი იმიტომ გაიტანა, რომ ბურთის მომწოდებელმა ბიჭმა ბურთი სწრაფად დადო კუთხურის ნიშნულთან და ამით დრო მოიგესო. არადა, გოლი იმიტომ გავიდა, რომ კუთხურის შესრულებისას, მოთამაშე საჯარიმოში მეტოქეებზე უფრო მაღლა ახტა. ეს არის და ეს! არ არის საჭირო არაფრის მოგონება.

**- უფრო ბევრის მისაღწევად მეტი მუშაობაა საჭირო?**

- გადამეტებული არაფერი ვარგა, თორემ შეიძლება მთელი ეფექტი წყალში ჩაიყაროს. ერთხელ, ჩვენ ძალიან დიდხანს ვამუშავებდით საჯარიმოებს. მე მეკარესთან მივედი და ყურში ჩავჩურჩულე, რომ ნელ-ნელა კარიდან გაპარულიყო. და იცით რა მოხდა? მათ, ვითომც არაფერი, საჯარიმოების გათამაშება გააგრძელეს, იმის ნაცვლად, რომ, უბრალოდ, ცოცხალი კედლისთვის გადაევლოთ ბურთი!

**- მატჩებზე ატმოსფერო როგორ მოგწონთ?**

- დღეს, სტადიონებზე ძირითადად არა გულშემატკივრები, არამედ მაყურებლები დადიან. მე შემიძლია მაყურებელი ვიყო ბალეტზე, მუზეუმში, მაგრამ არა, საფეხბურთო მატჩზე. თუმცა... დღეს ფეხბურთი ისეთ მდგომარეობაშია, რომ მინდორზე ნაღმები უნდა განალაგო, რომ ფეხბურთელებმა თავიანთი უკანალი აამოძრავონ.

**- სამწვრთნელო სამუშაოზე დაბრუნების სურვილი თუ გაქვთ?**

- თუ დავინახავ, რომ პროექტი მართლაც სერიოზული და მრავალწლიანია, მაშინ აუცილებლად მოვკიდებ საქმეს ხელს.

**- ევროპაშიც?**

- ამბობენ, რომ ესპანეთში ბევრი კარგი მეკარეა, რადგან ახლა მათთან ვიწრო პროფილის სპეციალისტებმა დაიწყეს მუშაობა. საკუთარ თავს ვეკითხები: რა მწვრთნელი ვარ მე, თუ საფეხბურთო კარის შესახებ მეკარეზე ნაკლები ვიცი? რა გამოდის, თუ მე ფლეიმეიქერის პოზიციაზე ვთამაშობდი, არ შემიძლია განაპირა მცველი ვავარჯიშო?!

**- რა აზრის ხართ მწვრთნელთა ახალი თაობის შესახებ?**

- ძალიან მაღალი დონის სპეციალისტები არიან, მაგრამ მათი რაოდენობა ცოტაა. უმეტესი მათგანი კლუბის ხელმძღვანელთა პოლიტიკის მსხვერპლი ხდება. მათ შორის, ძალიან ცოტანი არიან ისეთები, რომლებთან საუბრისას, მართლაც საინტერესო იდეები შეიძლება წარმოიშვას.

**- მარსელო ბიელსასთან, ალბათ, გამონახავდით საერთო ენას?**

- დიახ, მან მართლაც ბევრი რამ იცის, მაგრამ ძალიან მოკრძალებული და მორცხვი ადამიანია, ამიტომაც არ შეუძლია სისტემას შეებრძოლოს.

**- ეთანხმებით იმ აზრს, რომ ფეხბურთმა ხალხს ზურგი შეაქცია?**

- უმეტესწილად - კი. გამონაკლისებიც არსებობს, მაგრამ ტყუილითა და ღალატით ის პირთამდეა სავსე. ფეხბურთი, ჯერჯერობით, კვლავ არგენტინელ ხალხს ეკუთვნის, მაგრამ მთავრობა ამასაც ართმევს მას, ისევე როგორც განათლება, მუსიკა, ჯანმრთელობის დაცვის უფლება წაართვა. ის, რომ ადამიანები ჯერ კიდევ ახერხებენ წინააღმდეგობის გაწევას, ეს მათი გენეტიკის დამსახურებაა. სანამ ჩვენში ასეთი სამართალი იარსებებს, ღარიბი ოჯახების ათასობის პერსპექტიულ ბიჭებს საფეხბურთო სკოლებში ეტყვიან: "კიდევ ცოტა ხანი მოიცადე", ისინი კი, იქ, სადღაც კუთხეში სიკვდილის ზღვარზე იქნებიან მისულნი. და მაინც, მათთვის, ვინც ამას ამბობს, დადგება დრო, როცა ეს ბიჭები შინ იარაღით ხელში მიადგებიან.

**- ხორხე ვალდანომ ცოტა ხნის წინათ თქვა, რომ ფეხბურთში არანაირი რევოლუცია არ სურს, ამან შეიძლება ძველ დროში დაგვაბრუნოს...**

- მე მხოლოდ ერთი რევოლუცია მინდა. ჩემი სურვილია, ფეხბურთისადმი ხალხის მიდგომა შეიცვალოს. წავიდნენ ისეთი ადამიანები, რომლებიც 0:0-ზე თამაშობენ და ფიქრობენ, რომ 1:0-ს მოიგებენ. მე ყოველთვის 3:0 მოგებაზე ვთამაშობდი. და მათ, ვინც მენოტის იცნობენ, დაადასტურებენ, რომ ამ მხრივ, ასეთი არანორმალური ადამიანი მეორე არ არსებობს. და ამასთან ერთად, მინდა, რომ ლამაზად გავიმარჯვო და არა ბურთი ბადეში შევტენო.

**- ყველა ასე არ ფიქრობს...**

- ყველაზე ულტრამემარჯვენე სილვიო ბერლუსკონიმაც კი, ერთხელ ასეთი რამ თქვა: "ჩემთვის არ არის საინტერესო ისეთი "მილანი", რომელიც ნებისმიერი ხერხით იგებს თამაშს. მინდა, რომ მან ამადვროულად, ლამაზადაც ითამაშოს". ჩემთვის ღრმად პატივცემულმა არსენ ვენგერმა, ჟოზე მოურინიოსთვის პასუხის გაცემისას სწორად აღნიშნა: "გამარჯვებები სულელებს კიდევ უფრო დიდ სულელებად აქცევს და არა პირიქით". სწორედ ამაშია მთელი უბედურება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

მაია ჩიბურდანიძის ტურნირი

# მაიას თასი საქართველოში უნდა დარჩეს



გუშინ, თბილისის ჭადრაკის სასახლეში საზეიმოდ გაიხსნა მაია ჩიბურდანიძის სახელობის მეორე საჭადრაკო ტურნირი, რომელსაც წლეულს საერთაშორისო სტატუსი მიენიჭა. თავდაპირველად სტუმართა დიდ რაოდენობას ელოდნენ, მაგრამ მხოლოდ ათი გვეწვია. აქედან 4 სომეხია, 3 აზერბაიჯანელი, ერთი ავსტრალიელი (?!), ერთი ემირატელი არაბი და ერთიც რუსი. თუმცა, ერთ-ერთი მათგანი **არმენ ტერ-კარაპეტიანი** თბილისელია და რეგულარულად თამაშობს ასაკობრივ ჩემპიონატებში. რუსეთის სახელით აქამდე არ უთამაშია და ამჯერად რა არის მიზეზი, გაუგებარია.

ორგანიზატორები მე-200 ქართველ მოჭადრაკესაც ელოდნენ, მაგრამ ბევრად ნაკლები შეიკრიბა, თუმცა საერთო რაოდენობას მცირე არ ეთქმის - 86 მონაწილე მიუჯდა დაფებს. ტურნირის საპრიზო ფონდი 10 000 დოლარია, რასაც ჩვენს პირობებზე ცოტა არ ეთქმის, მაგრამ, როგორც ჩანს, უცხოელთა ყურადღება ამ თანხამ ვერ მიიპყრო, გარდა ამისა, სტუმარი კარგი საყოფაცხოვრებო პირობებითაც უნდა მოიზიდო.

ქართველთა სიმცირეც გარკვეული მიზეზის ბრალია - დაბალრეიტინგიანებსა და ურეიტინგოთათვის სატურნირო შესატანი 80 და 65 ლარი იყო. სწორედ ამ თანხამ დააფრთხო ქართველთა უმრავლესობა. სხვა მიზეზებიც არსებობს, მაგრამ აქ სუბიექტური ფაქტორები სჭარბობს. მაგალითად ტურნირში არ თამაშობს **ლელა ჯავახიშვილი,** რომელიც მშვენიერ ფორმაში კია, მაგრამ თავს დასვენების უფლება მისცა - ზედიზედ რამდენიმე ძლიერ ტურნირში ვითამაშე და გადავიღალეო. მსგავსი პრობლემა აქვს **ნინო ხურციძესაც** - ეკატერინბურგში ის თავს შეუძლოდ გრძნობდა და ძალების სრულად აღდგენა დღემდე ვერ მოუხერხებია.

სანაცვლოდ, ტურნირში სხვა ძლიერი ქართველი დიდოსტატებიც თამაშობენ, თუმცა, რამდენიმე მოწინავე ქართველი სამშობლოში არ იმყოფება. შეგახსენებთ, ტურნირი შერეულია და კაცებთან ერთად ქალებიც თამაშობენ.

შეჯიბრის პრესტიჟის ამაღლებისთვის, ცხადია, კარგი იქნებოდა, რომ უცხოელთა რაოდენობა სოლიდური იყოს, ან კვალიფიციური მოჭადრაკეები მაინც ჩამოსულიყვნენ. სამწუხაროდ, საუკეთესო რეიტინგის მქონე უცხოელი აზერბაიჯანელი **ილღარ ბაქარანია,** რომლის მაჩვენებელიც (2319) რიგით 26-ეა. ილღარი 42 წლის არის და ალბათ, დიდი ამბიცია არ უნდა ჰქონდეს, ის უფრო შვილის ხელშეწყობისთვის არის ჩამოსული - ტურნირში მისი ვაჟიც, 12 წლის **ულვი ბაქარიანიც** თამაშობს.

რეიტინგფავორიტი **ლევან ფანცულაიაა** - 2616. შემდეგ მოდიან: **დავით არუთინიანი** - 2544; **კონსტანტინე შანავა** - 2532; **ლევან აროშიძე** - 2500; **ვალერიან გაფრინდაშვილი** - 2489; **ხვიჩა სუპატაშვილი** - 2481; **გიორგი ბალათუროვი** - 2478; **დავით მალალაშვილი** - 2474; **მიხეილ კეკელიძე** - 2442; **ბეგლარ ჯობავა** - 2442.

საპრიზო ფონდიდან გამარჯვებულს 3 000 ლარი გადაეცემა; მეორეადგილოსანს - 2 200; მესამეზე 1 700 ლარია განკუთვნილი, მეოთხეზე - 1 200; მეხუთე - 700-ს მიიღებს, მეექვსე - 600-ს; მეშვიდე - 450-ს; მერვე - 300-ს; მეცხრე - 250-ს და მეათე - 200-ს. დაწესებულია პრიზები ქალთა შორის საუკეთესოთათვის - პირველ ადგილზე გასული 800 ლარს მიიღებს, მეორეზე - 600-ს, მესამეზე კი - 400-ს. ორგანიზატორებმა ასაკობრივ ჯგუფებშიც დააწესეს სამ-სამი პრიზი: 10-14-18 და 20 წლამდე. 20-წლიანებში ასეთი ნიხრებია - 700; 600; 400; 18-წლიანებში: 600; 400; 200; 14-წლიანებში - 500; 300; 200; 10-წლიანებში - 400; 200; 100.

ასეთი დაყოფა ერთგვარი სტიმულია ახალგაზრდებისთვის და მათი ტურნირში მოზიდვის კარგი საშუალებაა, თუმცა ამ შემთხვევაში ამან სრულიად არ გაამართლა. თავისთავად ასეთი მიდგომა მისასალმებელია, მაგრამ რატომღაც ორგანიზატორებს გამორჩათ ვეტერანები, - ასეთ ტურნირებში, როგორც წესი, ყველგან ითვალისწინებენ ასაკოვანი მონაწილეების ინტერესებსაც. ჩვენს შემთხვევაში ბევრი არა, მაგრამ რამდენიმე ვეტერანი კი მონაწილეობს, - ბატონი **ბუხუტი გურგენიძე, იური ჩიქოვანი, გიორგი ხომერიკი,** ქალბატონი **თამარ ხმიადაშვილი**... სამი თუ არა, ერთი პრიზის დაწესება ალბათ შესაძლებელი იყო...

გახსნის ცერემონიალი დღეს პირველ საათზე დაიწყო. ტურნირის იდეის ავტორმა **ნინო გურიელმა** მიმართა საზოგადოებას სიტყვით და ყველას მიულოცა ტურნირის დაწყება. პრეზიდიუმში ისხდნენ: **მაია ჩიბურდანიძე, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კახა შალამბერიძე, თამარ ხმიადაშვილი, მიხეილ კეთელიძე.** დარბაზს სიტყვით მიმართეს აზმაიფარაშვილმა, გაფრინდაშვილმა, ჩიბურდანიძემ და ხმიადაშვილმა. მაია ჩიბურდანიძემ მიმართა სტუმრებს - თქვენი დიდი პატივისცემისდა მიუხედავად, ეს მშვენიერი თასი, რომელიც გამარჯვებულს ერგება, თქვენთვის არ გვემეტება და საქართველოში უნდა დარჩესო. ეს რომ ასე იქნება და სტუმრებში იასონის ძალის კაცი რომ არ ურევია, პირველმა ტურმაც გამოაჩინა, თუმცა პირველმა ტურმა სხვა ბევრი საინტერსო რამაც დაგვანახა და ეს ფავორიტთა წაფორხილებაა: ლევან ფანცულაიამ **ანა გავაშელთან** უარესი პოზიცია მიიღო და ყველა კანონით უნდა წაეგო, მაგრამ ანამ ვერ დაიჯერა წარმატება და უკეთეს პოზიციაში მეტოქეს ყაიმზე შეუთანხმდა. წაგებას გადაურჩა მეორე ფავორიტიც - ვალერიან გაფრინდაშვილი - **ლევან გოგოჭურთან** ყაიმს გამორჩა.

ვერ გაიმარჯვეს ქალთა შორის ფავორიტებმაც - ტურნირის მეთორმეტე ნომერმა **ნანა ძაგნიძემ** თეთრებით 55-ე ნომერ **ნოდარ დავარაშვილთან** გაიყო ქულა, ხოლო **მაია ლომინეიშვილმა,** რომელი მეთოთხმეტეა, ასევე თეთრებით **მადონა ბოკუჩავასთან** ითამაშა ყაიმით; ბოკუჩავა 57-ეა.

სენსაციური შედეგი დაფიქსირდა 41-ე დაფაზე, სადაც 9 წლის **ლუკა ცხადაძემ გიორგი ხომერიკი** დაამარცხა. ხომერიკი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელია და მიუხედავად იმისა, რომ აქტიური მოჭადრაკე აღარაა, ზოგჯერ თამაშობს ხოლმე, მისი საჭადრაკო კვალიფიკაციაც საკმაოდ მაღალია. ამჯერად იგი უხეშად შეცდა და დამარცხდა.

სხვა ფავორიტთაგან არავინ შეფერხებულა და დაგეგმილი ქულები ჩაიწერეს აქტივში.

ტურნირი 9 ტურად გაიმართება. სათამაშო დრო 90 წუთია, ყოველ სვლაზე 30-წამიანი დამატებით.

მეორე ტურში ბევრი საინტერესო წყვილია. გთავაზობთ რამდენიმე მათგანს: **ნინო ბაციაშვილი (1)-დავით არუთინიანი (1); კონსტანტინე შანავა (1)-ილღარ ბაჯარანი (1); ლევან ბრეგაძე (1)-ხვიჩა სუპატაშვილი (1); გიორგი ბალათუროვი (1)-პარმენ გელაზონია (1); დავით ბენიძე (1)-დავით მალალაშვილი (1); მიხეილ კეკელიძე (1)-ბელა ხოტენაშვილი (1); დავით ლომსაძე (1)-ბეგლარ ჯობავა (1-; მალხაზ სულაშვილი (1)-სოფიკო გურამიშვილი (1); გიგა ყუფარაძე (1)-იური ჩიქოვანი (1); მირანდა მიქაძე (1)-ბაჩანა მორჩიაშვილი (1); სოფიკო ტერელაძე (1)-ლუკა პაიჭაძე (1); დავით ზარქუა (1)-თამაზ ხმიადაშვილი (1); გაიოზ ნიგალიძე (1)-ნიკოლოზ ჩხაიძე (1); თამაზ მგელაძე (1)-მაკა ფურცელაძე (1).**

**ზვიად შათირიშვილი**



თაობათა დაპირისპირება. მარცხნივ თამარ ხმიადაშვილი, მარჯვნივ ბუხუტი გურგენიძე



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ჩოგბურთი

## ჩაჩხუნაშვილი, კვლავ მოგება

18 წლის სალომე ჩაჩხუნაშვილი წარმატებით ასპარეზობს რუმინეთის ქალაქ პიტეშტის საერთაშორისო ტურნირზე (10 ათასი დოლარი). სალომე ასპარეზს რვათვიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა, მანამდე ის ამერიკაში ვარჯიშობდა. ურეიტინგო ქართველმა იოლად გაიარა საკვალიფიკაციო ბადე და ძირითადის პირველ წრეში რუმინელ ნიკოლეტა ბარას შეხვდა და ორ სეტში მოუგო - 6:4, 6:3. მეორე წრეში ჩაჩხუნაშვილს უკვე სერიოზული მეტოქე ჰყავს, მე-6 ნომრად განთესილი რუმინელი **ალექსანდრა კადანტუ** (603). სალომე ჩაჩხუნაშვილმა და უკრაინელმა **ვიოლეტა მილკოვამ** წყვილთა თანრიგში პირველ წრეში წააგეს რუმინელებთან (**მირჩია, ნიკოლაე**) - 2:6, 6:0, 3:6. თამაშის მიმდინარეობისას სალომეს მეწყვილემ მხარი დაიზიანა.

## ოთხი ნაბიჯი წინ

გამოქვეყნდა ჩოგბურთელთა ახალგაზრდული რეიტინგ-ლისტი, რომელშიც **ოქსანა კალაშნიკოვამ** ოთხი საფეხურით წაიწია წინ, ოქსანა მსოფლიოს 26-ე ჩოგანია, თუმცა ჩვენებურის საუკეთესო მაჩვენებელი 25-ე პოზიციაა. მსოფლიო კლასიფიკაციის ხუთასეულში მეტი ქართველი გოგონა არ გვყავს. ბიჭებში საუკეთესო ქართველმა **ლაზარე კუხალაშვილმა** 6 ადგილით წაიწია წინ და ტოპ ორმოცდაათეულს დაუბრუნდა (49-ე ადგილზეა). 324-ე პოზიცია უკავია **გიორგი ჭანტურიას.**

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფრენბურთი

მსოფლიო ტური

## მხოლოდ კაცებმა გაიარეს

ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში მორიგი ეტაპის კვალიფიკაცია წარმატებით დასძლია ქართულმა წყვილმა გეორგიამ. ჩვენმა ფრენბურთელებმა, რომლებიც კვალიფიკაციაში პირველ ნომრებად იყვნენ განთესილები, პირველ შეხვედრაში 32-ე წყვილი, ფინელები **ჰკალა და კანკააპი** დაამარცხეს 2:0 (21:11, 21:11). ბოლო, ძირითად ბადეში გადასასვლელ შეხვედრაში კი, ესპანელებს **ლუნასა და ლარიოსს** ძლიეს 2:0 (21:9, 21:10).

კვლავ წარუმატებლად იასპარეზა ქალთა დუეტმა **საქა-რთველომ.** ქალები მსოფლიო ტურის მორიგ ტურნირზე ვარშავაში შეიკრიბნენ. ჩვენმა ფრენბურთელებმა პირველ მატჩში შვეიცარიელები **ცუმკერი** და **სკრივანი** დაამარცხეს 2:0 (25:23, 21:17). მერე კი კვალიფიკაციის ბოლო შეხვედრაში ჰოლანდიელებთან **ვან ლერსელთან** და **ვესელინკთან** დამარცხდნენ 1:2 (15:21, 22:20, 10:15) და გათამაშებას გამოეთიშნენ.

**ბესიკ ჯანგავაძე**

თარიღი

**ანზორ ქესელიძე.** 07.06.1939, თბილისი - 01.01.2001, იქვე. ხელბურთი. თამაშობდა თბილისის "ბურევესტნიკში" (1958-75), იყო სსრკ ნაკრების წევრი (1965-67). სსრკ ორგზის ჩემპიონი (1962, 64), სამგზის მეორე (1965, 66, 67) და მესამე პრიზიორი (1963). მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე (1967). სსრკ ნაკრების შემადგენლობაში ჩაატარა 14 მატჩი და გაიტანა 13 გოლი.

**თემურ ბენდიაშვილი.** დაიბადა 07.06.1948, თბილისი. რაგბი. თამაშობდა თბილისის "ლოკომოტივსა" და სსრკ ნაკრებში. სრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1972). 1976 წლიდან გუნდის მოთამაშემწვრთნელია. მისი ხელმძღვანელობით "ლოკომტიტვი" სსრკ ჩემპიონატის მსამე პრიზიორი (1978), საქართველოს 5-გზის ჩემპიონი (1992, 94, 2000, 01, 03) და 4-გზის თასის მფლობელი (1992, 2000, 03, 04) გახდა. 1991-93 წლებში იყო საქართველოს ნაკრების მწვრთნელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბრები სპორტის ისტორიაზე

გაგრძელება. დასაწყისი იხ. "ლელო" N 56, 2006

# ქართული სპორტი 1981-1990 წლებში

**სპორტის** სათამაშო სახეობებიდან, ტრადიციულად, საყოველთაო ყურადღების ცენტრში რჩებოდა ფეხბურთი, კალათბურთი და ჩოგბურთი. ჩვენმა საუკეთესო გუნდებმა და სპორტსმენებმა არაერთი თვალსაჩინო წარმატება მოუტანეს ქართულ სპორტს გასული საუკუნის ბოლო მეოთხედში. გამონაკლისი არც 1985 წელი იყო. ამაში თავად დარწმუნდებით. უფროსების კვალდაკვალ, დიდ სარბიელზე თამამად იმკვიდრებდნენ ადგილს ჭაბუკები და ახალგაზრდები - ქართული სპორტის ღირსეული ცვლა. ჩოგბურთზე ადრე ვისაუბრეთ. მაშ ასე, მივყვეთ მოვლენებს ფეხბურთსა და კალათბურთში...

**ფეხბურთი.** 1981 წლის მქუხარე წარმატების შემდეგ, თბილისის "დინამო" არა მხოლოდ ევროპის, მსოფლიო საფეხბურთო სამყაროს განსაკუთრებული ყურადღების ღირსი გახდა. იმ წლებში იშვიათად თუ გაიმართებოდა საერთაშორისო ტურნირი, რომ ორგანიზატორებისგან "დინამოს" მიწვევა არ მიეღო. თუმცა საბჭოთა ეპოქაში ვინმეს არც ზედმეტი განებივრება შეიძლებოდა, არც განსაკუთრებულობის პრეცენდენტს დაუშვებდნენ, ზომიერება იყო დაბალანსებული. 1985 წელს, ბულგარეთში (ვარნა), თბილისის "დინამო" საერთაშორისო ტურნირის ფინალში გავიდა იუგოსლავიის "რიეკასთან" ერთად. ეს შეხვედრა მეტოქემ მოიგო დამაჯერებელი ანგარიშით - 3:1. საკავშირო ჩემპიონატში ქართველი ფეხბურთელებიდან სპეციალისტებსა და ქომაგებს მაღალი ოსტატობით კვლავ ალაფრთოვანებდა თბილისის დინამოელი **ალექსანდრე ჩივაძე**. სეზონის ბოლოს, სსრკ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა მწვრთნელთა საბჭოს წარდგინებით დაამტკიცა ქვეყნის "33 საუკეთესო" ფეხბურთელის სია. ჩივაძე მარჯვენა ცენტრალურ მცველთა სამეულში მეორე ნომრად მოხვდა. იმავე 1985 წელს, ქართველ მსაჯ **ველოდი მიმინოშვილს** თბილისის "დინამოს" სტადიონზე საზეიმოდ გადაეცა ფეხბურთში საერთაშორისო კატეგორიის არბიტრის სამკერდე ნიშანი და შესაბამისი სერთიფიკატი. ის წელიწადი გაჯერებული იყო ჭაბუკთა სხვადასხვა დონის ასპარეზობებით. დავიწყოთ ყველაზე მნიშვნელოვანი ტურნირებით. ტაშკენტმა უმასპინძლა ჭაბუკ ფეხბურთელთა ტრადიციულ, რიგით მე-15 საერთაშორისო ტურნირს. პირველობა წილად ხვდა საბჭოთა კავშირის პირველ ნაკრებს, რომლის შემადგენლობაში საქართველოდან თამაშობდნენ **ზაზა რევიშვილი, ვასილ მიქაშავიძე, მამუკა ფანცულაია** და **ალან კულუმბეგოვი**. ეს ფეხბურთელები საკავშირო ნაკრებში მონაწილეობდნენ აგრეთვე სან-მალინში (საფრანგეთი) გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირშიც. საბჭოთა გუნდი აქაც უძლიერესის ტიტულს დაეუფლა, დაამარცხა რა ფინალში შოტლანდიელი თანატოლები - 1:0. ხსენებულ ტურნირებში 1968-69 წლებში დაბადებული ჭაბუკები მონაწილეობდნენ. საერთაშორისო ტურნირში (საფრანგეთი, მონტევიუ) ერთი წლით უმცროსებიც ჩაებნენ. საბჭოთა ნაკრებმა ფინალური შეხვედრა 4:0 მოუგო შვეიცარიელებს და მთავარ პრიზს დაეუფლა. საქართველოდან გამარჯვებულთა შორის იყვნენ: **მიხეილ კალატოზიშვილი, დავით პეტრიაშვილი, ბახვა თედეევი, ახსარ ბეკოევი** და **დავით ნოზაძე** - როგორც ხედავთ, თითქმის ნახევარი გუნდი.



თემურ ხუბულური, გურამ პაპიტაშვილი, შოთა ჩოჩიშვილი

იმ პერიოდში, უეფა დიდ ყურადღებას უთმობდა საერთაშორისო ტურნირების ჩატარებას 16- წლამდელთათვის. მაღალი რანგის ამ ასპარეზობაში, რომელიც 1985 წელს ბუდაპეშტში (უნგრეთი) გაიმართა, სსრკ ნაკრებში კვლავ გაიბრწყინა ზემოხსენებულმა ოთხეულმა - **ზაზა რევიშვილმა, მამუკა ფანცულაიამ, ალან კულუმბეგოვმა** და **ვასილ მიქაშავიძემ**. ფინალში სსრკ ნაკრებმა უალრესად დაძაბულ დაპირისპირებაში სძლია საბერძნეთის გუნდს - 4:3.

ერთ ტურნირს ბათუმმაც უმასპინძლა. როგორც მასპინძელ ქვეყანას, საქართველოს დამოუკიდებელი გუნდის გამოყვანის ნება დართეს. კონკრეტულად კი ეს პატივი წილად ხვდა ქუთაისის ჭაბუკთა გუნდ "ნორჩ სტადიონელს". რაც მთავარია, ქუთათურებმა გაამართლეს ნდობა და ტურნირი საბოლოოდ მათი გამარჯვებით დასრულდა.

ახლა, საკავშირო ტურნირების შესახებ. ბათუმშივე ჩატარდა "იმედის თასის" გათამაშებაც. პირველი ადგილის ბედი უნდა გადაეწყვიტა საქართველოსა და უკრაინის ნაკრებთა შეხვედრას. მასპინძლებმა ამ მატჩში განსაკუთრებული მონდომებით ითამაშეს, დაამარცხეს მეტოქე შთამბეჭდავი ანგარიშით - 3:0 და მთავარი პრიზიც დაისაკუთრეს. საქართველოსა და უკრაინის ჭაბუკთა ნაკრებები 1985 წელს კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად, თბილისში, "ლოკომოტივის" სტადიონზე. ეს საკავშირო ტურნირი მიეძღვნა **ვიტალი დარასელიას** ხსოვნას. ჩვენმა ჭაბუკებმა ამჯერად 1:0 სძლიეს უკრაინელ თანატოლებს. საქართველოს მოზარდმა ფეხბურთელებმა უკრაინაშიც დაამტკიცეს, რომ ისინი ნამდვილად იმსახურებდნენ გამარჯვებას. ნიკოპოლში გაიმართა 1969-70-წლიანთა საკავშირო პირველობა. საქართველოს წარმოადგენდა თბილისის "ნორჩი დინამოელი" (მწვრთნელები: **ნიკოლოზ ამირეჯიბი** და **ბორის სიჭინვა**). უძლიერესის გამოსავლენი მატჩი მასპინძელთა გუნდთან ჩვენებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს და ღირსეულადაც გაიმარჯვეს - 3:1. ჭაბუკთა პირველი საკავშირო სპორტული თამაშების პროგრამით ფეხბურთელთა ტურნირის ჩატარება სიმფეროპოლს ხვდა წილად. ფინალი აქაც უკრაინულ-ქართული გამოდგა. დაძაბულ შეხვედრაში, მინიმალური ანგარიშით 2:1 უკრაინელებმა გაიმარჯვეს. საქართველოს ნაკრები ვერცხლის მედალს დასჯერდა. ქართული ფეხბურთის მატიანეს შემორჩა იმ ჭაბუკი ფეხბურთელების გვარები, რომლებმაც ის ფინალური შეხვედრა უკრაინელებთან ითამაშეს. აი ისინიც: **გია ჯიშკარიანი, ემზარ კულიაშვილი, გოჩა პაიჭაძე, გიორგი ჩიხრაძე, დავით ქობალია, გოჩა ბენიძე, თეიმურაზ კაბისაშვილი, ალან კულუმბეგოვი, ჯაბა ნიკლაური, მამუკა ფანცულაია, გიორგი დარასელია, ვასილ მიქაშავიძე, ზაზა ბენიძე, გიორგი დარჩიაშვილი, თამაზ სამხარაძე, ივანე ბერაძე, დავით ცომაია.**

მოზარდებში განსაკუთრებით პოპულარულმა "ტყავის ბურთის" საკავშირო ტურნირმა, სხვადასხვა დროს, საქართველოს არაერთ გუნდს მოუტანა წარმატება. იმ წელიწადს, ქუთაისის "იმერეთი" (უმცროსი ასაკი, 1974-75 წლებში დაბადებულები) ტიუმენში გამართულ ტურნირში მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა. "სიჭაბუკის თასის" გათამაშებაში (ნალჩიკი) საქართველოს ნაკრები მესამე პრიზიორი გახდა.

ერთი საკავშირო ტურნირი გაიმართა თბილისშიც, 1972-73 წლებში დაბადებულთათვის. შეჯიბრებაში საქართველოდან რამდენიმე გუნდი მონაწილეობდა. ტურნირის ყველა სინჯის მედლები ქართველებს დარჩათ: პირველი იყო თბილისის "იბერია", რომელმაც ფინალში ოჩამჩირის გუნდს მოუგო - 1:0, მესამე ადგილზე კი თბილისის "იმედი" გავიდა.

**კალათბურთი.** იმ წელიწადს, მოზრდილთაგან საკავშირო სარბიელზე წარმატებას მხოლოდ თბილისის "ბურევესტნიკის" ქალ კალათბურთელთა კოლექტივმა მიაღწია. ესენტუკში ჩატარდა პირველი ლიგის ქალთა გუნდების საკავშირო ტურნირი. გადამწყვეტ მატჩში ფინალში გასულ თბილისელეთა მეტოქე იყო ესენტუკის "სპარტაკი". ქართველებმა ბრწყინვალედ ჩაატარეს ეს მატჩი, რაზეც საბოლოო ანგარიშიც მეტყველებს - 79:45. ტურნირის საუკეთესო მოთამაშის სპეციალური პრიზი გადაეცა **ნატალია ლორიას**. ჭაბუკებიდან გამორჩეული იყო 1969 წელს დაბადებულთა შორის ბელგოროდში გამართული საკავშირო ტურნირი, სადაც თბილისის "დინამოს" მემკვიდრეებმა (მწვრთნელი **ლევან ინწკირველი**) უძლიერესის სახელი მოიპოვეს.

იმავე წელიწადს, საქართველოში ჭაბუკთა სამი საკავშირო ტურნირი ჩატარდა - ორი თბილისში, ერთიც სოხუმში. თბილისში, გაზეთ "ლელოს" პრიზზე, მაშინ უკვე ტრადიციად ქცეულ ასპარეზობაში, მთავარ ჯილდოს დაეუფლა საქართველოს ჭაბუკთა პირველი ნაკრები, რომელსაც **ჯამლეტ ხუხაშვილი** წვრთნიდა. მეორე ტურნირში 1971-72-წლიანები გამოდიოდნენ. ეს იყო ამ ასაკის კალათბურთელთა ზონალური საკავშირო ასპარეზობა. საქართველოს ნაკრებმა საგზურისთვის გადამწყვეტი, ფინალური შეხვედრა მოუგო ლენინგრადის წარმომადგენლებს - 46:37. სოხუმს ეწვივნენ 1971 წელს დაბადებულთა საკავშირო ტურნირის მონაწილენი. ჯამლეტ ხუხაშვილის გუნდმა, ამჯერად "ნორჩმა დინამოელმა", აქაც არავის დაუთმო პირველობა. გოგონებში კი ყველას აჯობეს სოხუმის განათლების ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის აღსაზრდელებმა (მწვრთნელი **ვლადიმერ ხაშბა**). 1972-73-წლიანთა საკავშირო ტურნირში (ტაგანროგი) კვლავ საუკეთესო იყო თბილისის "ნორჩი დინამოელი" (მწვრთნელი **გურამ მეგრელაძე**). 1973-74-წლიანთა საკავშირო ტურნირში (ხარკოვი) კი საქართველოდან სამტრედიის გუნდი მონაწილეობდა. ფინალში მათი მეტოქე იყო ქალაქ ხერსონის ნაკრები, რომელსაც 2 ქულის სხვაობით აჯობეს - 35:33. საქართველოს 1968-69-წლიანთა ნაკრებმა კი ასევე საკავშირო ტურნირი მოიგო დნეპროპეტროვსკში. თბილისის "დინამომ" (მწვრთნელი **ლევან ინწკირველი**) პირველობა მოიპოვა საკავშირო ტურნირში (ნიკოლაევი). ნორჩ კალათბურთელთა საკავშირო ფესტივალი მინი-კალათბურთში, სახელწოდებით - "ოლიმპიური იმედი", მოსკოვში თბილისის "მართვეს" (1973-74-წლიანები) გამარჯვებით დასრულდა.

გასული საუკუნის 80-იან წლებში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ცნობილ სპორტსმენთა სახელობის სპორტული კლუბების ჩამოყალიბება. ოლიმპიური ჩემპიონის **ზურაბ საკანდელიძის** სახელობის ბავშვთა და მოზარდთა საკალათბურთო კლუბმა "ივერიამ" მალე მოიპოვა აღიარება. კლუბის აღსაზრდელებმა, 1985 წელს, სტავროპოლში ვერცხლის მედლები მოიპოვეს 1969-70-წლიანთა საკავშირო ტურნირში (მწვრთნელი **გიორგი გვალია**).

ჭაბუკთა პირველი საკავშირო თამაშების საკალათბურთო ტურნირი (უკრაინა) საქართველოს ნაკრებმა ვერცხლის მედლებით დაასრულა. ფინალში მისი მეტოქე იყო ლატვიის გუნდი, რომელთანაც ჩვენებმა 80:83 წააგეს. წარმოგიდგენთ ამ თამაშების ვერცხლის მედალოსნებს: **ლევან სამხარაძე, ოლეგ ხაბულიანი, დავით ტალაბაძე, ალექსანდრე დონაძე, გიორგი წულაძე, ზაზა ცაგარეიშვილი, ბესიკ გოგელია, ლაშა ძიძავა, ალექსანდრე ფერიაშვილი, მალხაზ კოხრეიძე, ზურაბ კობახიძე, გურამ ვაშაკიძე.**

1984-85 წლების საკალათბურთო სეზონის შედეგების მიხედვით, საკავშირო სპორტკომიტეტმა სსრკ მსაჯთა საუკეთესო ათეულში შეიყვანა ქართველი არბიტრები **გიორგი ავალიშვილი** და **მურმან ქურიძე**.

მიწურა 1985 წელი და საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ, ტრადიციისამებრ, გამოავლინა წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი და ამდენივე მწვრთნელი, პლუს 5 რჩეული გუნდიც. გავეცნოთ მათ.

ათი საუკეთესო სპორტსმენი: 1. **დავით გობეჯიშვილი** (თავისუფალი ჭიდაობა), 2. **ლერი ხაბელოვი** (თავისუფალი ჭიდაობა), 3. **ქეთევან არახამია** (ჭადრაკი), 4. **ვახტანგ იაგორაშვილი** (თანამედროვე ხუთჭიდი), 5. **სერგეი ტერნოვიხი** (სამბო), 6. **ნონა გაფრინდაშვილი** (ჭადრაკი), 7. **თამაზ ნამგალაური** (ძიუდო), 8. **ალბერტ კაზანჯიანი** (კრივი), 9. **იგორ ბრიზგალოვი** (თანამედროვე ხუთჭიდი), 10. **ჯემალ მჭედლიშვილი** (ქართული ჭიდაობა).

საუკეთესო გუნდები: **1. ძიუდოისტთა ნაკრები, 2. ქუთაისის "მშენებელი" (რაგბი), 3. ჭაბუკ ჩოგბურთელთა ნაკრები, 4. აკრობატთა სამეული (მარინე შალაშვილი, ინგა გიორგობიანი, ნატალია ანისიმოვა), 5. ჭაბუკთა ნაკრები ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში.**

ათი საუკეთესო მწვრთნელი: **1. ივანე ლუცენკო (თანამედროვე ხუთჭიდი), 2. ვლადიმერ მესტვირიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა), 3. გურამ პაპიტაშვილი (ძიუდო), 4. ანატოლი პესოჩკინი (სამბო), 5. ვახტანგ სალუქვაძე (ტყვიის სროლა), 6. შალვა ქურციკიძე (რაგბი), 7. ირაკლი ჩხიკვაძე (წყალბურთი), 8. ნოდარ ცხოვრებოვი (ნიჩბოსნობა), 9. დილარ ხაბულიანი (ძიუდო), 10. გარი ხაჩატუროვი (კრივი).**

სსრკ ოლიმპიურმა კომიტეტმა და ჟურნალ "ოლიმპიისკაია პანორამის" რედაქციამ მოკავშირე რესპუბლიკების საუკეთესო სპორტსმენები ერთობლივად დაასახელეს. ლაურეატთა შორის მოხვდა მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში **დავით გობეჯიშვილი**.

გაგრძელება იქნება

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

სპორტი ყველასთვის

# კაბინეტებიდან სპორტულ სარბიელზე

სპორტში დასაქმებული ადამიანები თავადაც მონაწილეობენ დარგობრივ სპარტაკიადაში, რომელიც ტრადიციულია და წლეულს უკვე მეშვიდედ ჩატარდა. ორგანიზატორები არიან სპორტის დეპარტამენტი, სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა პროფკავშირი და ეროვნული ფედერაცია პორტი-ყველასთვის. წლევანდელ სპარტაკიადაში, რომელიც გამარჯვებულთა და პრიზიორთა დაჯილდოებით გუშინ დაიხურა, საშუალო და უფროსი ასაკის სპორტის მუშაკები ერთმანეთს მძლეოსნობაში, ტყვიის სროლაში, ძალოსნობაში, ბაგირის გადაძალაში, ჭადრაკში და სპორტულ ნარდში ეჯიბრებოდნენ. მოასპარეზეებს მასპინძლობა გაუწიეს ნ. გაფრინდაშვილის ჭადრაკის სასახლემ, ნ. სალუქვაძის სახელობის სასროლეთმა, გ. ასანიძის სახელობის ძალოსნობის ცენტრალურმა დარბაზმა, ვაკის მძლეოსნების მანეჟმა და ფარიკაობის ცენტრალურმა დარბაზმა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა სპორტის აკადემიამ (რექტორი, პროფესორი **ჯ. გუგუშვილი**), მეორე ადგილზე გავიდა თბილისის ოლიმპიური ცენტრის ფილიალი "საბურთალო" (დირექტორი ი. **მოდრეკილაძე**), მესამეზე - საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია (პრეზიდენტი **დ. ბეჟაშვილი**).

გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს სახეობების მიხედვით.

მძლეოსნობა: **1. სპორტის აკადემია, 2. მძლეოსნობის ფედერაცია, 3. "საბურთალო"**; სროლა: **1. სროლის ფდერაცია, 2. დარგობრივი პროფკავშირი, 3. ძალოსნობის ფედერაცია**; ძალოსნობა: **1. ძალოსნობის ფედერაცია, 2. სპორტის აკადემია, 3. "საბურთალო"**; ბაგირის გადაძალვა: **1. ძალოსნობის ფედერაცია, 2. "საბურთალო", 3. სპორტის აკადემია**; ჭადრაკი: **1. ჭადრაკის ფედერაცია, 2. სპორტის აკადემია, 3. "საბურთალო"**; სპორტული ნარდი: **1. სპორტის დეპარტამენტი, 2. რაგბის კავშირი, 3. სპორტის აკადემია.**

**გურამ ფარულავა**



# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი

კადეტთა ნაკრები

# მართვე არწივებში

ორდღიანი ინტერვალით ჯერ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შეიკრიბა, შემდეგ - კადეტთა. 16-წლამდელებმა გუშინ პირველი ვარჯიში "აკადემიას" დარბაზში, დილის 9 საათზე გამართეს.

საწვრთნელ პროცესში მონაწილეობა მიიღო 14-მა კალათბურთელმა, რომლებიც ივლისის ბოლოს ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრებიან:

**ტატო თავართქილაძე** (აკადემია), **გიორგი გლოველი** (მართვე), **გივი ბაქრაძე** (კონსტანტა), **მერაბ ბოქოლიშვილი** (აკადემია), **ბექა ჩიკვილაძე** (თსუ), **აკაკი დვალიშვილი** (აზოტი), **ირაკლი მაღლაკელიძე** (მართვე), **დავით იოსელიანი** (მაკაბი), **ლევან სულაბერიძე** (აკადემია), **ლუკა ჭოხონელიძე** (მართვე), **გიორგი ხეთაგური** (აკადემია), **თორნიკე შენგელია** (მართვე), **გიორგი ელანიძე** (თსუ), **გიორგი ვაშაყმაძე** (მართვე).

კადეტთა ნაკრები ჯერ თბილისში მოემზადება, შემდეგ კახეთში გამართავს გასვლით შეკრებას, ხოლო გენერალურ რეპეტიციას თურქეთში დაგეგმილ შავი ზღვის თამაშებზე გაივლის.

შემადგენლობის კითხვისას დაკვირვებულ თვალს არ გამოეპარებოდა ის ფაქტი, რომ გუნდში არაა **ნიკა მეტრეველი**. იტალიის "რიმინი კრაბსში" მოთამაშე ცენტრში გასულ წელს შესარჩევ ტურნირში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. იგი ამჟამად იტალიაშია და სატრანსფერო საკითხებს აგვარებს - "რიმინიდან" სიენას "მონტეპასკიში" გადადის. თუკი სხვა ნაკრებთა შეკრებების ხანგრძლივობას კადეტებისას შევადარებთ, აღმოვაჩენთ, რომ 16 წლამდელებს ყველაზე მეტი დრო აქვთ სამუშაოდ. ევროპის ჩემპიონატი, რომელიც საბერძნეთის კუნძულ კრეტაზე გაიმართება, 20 ივლისს დაიწყება. მასში მონაწილე 16 გუნდი 4 ჯგუფადაა გაყოფილი. საქართველოს ნაკრები A ჯგუფში იტალიასთან, ესპანეთთან და სლოვენიასთან მოხვდა. როგორც ხედავთ, მეტოქენი ექსტრა-კატეგორიისანი არიან და წინასწარ შეიძლება იმის თქმა, რომ ქართველებს ჯგუფიდან გასვლის მხოლოდ მიზერული შანსი აქვთ. ცნობისთვის გეტყვით, რომ თითო ჯგუფიდან მეორე ეტაპზე 3-3 ნაკრები გადის, რომლებიც 6-6-გუნდიან 2 ქვეჯგუფს შეადგენენ. შემდეგ იქნება ნახევარფინალები და ფინალები...

არაფერი გვითქვამს მათზე, ვინც საწყის ეტაპზე ჯგუფში მეოთხე ადგილს დაიკავებს - ეს ოთხეული ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძოლებს.

ქართველები ჯგუფში ბოლო ადგილს თავს დააღწევენ თუ არა, უშუალოდ კრეტაზე გამოჩნდება, ახლა კი მატჩების განრიგს შემოგთავაზებთ:

| A ჯგუფი |
|---|
| **20 ივლისი** |
| ესპანეთი-საქართველო |
| სლოვენია-იტალია |
| **21 ივლისი** |
| იტალია-საქართველო |
| ესპანეთი-სლოვენია |
| **22 ივლისი** |
| საქართველო-სლოვენია |
| იტალია-ესპანეთი |

ლეგიონერები

# 12 წუთი 55-წუთიან მატჩში

"მონტეპასკისა" და "რომას" მესამე ნახევარფინალური დაპირისპირება, მიმდინარე სეზონის საუკეთესო მატჩი გამოდგა. სიენაში გამართული შეხვედრის გამარჯვებულის გამოვლენას არც მეტი, არც ნაკლები, 3 ოვერტაიმი დასჭირდა. სხვადასხვა დროს მოგებასთან ახლოს ხან ერთი გუნდი იყო, ხან მეორე, თუმცა საბოლოოდ მაინც "მონტეპასკის" გაუმართლა (114:108) და სერიაში 2:1 დაწინაურდა. ამ გამარჯვებით ბოისას თანაკლუბელები ფინალს ერთ ნაბიჯზე მიუახლოვდნენ. ამისთვის საჭიროა 7 ივნისს რომსა და 9 ივნისს სიენაში დაგეგმილი მატჩებიდან ერთ-ერთის მოგება...

სამი დამატებითი დრო თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ მატჩი თანაბარ ბრძოლაში წარიმართა. ისლანდიელი სტეფანსონის ორქულიანის შემდეგ (ძირითადის დროის დასრულებამდე წუთნახევრით ადრე რომაელებმა ექვსქულიანი უპირატესობა მოიპოვეს (84:78) და გამარჯვება ნაადრევად ირწმუნეს. დარჩენილ დროში ბერძენ-სიენელმა **კაუკენასმა** თამაში საკუთარ თავზე აიღო და სირენის გაჟღერების პარალელურად ანგარიში გაათანაბრა - 84:84.

პირველ ოვერტაიმში "მონტეპასკი" გამოცოცხლდა და მეტოქეს 7 ქულით გაასწრო, თუმცა რომაელთა სერბმა ლიდერმა დეიან ბოდიროგამ ერთმანეთის მიყოლებით 8 ქულა ჩააგდო, ანგარიში გაათანაბრა და თამაში მეორე ოვერტაიმში გადაიყვანა. როგორც უკვე გითხარით, გამარჯვებული არც მეორე დამატებით ხუთწუთეულს გამოუვლენია (101:101). მესამე ოვერტაიმში კი მოედანზე **ვლადიმერ ბოისა** გამოჩნდა და ოქროს მოხსნაც ჩაიწერა - 54-ე წუთზე ბურთი მეტოქის ფარზე მოხსნა და **ჯოზეფ ფორტეს** გადასცა. ამ უკანასკნელს სროლა არ დასცალდა - რომაელებმა წესების დარღვევით შეაჩერეს. ფორტეს 2 ზუსტი საჯარიმოს შემდეგ სხვაობა 4 ქულამდე გაიზარდა (112:108) და სტუმრებს სიტუაციის გამოსასწორებლად დრო აღარ დარჩათ.


ვლადიმერ ბოისა

მართალია, ვოვა ბოისა გადამწყვეტ მომენტში კარგად გაისარჯა, მაგრამ მაინც მიზერულად ჩანს 55-წუთიან მატჩში მისთვის ბოძებული 12 წუთი. დროის ამ მონაკვეთში ბოისამ 1 ორქულიანი, 2 სამქულიანი გააცუდა და 2 მოხსნა ჩაიწერა.

დაველოდოთ 7 ივნისის მატჩს და იმედი დავიტოვოთ, რომ "მონტეპასკი" მეორედაც მოახერხებს რომში გამარჯვებას. მანამდე კი გეტყვით, რომ მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს ბოლონიის "ვირტუსი" და მილანის "არმანი" ეთამაშებიან. მათაც სტუმრად მიითვალეს თითო მოგება და სადღეისოდ სერიაში ანგარიშია 1:1.

# ქართლოსის თასი კონფლიქტის ზონაში

მეგობრობის ხიდი - "ქართლოსი" არასამთავრობო ორგანიზაციაა და ცხინვალის რეგიონში, კონფლიქტის ზონაში ფუნქციონირებს. ორგანიზაციის თაოსნობით ხვალ, 8 მაისს, სოფ. ფხვენისში ქართველი და ოსი ეროვნების, აგრეთვე საქართველოს სხვა რეგიონების ფალავნების მონაწილეობით ჩატარდება ტურნირი ქართულ ჭიდაობაში "ქართლოსის თასი". ქართული ჭიდაობა ტრადიციულად პოპულარულია რეგიონში. ახლა პირველად საჭიდაო წრეში გამოვლენ გოგონებიც. ტურნირი ვაჟთა შორის 9 წონით კატეგორიაში გაიმართება. ორგანიზატორების აზრით, "ქართლოსის თასის" გათამაშება ემსახურება ქართულ-ოსურ თემთაშორის დამკვიდრებული მეგობრული ტრადიციებისა და ურთიერთობების აღდგენას, მოზარდებსა და ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასა და ქართული ჭიდაობის პოპულარიზაციას.



# სპორტული მთაწმინდა გიხმობთ!

**მთაწმინდის ფუნიკულიორის V სპორტული არბენი გაიმართება 2007 წლის 10 ივნისს, კვირას, 17 საათზე მთაწმინდის (სიმაღლე 770 მ) სპორტული არბენის მონაწილემ უნდა დაძლიოს აღდგენილ-განახლებული ფუნიკულიორის 1389-საფეხურიანი კიბე (ადრე იყო 1215), რომლის სიგრძეა 509.5 მეტრი, დახრილობა 26-31 გრადუსი, საწყისი სიმაღლე 487.12 მ, ფინიში 722.45 მ, სიმაღლეთა სხვაობა 235.33 მ.**

**მსურველთა განაცხადი მიიღება ტელეფონით: 22-63-97; 39-18-91; 899-552-252. მონაწილემ უნდა წარმოადგინოს ჯანმრთელობის ცნობა, რომ შეუძლია ამ სახეობაში ასპარეზობა. შეკრება-რეგისტრაციის, სამკერდე ნიშნების მიღებისა და სტარტის ადგილია - ფუნიკულიორის ქვედა სადგური. ხოლო ფინიში - ზედა სადგური-სასახლე.**

**ამ ასპარეზობის პარალელურად წარიმართება ძველი ბილიკით ასვლა-ლაშქრობა, რომლის მონაწილენიც მთაწმინდას ღირსი მამა დავითის სახელობის ტაძრის და პანთეონის გავლით ეწევიან.**

**გამარჯვებულთა დაჯილდოება, მონაწილეთა წახალისება და საგანგებო პრესკონფერენცია ფუნიკულიორის ქვედა სადგურის დარბაზში გაიმართება.**

**ასპარეზობას უძღვება საქართველოს მძლეოსნობის მსაჯთა კოლეგია - თავმჯდომარე მამია ტულუში.**

თბილისის სპორტულ ბაზებზე

**მძლეოსნობა. 8-9 ივნისი. ეროვნული ჩემპიონატი. დასაწყისი 8 ივნისს 16 საათზე, 9 ივნისს 10:30**

## ძიუდო


გორის მთავარი ძიუდოს დარბაზი



# გორელები ვბრუნდებით!

**მაისის ბოლოს, თბილისში გამართულ საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზეს გორელებმა - ოქროს ერთი, ვერცხლის ხუთი და ბრინჯაოს ოთხი მედალი მოიპოვეს. უკანასკნელი წლებში გორის ძიუდოს სკოლა ჩრდილში იდგა, ამიტომ ეს შედეგი საყურადღებოდ უნდა ჩაითვალოს. ამ ტურნირზე გამოსვლასა და ქართული ძიუდოს ერთ-ერთ მთავარ ქალაქში არსებული ვითარების შესახებ გამოცდილ მწვრთნელს, გივი ზაუტაშვილს ვესაუბრეთ.**

- მსგავსი შედეგისთვის დიდი ხანია აღარ მიგვიღწევია, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს ჩვენი ბიჭების წარმატება მოულოდნელი გახლდათ. დაახლოებით ამდენ პრიზიორს ჩემპიონატის დაწყებამდეც ვვარაუდობდით. ამჟამად ყველა წონით კატეგორიაში საკმაოდ ძლიერი მოჭიდავეები გვყავს. ერთადერთი, 100 კილოში მოვისუსტებთ და ამ პრობლემასაც მალე მოვაგვარებთ.

**- რამდენიმე წელიწადია პირველ ნაკრებში წარმომადგენელი არ გყავთ. რა არის ამის მიზეზი?**

- რამდენიმე მიზეზია. საერთოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობისთვის ცოცხალ სახეს, ანუ მაგალითს საკუთარ დარბაზში. საქართველოში ძიუდოს შემოსვლისთანავე გორში ამ მხრივ ყველაფერი რიგზე იყო. ჯერ იყო ანზორ ქიბროწაშვილის თაობა, შემდეგ შოთა ჩოჩიშვილის, თემურ ხუბულურის, კობა კურტანიძისა და ძმები თენაძეების, ბოლოს გიორგი ვაზაგაშვილისა. ამ ადამიანებთან ერთად ტალანტების მთელი ჯგუფი ვარჯიშობდა და შესაბამისად ამათ გვერდით წრთობა ყველა პატარასთვის უმნიშვნელოვანესი იყო. გარდა ამისა, მაშინ უკეთესი სავარჯიშო პირობებიც იყო.

90-იან წლებში კი პირობების არქონისა და უყურადღებობის გამო, ბევრმა მოჭიდავემ უცხოეთს მიაშურა და ვინც საზღვარგარეთ ვერ წავიდა, თბილისში გადავიდა სავარჯიშოდ. გორში იმ წლებში აქტიურად ვერცერთი დარბაზი მოქმედებდა. მახსოვს, ერთ ზამთარს გურამ პაპიტაშვილმა ტატამი შინ გაატანა გია ვაზაგაშვილს, რათა იქ განეგრძო მზადება, იმიტომ, რომ დარბაზში ციოდა და გაუსაძლისი პირობები იყო. ბოლო წლებში უკვე საკმაოდ აქტიურად ამოქმედდა გორის ძიუდოს ყველა დარბაზი, გაიხსნა ახალიც, პირობებიც შესამჩნევად გაუმჯობესდა. არ შემიძლია ამ თვალსაზრისით არ აღვნიშნო ადგილობრივი სპორტკომიტეტის ხელმძღვანელის გია თენაძის თავდაუზოგავი გარჯა. ყველაფერმა ამან დაასრულა ის წყვეტის პერიოდი და აგერ შედეგებიც სახეზეა... ბუნებრივია, ჯერჯერობით, ახალგაზრდებში.

**- ესე იგი, გორელი ძიუდოისტები მალე დაუბრუნდებიან პირველ ნაკრებს?**

- იმედი მაქვს, ეს დრო შორს არაა. დღესდღეობით გორში ძიუდოისტთა მართლაც კარგი თაობა წამოვიდა, ისინი ჯერ 18-19 წლისანი არიან და კარიერის ყველაზე წარმატებულ ეტაპს ახლა იწყებენ. ჩვენი ხუთი ძიუდოისტი, ორიოდე კვირის წინათ სამბოში ევროპის ჭაბუკთა და ახალგაზრდების პირველობაზეც გამოვიდა, სადაც ოთხი სხვადასხვა სინჯის მედალი მოიპოვაა. მაგალითად, ევროპიდან ვერცხლით დაბრუნებულმა რობერტ მშვიდობაძემ (60 კგ) ორ დღეში საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში იჭიდავა და კიდევ ერთი ვერცხლი მოიპოვა.

**- ხომ არ იკლო ბოლო წლებში ძიუდოს შემსწავლელთა რაოდენობამ?**

- ქართლში ძიუდოთი კვლავ უამრავი ბავშვია დაინტერესებული. სამწუხაროდ, რაიონის სოფლებში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა ბევრ პატარას არ აძლევს საშუალებას, გორში ივარჯიშოს. მართალია ამ ძიუდოს სექციები რამდენიმე სოფელშიც გაიხსნა და პერსპექტიული სპორტსმენის გამოჩენის შემთხვევაში, ისინი გორშიც გადმოჰყავთ, მაგრამ უმჯობესია, თუ ბავშვი თავიდანვე აქ დაიწყებს მზადებას. პერსპექტიული ახალგაზრდების აღმოსაჩენად ჩვენც ხშირად გავდივართ რაიონებში, განსაკუთრებით ზაფხულში, როცა ნახერხმოყრილ არენაზე ტრადიციული შეჯიბრებები ეწყობა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კალათბურთი

## დონოვანის ნაცვლად ჯეფ ვან განდი

სააგენტო "როიტერის" ცნობით, "ორლანდო მეჯიქის" ხელმძღვანელობა მზად არის დაარღვიოს **ბილი დონოვანთან** რამდენიმე დღის წინათ გაფორმებული კონტრაქტი. როგორც იცით, ამ სპეციალისტმა არ მოისურვა NBA-ში გადასვლა და ფლორიდის უნივერსიტეტის გუნდში მუშაობის გაგრძელება მოინდომა. კონტრაქტი ხუთწლიანი იყო, ახლა კი, მხარეები ახალ გარიგებას დადებენ, რომლის მიხედვითაც, დონოვანს უახლოესი ხუთი წლის განმავლობაში არ შეეძლება NBA-ში სამუშაოდ გადასვლა.

ამავდროულად, "ორლანდომ" მთავარი მწვრთნელის პოსტი "ჰიუსტონის" ყოფილ დამრიგებელს - **ჯეფ ვან განდის** შესთავაზა.

## ფინალური სერია ძვირი ჯდება

"სან ანტონიოსა" და "კლივლენდის ფინალური სერიის მატჩების ცოცხლად სანახავად, გულშემატკივრებს სოლიდური თანხის გაღება მოუწევთ. ასე მაგალითად, "კავალიერზის" საშინაო მატჩებზე ბილეთების ფასი 300-დან 40 ათას დოლარამდე მერყეობს. ეს იმ დროს, როცა რეგულარულ ჩემპიონატში, მატჩებზე დასასწრები ბილეთების საშუალო ფასი 2-3 ათას დოლარს შეადგენს.

მოკრძალებული შესაძლებლობების მქონე გულშემატკივრებს საშუალება აქვთ, ბილეთები 30-80 დოლარად შეიძინონ, მაგრამ მათი მიღების შანსი არც ისე დიდია. ასეთი ბილეთების რაოდენობა საკმაოდ ცოტაა და თან ისინი სპეციალური ლატარიით თამაშდება, რომელშიც მონაწილეობის სურვილი უკვე 20 ათასმა ადამიანმა გამოთქვა.

## უეიდი ხუთ თვეს ვერ ითამაშებს

როგორც ცნობილია, "მაიამი ჰიტის" ლიდერმა - **დუეინ უეიდმა** რეგულარული ჩემპიონატის შემდეგ მუხლისა და მხარის ოპერაცია გაიკეთა. კლუბის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში წერია, რომ აღდგენითი პროცესი დაახლოებით ხუთ თვეს გაგრძელდება.

უეიდმა ორი ოპერაცია მაისის შუა რიცხვებში გაიკეთა, მაგრამ მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი მისი მოედანზე დაბრუნების სავარაუდო თარიღი. კალათბურთელის თქმით, ის ზუსტად ახალი სეზონის სტარტისთვის ჩადგება მწყობრში.

*"რა თქმა უნდა, წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია. მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ხუთი თვის შემდეგ ჯანზე ვიქნები. ეს ძალიან მახარებს, რადგან თავიდან ექიმები ვარაუდობდნენ, რომ მკურნალობას გაცილებით მეტი დრო დასჭირდებოდა"*, - ამბობს უეიდი.

ჟურნალისტებთან საუბარში, უეიდი მომავალ ფინალურ სერიასაც შეეხო და განაცხადა, რომ აღფრთოვანებას ვერ მალავს **ლებრონ ჯეიმსის** თამაშით. "სპურსისა" და "კავალიერზის" დაპირისპირებაში, დუეინი სწორედ ამ კალათბურთელის მხარეს იქნება.

## ნახბარი ევროპაზე არ იქნება

სერიოზული დანაკლისით შეხვდება წლევანდელ ევროპის ჩემპიონატს სლოვენიის ნაკრები. ამ გუნდში თამაშზე უარი განაცხადა "ნიუ ჯერსი ნეტსის" ფორვარდმა - **ბოსტჯან ნახბარმა**. კალათბურთელს სურს, მეტი დაისვენოს და მომავალი რეგულარული ჩემპიონატისთვის უკეთესად მოემზადოს.

26 წლის ფორვარდის სიტყვებით, 2007-08 წლების სეზონი მისთვის უმნიშვნელოვანესი იქნება, რადგან მომავალი წლის ზაფხულში, მას "ნიუ ჯერსისთან" კონტრაქტი უმთავრდება და ნახბარს სურს, მაქსიმალურად კარგად წარმოაჩინოს თავი.

გასულ რეგულარულში, სლოვენიელმა 76 მატჩი ჩაატარა და თითოში საშუალოდ 9.2 ქულასა და 3.3 მოხსნას აგროვებდა.

## მაკაბის კატაში გაწვრთნის

თელ-ავივის "მაკაბის" ხელმძღვანელთა შტაბში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. გუნდის გენერალური მენეჯერის პოსტი **ცვიკა შერფმა** დაიკავა - ის ამ პოსტზე უახლოესი ორი წლის განმავლობაში იმუშავებს. გუნდის მთავარი მწვრთნელი კი, ნარსულში "მაკაბის" ლეგენდარული კალათბურთელი - **ოდედ კატაში** იქნება.

კატაში წლების განმავლობაში "მაკაბის" ლიდერი იყო, შემდეგ ის "პანათინაიკოსში" გადავიდა და ამ კლუბის რიგებში, ევროლიგის ფინალი სწორედ თავის მშობლიურ კლუბს მოუგო. თუმცა, სერიოზული ტრავმის გამო, მას ნაადრევად მოუწია სათამაშო კარიერის დასრულება.

გასულ სეზონში კატაში "ჰალილ ელიონს" წვრთნიდა და ის ისრაელის ჩემპიონატის "ოთხთა ფინალში" გაიყვანა.

## ივკოვიჩი დინამოდან წავიდა

მოსკოვის "დინამოს" პრეს-სამსახურის ინფორმაციით, კლუბის მთავარი მწვრთნელის პოსტს ტოვებს ევროპის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი სპეციალისტი - **დუშან ივკოვიჩი**. სერბმა მწვრთნელმა ეს გუნდი 2005 წელს ჩაიბარა და პირველივე სეზონში ULEB-ის თასი მოიგო. წელეულს კი, "დინამომ" ევროლიგაზე ისპარეზა და კონტინენტის ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში რვა საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა.

ივკოვიჩის "დინამოდან" წასვლის მიზეზებზე კლუბის ხელმძღვანელობა კომენტარს არ აკეთებს.

ამასობაში, ცნობილი ხდება, რომ სავარაუდოდ, სერბი სპეციალისტი დიდხანს არ დარჩება უმუშევარი. eurobasket.com-ის ინფორმაციით, ივკოვიჩი გაისად, საბერძნეთის მეორე კლუბს - "ოლიმპიაკოსს" ჩაიბარებს.

ფორმულა 1

## შვეიცარიაში ფორმულა აღადგინეს

შვეიცარიის პარლამენტის ქვედა პალატამ (ეროვნული საბჭო) 1955 წელს შემოღებული კანონი გააუქმა, რომლის მიხედვითაც, ამ ქვეყანაში აკრძალული იყო ფორმულა 1-ის რბოლების გამართვა.

კანონის გაუქმებას 97-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, 77 კი, წინააღმდეგი წავიდა. რბოლები 1955 წელს, მეზობელ საფრანგეთში გამართული "ლე მანის 24-საათიანი" რბოლის შემდეგ აიკრძალა. მაშინ ავარიის შედეგად 80 ადამიანი დაიღუპა. შვეიცარიელი დეპუტატების აზრით, ნახევარი საუკუნის წინათ მიღებული გადაწყვეტილება მოძველებულია, ვინაიდან მას შემდეგ პრინციპიალურად შეიცვალა რბოლების დროს უსაფრთხოების დაცვის პირობები.

პარლამენტართა გადაწყვეტილება არ ნიშნავს იმას, რომ უახლოეს ხანში შვეიცარიაში ფორმულა 1-ის ეტაპი ჩატარდება. *"მაგრამ ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია ჩვენს ქვეყანაში ავტოსპორტისთვის თანამედროვე ტრასების ასაშენებლად"*, - განაცხადა პარლამენტში ახალი ტექნოლოგიების დანერგვის კომისიის თავმჯდომარემ - **ჟან-რენე ჟერმანიემ**.

NBA. ინტერვიუ ჩონსი ბილაპსთან

# ვრჩები, მაგრამ შიდიც უნდა დატოვონ



**ზედიზედ მეხუთე კონფერენციის ფინალი დიდი ვერაფერი წამალია გუნდისთვის, რომელიც ბოლო წლებში "სან ანტონიო სპურსთან" ერთად, ლიგის ველაზე სტაბილურ და სამაგალითო ორგანიზაციად ითვლება. "დეტროიტ პისტონზი" აღმოსავლეთის ფინალში ვუნდერკინდ ლებრონ ჯეიმსის "კლივლენდთან" დამარცხდა და სერიის 2:4 წაგების მერე, მიჩიგანელებთან მიმართებაში რამდენიმე აქტუალური კითხვა დაიბადა, რომელთაგან, უმთავრესია აი, ეს საკითხი - გაუხანგრძლივებენ თუ არა გუნდის ბოსები ხელშეკრულებებს თავისუფალ აგენტებს: გამთამაშებელ ჩონსი ბილაპსსა და ფორვარდ რაშიდ უოლასს? გარდა ამისა, საინტერესოა, რამდენად ახლოსაა სიმართლესთან ის, რომ "დეტროიტი" "ორლანდოდან" დარკო მილიჩიჩის დაბრუნებას ეცდება და ფლორიდელებს სერბ ცენტრსა და ჯამეერ ნელსონში დელფინოსა და უებერს დაუთმობს. დაიტოვებს თუ არა დუმარსი უებერს, რომელმაც რეგულარულის ბოლოს რამენიმე შეხვედრა ძალიან მაღალ დონეზე ჩაატარა, მაგრამ სწრაფ "კლივლენდთან" ბრძოლაში, ვერაფერი მოუხერხა მოუქნელ ჟიდრუნას ილგაუსკასსა და მებრძოლ ანდერსონ ვარეჟაოს? მოკლედ, თემები საკმაოდაა. ამიტომაც გთავაზობთ დღეს, "პისტონზის" ლიდერ ჩონსი ბილაპსთან ინტერვიუს.**

**- "კავალიერსთან" სერიის ბოლო მატჩით დავიწყოთ. ელოდით თუ არა რომ დანიელ გიბსონი ასე ფანტასტიკურად ითამაშებდა (დებიუტანტმა შეხვედრა 5-დან 5 ზუსტი სამიანითა და 31 ქულით დაასრულა - რედ.)?**

- გიბსონის ასეთი არაჩვეულებრივი თამაში არა მარტო ჩემთვის, მთელი გუნდისთვის და ალბათ, "კლივლენდისთვისაც" მოულოდნელი იყო. მისი ნიჭი ეჭვქვეშ არავის არასოდეს დაუყენებია, მაგრამ ფლეი ოფში, როგორც წესი, ასეთ გამოუცდელებს ხშირად არ ენდობიან და რომ ენდონ კიდეც, ისინი სხვის ფონზე იკარგებიან ხოლმე. არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ეს თამაში "კლივლენდს" არა ლებრონმა, არამედ გიბსონმა მოაგებინა.

**- პირველი ორი სამიანი რომ ჩაგიგდოთ, სონდერსმა წუთშესვენება აიღო, რომლის დროსაც თქვენ და გუნდის მთავარი მწვრთნელი ერთმანეთს ხმამაღლა რაღაცას უმტკიცებდით...**

- სიმართლე გითხრათ, არ მახსოვს, რაზე ვისაუბრეთ. ცხადია, ერთ-ერთი საკითხი გიბსონის წინააღმდეგ დაცვაში სწორი თამაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ დეტალებს ნამდვილად ვერ გავიხსენებ. სონდერსმა ყველაფერი სწორად გააკეთა, მაგრამ ხდება ხოლმე, როდესაც მოთამაშეები მწვრთნელის მიერ არჩეულ სწორ ტაქტიკას უშეცდომოდ ავითარებენ, მაგრამ საბოლოოდ მაინც არაფერი გამოდის. ამ შემადგენლობით, "დეტროიტი" ვალდებული იყო, მინიმუმ სუპერსერიაში ეთამაშა, იქ კი ჩემპიონობის მოპოვებაც შეგვეძლო. სამწუხაროდ, არ გამოვიდა.

**- ეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ აღმოსავლეთი კონფერენცია პოზიციებს თმობს?**

- არა. როგორ შეიძლება დასავლეთის უპირატესობაზე საუბარი, როდესაც ბოლო სამი ჩემპიონიდან ორი, აღმოსავლეთის წარმომადგენელი იყო. 2005 წლის ფლეი ოფშიც ყველაფერი ერთადერთმა მატჩმა გადაწყვიტა და რომ გაგვიმართლებოდა, ჩემპიონები ჩვენ გავხდებოდით. "სან ანტონიოზე" სუსტები ნაღდად არ ვიყავით. წლევანდელ სეზონში კი პრობლემები ჰქონდა "მაიამის", ჩვენც არ გვიმართლებდა, ფლეი ოფს თითქმის მეორე შემადგენლობით შეხვდა "უიზარდსი", "ნიუ ჯერსის" კი რეგულარულის დროს უამრავი კარგი მოთამაშე დააკლდა. "კლივლენდმა" კი შეინარჩუნა საბრძოლო შემადგენლობა, ლებრონ ჯეიმსმა ფლეი ოფის წინ ენერგიის აღდგენა მოასწრო და ვფიქრობ, "კავალიერსის" ფინალში გასვლა მოულოდნელი თითქმის არავისთვის ყოფილა. ამავე დროს, ვიმეორებ - ჩვენ კონფერენციაში ყველაზე კარგი შემადგენლობა გვყავდა და რომ არა სულ მცირე უიღბლობა, ფინალი ისეთივე იქნებოდა, როგორც ორი წლის წინათ.

**- ჩემპიონიც "სპურსი" გახდებოდა?**

- ამის თქმა შეუძლებელია. "სპურსი" არაჩვეულებრივი გუნდია, რომელსაც ჰყავს ტიმ დანკანი და მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელი, მაგრამ ასი პროცენტით მათი გამარჯვების პროგნოზირება მაინც შეუძლებელი იყო.

**- "ჩიკაგო ბულზმა", "მაიამი ჰიტმა", "ბოსტონ სელტიქსმა" და "მემფის გრიზლისმა" ერთ-ერთი თავისუფალი აგენტის აყვანის დიდი სურვილი გამოთქვეს. ეს კალათბურთელია გამთამაშებელია, რომელსაც ბოლო სერიაში ზუსტ პასზე მეტი შეცდომა დაუგროვდა.**

- და ეს მოთამაშე ჩონსი ბილაპსია, არა (იცინის)? კი, თავისუფალი აგენტი გავხდი, მაგრამ "დეტროიტიდან" არსად წავალ. კარგი იქნება, თუ ბოლო მოეღება ამ თემაზე საუბარს.

**- რაშიდ უოლასი?**

- გუნდმა შიდიც უნდა დაიტოვოს. მართალია, მან რამდენიმე სულელური ტექნიკურით პრობლემები შეგვიქმნა, მაგრამ ეს უოლასია. იგი ჩვენთვის დაახლოებით იგივეა, რაც თავის დროზე, დენის როდმანი "ბულზისთვის". ასე რომ, მე შიდის გუნდში დატოვების მომხრე ვარ.

**ზურაბ თალაკვაძე**



ვარსკვლავი

# ცაბელი პეკინის ოლიმპიადაზე არ გამოვა


დოპინგსკანდალნაჭამმა ცაბელმა ორი ბავარიული რბოლა მოიგო

გერმანელმა ველომრბოლმა **ერიკ ცაბელმა**, ვინც ახლახანს აღიარა, რომ გერმანულ გუნდ "დოიჩე ტელეკომში" ასპარეზობისას, აკრძალულ პრეპარატ ერითროპოიეტინს (EPO) იყენებდა, განაცხადა, რომ პეკინის ოლიმპიადაზე მონაწილეობას არ აპირებს.

გერმანიის სპორტის ოლიმპიურ სახეობათა კავშირის (გერმანიის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შემცვლელია) განცხადებით, ცაბელს არ სურს, გერმანიის ოლიმპიურ დელეგაციას სახელი შეელახოს იმის გამო, რომ მის რიგებში ისეთი სპორტსმენი ირიცხება, რომელიც ადრე დოპინგს იყენებდა.

შეგახსენებთ, რომ ორი კვირის წინათ ცაბელმა და მისმა რამდენიმე ყოფილმა თანაგუნდელმა აკრძალული პრეპარატის (EPO-ს) გამოყენება აღიარეს. ცაბელის თქმით, მან ეს პრეპარატი 1996 წლის ტურ დე ფრანსის პირველ ნაწილში გამოიყენა და მას შემდეგ, დოპინგისკენ აღარც გაუხედავს. მის გარდა, ანალოგიური პრეპარატის გამოყენება აღიარა ტურის ყოფილმა (1996 წლის) ჩემპიონმა, დანიელმა **ბიარნე რიისმა**, ვისაც ტურის ჩემპიონის ყვითელი მაისურის დაკარგვა ემუქრება.

მომხდარის მიუხედავად, ცაბელი "მილრამში" რჩება და ასე განსაჯეთ, მის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ, რბოლაც კი მოიგო - ბავარიის ტურზე მეორე და მესამე ეტაპების გამარჯვებული გახდა.

## ჩოგბურთი

საფრანგეთის ღია პირველობა

# სერბთა როლან გაროსი



ნოვაკ ჯოკოვიჩი

გუშინ, საფრანგეთის ღია პირველობაზე ერთეულთა სულ ორი მეოთხედფინალური შეხვედრა ჩატარდა, რომელთა შედეგადაც, ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ტურნირის ორგზის ჩემპიონმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** და სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**, რომლებმაც შესაბამისად, ესპანელი **კარლოს მოია** და რუსი **იგორ ანდრეევი** დაამარცხეს.

როგორც ჩემპიონი, რა თქმა უნდა, უფრო მეტ ინტერესს ნადალი იწვევს, მაგრამ ამჯერად უფრო დაწვრილებით ჯოკოვიჩზე მოვყვეთ. მეტადრე იმიტომ, რომ ის მესამე სერბი ჩოგბურთელია, ვინც როლან გაროსის მთავარი ჯილდოებისთვის იბრძოლებს - თუ კაცებში ნახევარფინალურ ეტაპს მხოლოდ ერთი სერბი შემორჩა, ქალთა ბადეში პირველობისთვის მისი ორი თანამემამულე - **ანა ივანოვიჩი** და **ელენა იანკოვიჩი** იბრძვის.

ჩოგბურთელებზე არანაკლებაა გახარებული სერბეთის საჩოგბურთო ფედერაციის პრეზიდენტი, წარსულში ცნობილი იუგოსლაველი ჩოგბურთელი (უიმბლდონისა და ავსტრალიის ღიას ნახევარფინალისტი) ჩოგბურთელი **სლობოდან ჟივოინოვიჩი**.

*"სიტყვები არ მყოფნის იმ განწყობის გადმოსაცემად, რაც ჩვენში სუფევს. როლან გაროსის ნახევარფინალში ჩვენი სამი ჩოგბურთელია. ამაზე ოცნებაც კი არ შეგვეძლო. ნოვაკი მომავალი ჩემპიონია, ის ჯერ მხოლოდ ოცისაა და მისი ასაკი იმედს მაძლევს, რომ ადრე თუ გვიან, დიდი სლემის ტურნირს აუცილებლად მოიგებს"*, - ამბობს ჟივოინოვიჩი, ვინც უიმბლდონის ნახევარფინალში 1986 წელს ითამაშა, წინა სეზონში კი ავსტრალიის ღიას ნახევარფინალში გავიდა.

სამივე სერბ მეჩოგნეს ნახევარფინალში უძნელესი შეხვედრები ელის. ივანოვიჩს რუს **მარია შარაპოვასთან** ექნება საქმე, დანარჩენი ორი კი მოქმედ ჩემპიონებს - ბელგიელ **ჟუსტინ ანენსა** და ნადალს დაუპირისპირდება. ნადალმაც გუშინ მოიპოვა ნახევარფინალის საგზური, რისთვისაც თავისი მეგობრისა და თანამემამულის, **კარლოს მოიას** დამარცხება დასჭირდა.

რა თქმა უნდა, სერბული პრესა ამ დღეებში ჩოგბურთით ცხოვრობს. გაზეთების პირველ ფურცლებზე იანკოვიჩის, ივანოვიჩისა და ჯოკოვიჩის გიგანტური ფოტოებია გამოსახული. *"თქვენ სერბეთის სიამაყე ხართ"*, - წერს გაზეთი "პრეს", რომლის პუბლიკაციაშიც ნათქვამია, რომ ამ ტრიომ *"მიაღწია იმაზე მეტს, ვიდრე მათგან ელოდნენ და მოითხოვდნენ". "ტურნირის წინ ასეთი რამ შორეულ ოცნებად მოსჩანდა, ახლა კი რეალობაა. სერბეთი მსოფლიო ჩოგბურთის მოწინავე პოზიციაზე გამოდის"*, - წერს "პრესი".

კარგით, თავი დავანებოთ სერბულ პრესას. მით უმეტეს, რომ შეიძლება, სერბთაგან ტიტული ვერცერთმა ვერ მოიგოს (ამის დიდი შანსია). მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს ტურნირი მაინც უნდა ჩაითვალოს სერბული ჩოგბურთის აღზევების პირველ რეალურ გამოვლინებად. შემდეგი ნაბიჯი დიდი სლემის ტურნირის ტიტულია...

დავუბრუნდეთ გუშინდელ ორ შეხვედრას. პირველში ჯოკოვიჩმა ანდრეევს უმაღლესი დონის ჩოგბურთის გაკვეთილი ჩაუტარა - სამივე სეტი ერთნაირი ანგარიშით (6:3) მოუგო. არადა, ტურნირის პირველ ნაწილში ჯოკოვიჩი ნამდვილად არ ბრწყინავდა - რამდენიმე დაბალრეიტინგიან მეტოქესთან გაუჭირდა გამარჯვება.

*"ვიცოდი, რომ ანდრეევის სახით ძალიან სახიფათო მეტოქე მყავდა. ამიტომ, თავიდანვე უკიდურესად მობილიზებული ვიყავი. პირველივე გეიმიდან აგრესიული ვიყავი და ვფიქრობ, სწორედ ეს იყო ჩემი გამარჯვების მთავარი მიზეზი"*, - განაცხადა სერბმა.

წაგებას დიდად არ დაუმწუხრებია ანდრეევი, ვისაც წინა სეზონში მუხლის ოპერაციის გამო, ექვსი თვე გაუცდა და რეიტინგში 125-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა. *"დიდი სლემის ტურნირის მეოთხედფინალში პირველად ვითამაშე და შარშანდელი სეზონის დიდი ნაწილის გაცდენის შემდეგ, ეს უდიდეს წარმატებად მიმაჩნია. თანაც, ზედიზედ ოთხი თამაშის მოგება კარიერაში პირველად შევძელი. მოკლედ, ამ ტურნირზე ჩემთვის პირველად ბევრი რამ მოხდა. ჰოდა, რატომ უნდა ვიყო უკმაყოფილო"*, - განაცხადა რუსმა.

ჯოკოვიჩი როლან გაროსზე მესამედ თამაშობს. პარიზულ კორტებზე მისი წინა ორი გამოსვლა ადრეულ სტადიაშივე დასრულდა - ჯერ იყო და, ამის მიზეზი ძლიერი სიცხე გახდა, რის გამოც სერბს სუნთქვასთან დაკავშირებული პრობლემები შეექმნა. მეორედ კი, ნადალთან რომ ორი სეტი წააგო, თამაში წელის ტრავმის გამო ველარ გააგრძელა. ამჯერად მან სეზონი მშვენივრად დაიწყო - საფრანგეთის ღიამდე სამი ტურნირი მოიგო, პარიზში კი ისე ჩანდა, რომ თითქოს, ადრე უნდა ჩაელაგებინა ბარგი. მაგრამ... ახლა ისევ ნადალს ხვდება იმის იმედით, რომ ფინალში თამაშის უფლებას მოიპოვებს.

შეხვედრის დასაწყისი დაძაბული გამოდგა. მეტოქეებმა თითო ბრეიკი გაცვალეს. მერვე გეიმში სერბმა კიდევ ერთხელ აილო მეტოქის მოწოდება, მომდევნოში კი თავისაზე სეტს წერტილი დაუსვა.

ჯოკოვიჩმა მეორე სეტიც ბრეიკით დაიწყო და ამჯერად, მეტოქეს ანგარიშის გათანაბრების საშუალება არ მისცა. უფრო მეტიც, მეცხრე გეიმშიც კიდევ ერთი ბრეიკი გაახერხა და ეს სეტიც თავის სასარგებლოდ დაასრულა. რუსმა სერბს ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერც მესამეში გაუწია. ჯოკოვიჩმა ბრეიკი მეორე გეიმშივე აილო და ეს უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა.

ნადალმაც მოიას დასამარცხებლად სამი სეტი იმყოფინა. ისინი შეიძლება კორტის მიღმა არიან მეგობრები, მაგრამ პროფესიონალებისთვის კორტზე მეგობრობა არ არსებობს. ჰოდა, ჩემპიონმა ყოფილ ჩემპიონს ანდერძი აუგო. თანაც, ისევე, როგორც წინა ორ ტურნირზე, ამჯერადაც ჯერ სეტიც დაუთმია.

*"მიუხედავად იმისა, რომ ჰამბურგის ფინალში წავაგე, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ახლა შარშანდელზე გაცილებით უკეთ ვთამაშობ"*, - განაცხადა ნადალმა, ვისი 81-მატჩიანი წაუგებელი სერია (თიხნარზე) ჰამბურგის მასტერსის ფინალში **როჯერ ფედერერმა** დაასრულა.

ცენტრალურ კორტზე მისული მაყურებელი დაძაბული პაექრობის მოლოდინში იყო, მაგრამ ნადალის გადამკიდეს, ეს მოლოდინი გაუქარწყლდა. მოიამ თამაში ისე დაიწყო, გეგონებოდათ ნადალს კარგი დღე არ დაადგებოდა. ვეტერანი ხშირად ცვლიდა თამაშის ტაქტიკას და ზუსტადაც თამაშობდა, მაგრამ ამით თუ სხვას ბევრ პრობლემას შეუქმნიდა, ნადალს ვერაფერი დააკლო.

მოიას ბრძოლის გაჩაღების შანსი მეორე სეტის დასაწყისში გაუჩნდა, როცა 1:0-ზე ორი ბრეიკ პოინტი მიიღო. მაგრამ ნადალმა ორივე გააქარწყლა. მერე მეტოქეებმა თავიანთი გეიმები მოიგეს, მერვე გეიმიდან მოყოლებული კი, ნადალმა აიწყვიტა და ზედიზედ რვა გეიმის მოგებით, თამაშსაც გამარჯვების წერტილი დაუსვა.

**კაცები**

**1/4 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)**-კარლოს მოია (ესპ, 23) 6:4, 6:3, 6:0

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბ, 6)**-იგორ ანდრეევი (რუს) 6:3, 6:3, 6:3

## სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთრის თხილამურები

### იტალიას ოლიმპიური ჩემპიონი გაწვრთნის

მომავალ სეზონში იტალიის სათხილამურო ნაკრებს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება. ეს გახლავთ ესტაფეტაში ყოფილი ოლიმპიური ჩემპიონი და 50 კილომეტრზე რბოლაში მსოფლიო პირველობის გამარჯვებული - **სილვიო ფაუნერი**.

ახალმა მწვრთნელმა ეს პოსტი, წარსულში კიდევ ერთი ცნობილი მოთხილამურისგან - **მარკო ალბორელოსგან** ჩაიბარა.

### ტურ დე სკიმ გაამართლა

სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა, რომ შარშან გამართულმა პირველმა მრავალდღიანმა სათხილამურო რბოლამ - "ტერ დე სკიმ" პოპულარობა მოიხვეჭა და ამიტომაც, ეს შეჯიბრი მომავალშიც გაიმართება.

მეორე "ტურ დე სკის" სტარტი 2007 წლის 28 დეკემბერს არის დანიშნული, ბოლო ეტაპი კი, 2008 წლის 6 იანვარს გაიმართება. "ტურ დე სკი" ჩეხეთის ნოვე მესტოში პროლოგით (3 კილომეტრი ქალებისთვის და 4.5 კილომეტრი - მამაკაცებისთვის) დაიწყება, მეორე დღეს კი, პროლოგზე ნაჩვენები შედეგების მიხედვით გაიმართება რბოლა გუნდერსენის სისტემით. 2008 წლის ტურნეს სიახლე ის არის, რომ პრაღის ქუჩებში სპრინტში შეჯიბრია დაგეგმილი. შემდეგ მოთხილამურეები გერმანიის ობერსტდორფში გადაინაცვლებენ. იქ 1 და 2 იანვარს ინდივიდუალური რბოლები და დუატლონი გაიმართება. ერთდღიანი შესვენების შემდეგ, იტალიის ასიაგოში თავისუფალი სტილით სპრინტი გაიმართება. დაბოლოს, 5 და 6 იანვარს, ვალ დე ფიემში ბოლო ეტაპი ჩატარდება. იქ მოთხილამურეები მას-სტარტსა და მთაში დროზე რბოლაში შეეჯიბრებიან ერთმანეთს. ქალებისთვის "ტურ დე სკის" საერთო სიგრძეა 55 კილომეტრი, მამაკაცებისთვის - 90 კილომეტრი.

გარდა ამისა, ფედერაცია იტყობინება, რომ მომავალ სეზონში, მსოფლიო თასის ეტაპებზე გამარჯვებულებსა და ბროლის გლობუსის მფლობელებისთვის ჰონორარების ოდენობა გაიზრდება. კერძოდ, საერთო ჩათვლაში გამარჯვებულ მოთხილამურეს დაახლოებით 25 ათასი დოლარი ერგება.

მძლეოსნობა

### ინვალიდი პეკინის ოლიმპიადაზე არ დაუშვეს

სამხრეთაფრიკელ ინვალიდ მძლეოსანს - **ოსკარ პისტორიუსს** 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა ჰქონდა დაგეგმილი. 20 წლის სპორტსმენს ორივე ფეხი ამპუტირებული აქვს და მიუხედავად ამისა, სპეციალური პროთეზების საშუალებით, ის პლანეტის საუკეთესო მორბენლებთან გაჯიბრებას აპირებდა. სხვათა შორის, პისტორიუსმა 2005 წელს, სამხრეთ აფრიკის ჩემპიონატზე, 400 მეტრზე სირბილში მეოთხე ადგილი დაიკავა.

მაგრამ ინვალიდი სპორტსმენის გეგმებს ასრულება არ უწერია. მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ პროთეზი ტექნიკური მოწყობილებაა, რომელმაც შეიძლება ერთ სპორტსმენს მეორეზე უპირატესობა მოუტანოს. ამიტომაც, პისტორიუსი დაშვებული არ იქნება პეკინის ოლიმპიადაზე.

ჰოკეი

### ედმონტონი ვარსკვლავებს უმიზნებს

"ედმონტონ ოილერზის" მთავარმა მწვრთნელმა - **კრეიგ მაკტავიშმა** განაცხადა, რომ მომავალ სეზონში წარმატების მისაღწევად, მის გუნდს რამდენიმე ძლიერი ჰოკეისტის დამატება დასჭირდება.

როგორც იცით, სტენლის თასის შარშანდელმა ფინალისტმა გასული რეგულარული სეზონი ჩააგდო - კანადური კლუბი ჩემპიონატის ერთ-ერთი უიმედო აუტსაიდერი გახდა.

*"ჩემს გუნდს აუცილებლად სჭირდება ორი-სამი ვარსკვლავის დამატება. ეს საკითხი კლუბის ხელმძღვანელობასთან უკვე შეთანხმებულია. სწორი სატრანსფერო პოლიტიკის შემთხვევაში, "ოილერზს" ნებისმიერი ამოცანის გადაწყვეტა შეეძლება"*, - ამბობს კრეიგ მაკტავიში.

### ჟიგერს ანაჰაიმში ურჩევნია

სტენლის თასის ფინალისტის, "ანაჰაიმ დაქსის" ერთ-ერთი ლიდერი, მცველი - **ჟან-სებასტიან ჟიგერი**, 1 ივლისს თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს. გუშინ, ჰოკეისტმა სააგენტო AP-სთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, კარიერა თავის ამჟამინდელ კლუბში გააგრძელოს.

*"ანაჰაიმში" ყველაფერი მაკმაყოფილებს და აქ დარჩენა მინდა. დიდი ხანია ამ გუნდში ვთამაშობ და არასოდეს მქონია კონფლიქტი არც მის მფლობელებთან და არც მწვრთნელებთან. ამიტომაც, ამ ზაფხულს, ჩემთვის პრიორიტეტული "დაქსთან" კონტრაქტის გახანგრძლივება იქნება"*, - ამბობს ჟიგერი.

## TV სპორტი

**7 ივნისი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**12:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**12:20** ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. სანტოსი (ბრაზილია)-გრემიო (ბრაზილია).
**14:10** ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ლატვია-დანია.
**16:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**16:15** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**17:15** ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-საქართველო.
**19:05** არასაფეხბურთო ისტორიები.
**19:40** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**20:05** უიქენდის მატჩების ანონსი.
**20:15** ტოქ-შოუ - 2:1.
**21:00** ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. სანტოსი (ბრაზილია)-გრემიო (ბრაზილია).
**22:50** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**23:05** იტალიის ჩემპიონატი. სეზონის მიმოხილვა.
**00:35** საფეხბურთო კლუბი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**07:22** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ლატვია-ესპანეთი.
**09:05** სპორტინფორმი.
**09:15** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**09:42** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**10:10** სპორტინფორმი.
**10:20** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-უნგრეთი.
**12:03** ფიტნესი.
**12:28** სპორტულ ტანვარჯიში. მსოფლიო თასი. ფინალი. მოსკოვი. რუსეთი.
**17:19** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. სანტოსი (ბრაზილია)-გრემიო (ბრაზილია).
**19:03** მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
**19:30** სპორტინფორმი.
**19:40** ჰოკეი. სტენლის თასი. ფინალი. IV მატჩი. ოტავა-ანაჰაიმი.
**21:30** სპორტინფორმი.
**21:45** ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
**22:15** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. სანტოსი (ბრაზილია)-გრემიო (ბრაზილია).
**00:00** სპორტინფორმი.
**00:10** კრივი. ნოკაუტების ჟამი.
**01:00** სპორტინფორმი.
**01:15** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**01:45** სპორტის სახეები.
**02:15** ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)-დეპორტივო კუკუტა (კოლუმბია).
**04:15** მშვილდოსნობა. მსოფლიო თასი.
**04:41** ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
**05:11** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ნორვეგია-უნგრეთი.
**07:00** სპორტის ისტორია.

**EUROSPORT**

**10:30** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
**10:45** ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ტელეჟურნალი.
**11:15** ცხენოსნობა. სუპერლიგა. სტ. გალენი. შვეიცარია.
**12:15** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-ისლანდია.
**13:00** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-საქართველო.
**13:45** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ლიტვა-იტალია.
**14:45** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მამაკაცები. 1/4 ფინალი.
**15:45** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
**16:00** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. ქალები. 1/2 ფინალი (LIVE).
**20:00** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
**20:15** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ლიტვა-იტალია.
**21:00** ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. 1/2 ფინალი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
**22:45** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
**23:00** ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. 1/2 ფინალი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).
**00:45** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.
**01:45** ბრძოლა წესების გარეშე.
**03:00** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩები.
**03:15** ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია პირველობა. მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** მულტისპორტი.
**12:30** ამერიკული ფეხბურთი (დარბაზებისთვის). რეგულარული ჩემპიონატი. იუტა-კოლორადო.
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ფეხბურთი. 21-წლამდელთა საერთაშორისო ფესტივალი. განა-ჩინეთი. ტულონი. საფრანგეთი.
**17:15** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. შვედეთი-ისლანდია.
**18:15** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. საფრანგეთი-საქართველო.
**19:00** ფეხბურთი. ევრო 2008. შესარჩევი მატჩი. ლიტვა-იტალია.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ექსტრემალური სპორტი.
**21:30** ტრიალი. მსოფლიო ჩემპიონატი. საფრანგეთი.
**22:00** ახალი ამბები.
**22:15** ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. პოლონეთი-არგენტინა. პოლონეთი.
**23:15** ფრენბურთი. მსოფლიო ლიგა. საკონტინენტთაშორისო ეტაპი. იტალია-საფრანგეთი. იტალია.
**00:00** ავსტრალიური ფეხბურთი.
**01:00** ახალი ამბები.
**01:15** ბილიარდი. პული. ევროტური. გერმანია.
**02:15** ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **EURO 2009** | |
| **UNDER 21** | |
| ხორვატია-საბერძნეთი | 3:2 |
| ალბანეთი-ფარერები | 1:0 |
| უკრაინა-სომხეთი | 4:0 |
| დანია-ფინეთი | 0:1 |
| უნგრეთი-ლატვია | 1:0 |
| სან მარინო-ბელარუსი | 0:3 |
| **EURO 2007** | |
| **UNDER 19** | |
| საბერძნეთი-შვედეთი | 4:0 |
| იტალია-ხორვატია | 1:3 |
| **შვედეთის თასი** | |
| მალმო-ელფსბორგი | 0:0, პენ. 4:3 |
| **კალათბურთი** | |
| **საბერძნეთი** | |
| **ფინალი** | |
| პანათინაიკოსი-ოლიმპიაკოსი | 79:72 |
| **იტალია** | |
| **ფლეი ოფი. 1/2 ფინალი** | |
| მილანი-ვირტუსი | 73:80 |

# ევრო 2008. საკვალიფიკაციო მატჩები



შვედები თითქმის ფინალში არიან

## A ჯგუფი

### ფინეთი-ბელგია 2:0

**ფინეთი:** იაასკელაინენი, კალიო, ნიმანი, პასანენი, ტიჰინენი, ა. ერიომენკო (89. ფორსელი), რ. ერიომენკო, ჰეიკინენი, კოლკა (86. ნურმელა), ვაირინენი, იოჰანსონი.

**ბელგია:** სტიინენი, კლემანი, დე მანი, სიმონსი, ვერმაელენი (46. მაერტენსი), დეფური, ფელაინი, ვან დამი, ვან დერ ჰეიდენი, დე მული (55. ჰარუნი), ე. მპენზა (86. სტერჩელე).

**გოლები:** 1:0 იოჰანსონი (27), 2:0 ა. ერიომენკო (71)

**გაძევება:** ფელაინი (52. ბელგია)

**მაყურებელი:** 34 818

### ყაზახეთი-აზერბაიჯანი 1:1

**ყაზახეთი:** ლორია, ირისმეტოვი, კუჩმა, სმაკოვი, ჟალმაგამბეტოვი, ბალტიევი, ჩიჩულინი, კარპოვიჩი, ბიაკოვი, ოსტაპენკო (79. ტლეშევი), ჟუმასკალიევი (90. უტაბაიევი).

**აზერბაიჯანი:** ჰასანზადე, ს. აბასოვი, ე. გულიევი, რ. გულიევი, ჰაშიმოვი, ჩერტოგანოვი, სულთანოვი (74. ყურბანოვი), რ. აბასოვი, ქერიმოვი (58. იმამალიევი), ნადიროვი (84. მამედოვი), სუბაშიჩი.

**გოლები:** 0:1 ნადიროვი (30), 1:1 ბალტიევი (53)

**გაძევება:** ჟალმაგამბეტოვი (45. ყაზახეთი)

### სომხეთი-პოლონეთი 1:0

**სომხეთი:** კასპაროვი, არზუმანიანი, ოვსეპიანი, მელიქიანი, მინასიანი (78. პაჩაიანი), ტადევოსიანი, არაქელიანი, მხითარიანი (70. ქარამიანი), მკრტიჩიანი, შახგელდიანი (46. აკოფიანი), ვოსკანიანი.

**პოლონეთი:** ბორუცი, ბაკი (65. სობოლევსკი), ბრონოვიცკი, დუდკა, ლევანდოვსკი, ვასილევსკი, მიხ. ჟევლაკოვი, კრჟინოვეკი, ლობოძინსკი (60. ბლაშჩიკოვსკი), სმოლიარეკი (60. ჟურავსკი), საგანოვსკი.

**გოლი:** 1:0 მხითარიანი (66)

**მაყურებელი:** 10 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პოლონეთი | 9 | 6 | 1 | 2 | 15-7 | 19 |
| 2. პორტუგალია | 7 | 4 | 2 | 1 | 15-5 | 14 |
| 3. სერბეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 10-4 | 14 |
| 4. ფინეთი | 8 | 4 | 2 | 2 | 9-5 | 14 |
| 5. სომხეთი | 7 | 2 | 1 | 4 | 3-7 | 7 |
| 6. ბელგია | 8 | 2 | 1 | 5 | 5-10 | 7 |
| 7. ყაზახეთი | 8 | 1 | 3 | 4 | 5-11 | 6 |
| 8. აზერბაიჯანი | 8 | 1 | 2 | 5 | 4-17 | 5 |

მომდევნო ტური. 22 აგვისტო. სომხეთი-პორტუგალია, ფინეთი-ყაზახეთი, ბელგია-სერბეთი

## C ჯგუფი

### ბოსნია-მალტა 1:0

**ბოსნია:** გუსო, მუშიჩი (90. მუჰარემოვიჩი), პანძა, რადელიჩი, დამიანოვიჩი, ჰრგოვიჩი, მალეტიჩი (80. ბარტოლოვიჩი), მიშიმოვიჩი, რახიმიჩი, ძეკო (56. ჟება), მუსლიმოვიჩი.

**მალტა:** მუსკატი, აძოპარდი, ბრიფა, დიმეში, საიდი, აგიუსი, პეისი (82. ბარბარა), სამუტი, ბოგდანოვიჩი (65. შემბრი), მიხ. მიფსუდი, ვუდსი (70. მალია).

**გოლი:** 1:0 მუსლიმოვიჩი (6)

**მაყურებელი:** 15 000

### ნორვეგია-უნგრეთი 4:0

**ნორვეგია:** ოპდალი, ჰაგენი, ჰანგელანდი, ანდერსენი, გრინდჰეიმი (46. ჰაესტედი), პედერსენი (82. ჰელსტადი), რიისე, სტორბაეკი, კარიუ, ივერსენი (46. ბრაატენი).

**უნგრეთი:** ვეგი, ბალოგი, იუჰაში, ჟელესი, ვანჩაკი, ბუჟაკი (83. ვადოჩი), ტოტი, ტოცერი, გერა, ჰაინალი, პრიშკინი (71. ტიშა).

**გოლები:** 1:0 ივერსენი (22), 2:0 ბრაატენი (57), 3:0 კარიუ (60), 4:0 კარიუ (78)

**მაყურებელი:** 19 198

### საბერძნეთი-მოლდოვა 2:1

**საბერძნეთი:** ნიკოპოლიდისი, გუმასი, კირგიაკოსი, პაცაცოგლუ (83. იანაკოპულოსი), სეიტარიდისი, კარაგუნისი, კაცურანისი, ტოროსიდისი, ამანატიდისი (71. სამარასი), ხარისტეასი, გეკასი (63. ლიბეროპულოსი).

**მოლდოვა:** კალანჩეა, კატინსუსი, ეპურეანუ, გოლოვატენკო, ბორდიანი, კომლენოკი (82. ტიგირლასი), გატკანი, იოსანი, ნამასკო, ალექსეევი (64. ფრუნზა), ბუგაევი (57. ზმეუ).

**გოლები:** 1:0 ხარისტეასი (30), 1:1 ფრუნზა (80), 2:1 ლიბეროპულოსი (90)

**მაყურებელი:**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 7 | 6 | 0 | 1 | 12-5 | 18 |
| 2. ნორვეგია | 7 | 4 | 1 | 2 | 17-6 | 13 |
| 3. თურქეთი | 6 | 4 | 1 | 1 | 16-6 | 13 |
| 4. ბოსნია | 7 | 4 | 1 | 2 | 14-14 | 13 |
| 5. უნგრეთი | 7 | 2 | 0 | 5 | 7-14 | 6 |
| 6. მალტა | 7 | 1 | 1 | 5 | 5-15 | 4 |
| 7. მოლდოვა | 7 | 0 | 2 | 5 | 4-15 | 2 |

მომდევნო ტური. 8 სექტემბერი. მალტა-თურქეთი, მოლდოვა-ნორვეგია, უნგრეთი-ბოსნია

## D ჯგუფი

### გერმანია-სლოვაკეთი 2:1

**გერმანია:** ლემანი, იანსენი, ლამი, მერტეზაკერი, მეცელდერი, ფრინგსი, ფრიტცი, ჰიტცლშპერგერი, შნაიდერი (90. როლფსი), კლოზე (74. ტროხოვსკი), კურანი (65. გომესი).

**სლოვაკეთი:** ჩონტოფალსკი, დურიცა, კლიმპლი, შკრტელი, სვენტო, ჰამსიკი, კრაიჩიკი, საპარა (65. ჰოლოშკო), შტრბა (83. ორავეცი), შეშტაკი (65. ჟოფჩაკი), ვიტეკი.

**გოლები:** 1:0 ჟურიცა (10-საკ. კარში), 1:1 მეცელდერი (20-საკ. კარში), 2:1 ჰიტცლშპერგერი (43)

**მაყურებელი:** 51 500

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 7 | 6 | 1 | 0 | 29-4 | 19 |
| 2. ჩეხეთი | 7 | 4 | 2 | 1 | 15-4 | 14 |
| 3. ირლანდია | 7 | 4 | 1 | 2 | 12-8 | 13 |
| 4. სლოვაკეთი | 7 | 3 | 0 | 4 | 16-13 | 9 |
| 5. უელსი | 6 | 2 | 1 | 3 | 8-9 | 7 |
| 6. კვიპროსი | 6 | 1 | 1 | 4 | 9-16 | 4 |
| 7. სან მარინო | 6 | 0 | 0 | 6 | 1-36 | 0 |

მომდევნო ტური. 22 აგვისტო. სან მარინო-კვიპროსი

## E ჯგუფი

### ანდორა-ისრაელი 0:2

**ანდორა:** ალვარესი, ჩ. გარსია (61. სონეხე), ი. ლიმა, ა. ლიმა, აიალა, ბერნაუსი, ესკურა, ხ. გარსია, ხუსტო, ვიეირა, ტოსკანო (77. ხ. სანჩესი).

**ისრაელი:** ავატე, ბენადო, ბენ დაიანი, იეჩიელი, ჟივი, ალბერმანი (71. ბადირი), ბენაიოუნი, ტალი, კოლაუტი (86. გოლანი), იტცჰაკი, თამუზი (77. ზანგბერგი).

**გოლები:** 0:1 თამუზი (37), 0:2 კოლაუტი (53)

*81-ე წუთზე ხული სანჩესმა (ანდორა) ვერ გამოიყენა პენალტი*

**მაყურებელი:** 680

### ხორვატია-რუსეთი 0:0

**ხორვატია:** პლეტიკოშა, კორლუკა, რ. კოვაჩი, შიმიჩი, შიმუნიჩი, და სილვა ედუარდო, ნ.კოვაჩი, კრანჩარი (66. პეტრიჩი), მოდრიჩი, სრნა (8. ლეკო), ოლიჩი (83. ბაბიჩი).

**რუსეთი:** მალაფეევი, ანიუკოვი, ა. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ბუდიანსკი (46. ტორბინსკი), ბისტროვი (61. საენკო), სემშოვი, ჟირკოვი, არშავინი, კერჟაკოვი (73. სიჩოვი).

**მაყურებელი:** 38 000

### ესტონეთი-ინგლისი 0:3

**ესტონეთი:** პოომი, იააგერი, კრუგლოვი, სტეპანოვი, დმიტრიევი, კლავანი, ლინდპერი, ვასილიევი, კონსა (46. ნეემელო), ტერეხოვი (64. კინკი), ვოსკობოინიკოვი.

**ინგლისი:** რობინსონი, ბრიჯი, ბრაუნი, კინგი, ტერი, ბექჰემი (68. დაიერი), ჯ. კოული (75. დაუნინგი), ჯერარდი, ლემპარდი, კრაუჩი, ოუენი (88. ჯენასი).

**გოლები:** 0:1 ჯ. კოული (37), 0:2 კრაუჩი (54), 0:3 ოუენი (62)

**მაყურებელი:** 11 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 7 | 5 | 2 | 0 | 16-4 | 17 |
| 2. ისრაელი | 8 | 5 | 2 | 1 | 17-7 | 17 |
| 3. რუსეთი | 7 | 4 | 3 | 0 | 11-1 | 15 |
| 4. ინგლისი | 7 | 4 | 2 | 1 | 12-2 | 14 |
| 5. მაკედონია | 7 | 2 | 1 | 4 | 6-7 | 7 |
| 6. ესტონეთი | 7 | 0 | 0 | 7 | 0-14 | 0 |
| 7. ანდორა | 7 | 0 | 0 | 7 | 1-28 | 0 |

მომდევნო ტური. 22 აგვისტო. ესტონეთი-ანდორა

## F ჯგუფი

### ლიხტენშტაინი-ესპანეთი 0:2

**ლიხტენშტაინი:** იელე, ჰასლერი, რიტცბერგერი, მარტინ შტოკლასა (29. ტელსერი), მიხაელ შტოკლასა, ბუჩელი, ბურგმაიერი, პოლვერინო, ტ. ბეკი (82. რ. ბეკი), მ. ფრიკი, როჩერი (59. დ. ფრიკი).

**ესპანეთი:** რეინა, კაპდევილია (52. ანტონიო ლოპესი), ხავი ნავარო, მარჩენა, სერხიო რამოსი, ჩაბი ალონსო, ფაბრეგასი (67. ლუის გარსია), ინიესტა, ხოაკინი, დავიდ სილვა (77. სოლდადო), ვილია.

**გოლები:** 0:1 ვილია (8), 0:2 ვილია (14)

*90-ე წუთზე ვილიამ ვერ გაიტანა პენალტი*

**მაყურებელი:** 5 739

### შვედეთი-ისლანდია 5:0

**შვედეთი:** ისაქსონი, ჰანსონი, მელბერგი, ნილსონი (57. ფონ შლებრუგე), ალექსანდერსონი, ლინდეროტი (62. დ. ანდერსონი), ლიუნგბერგი, ა. სვენსონი, ვილჰელმსონი, ოლბაკი (73. იბრაჰიმოვიჩი), როსენბერგი.

**ისლანდია:** არასონი, ო. ბიარნასონი, ო. ბიარნასონი, გ-ტ. გუნარსონი, ინგიმარსონი, სტეინსონი (90. კ. სიგურდსონი), ბ. გუნარსონი, ჰალფრედსონი (53. იონსონი), ვიდარსონი, საევარსონი (65. გუდმუნდსონი), ჰ. სიგურდსონი.

**გოლები:** 1:0 ოლბაკი (11), 2:0 ა. სვენსონი (42), 3:0 მელბერგი (45), 4:0 როსენბერგი (50), 5:0 ოლბაკი (51)

**მაყურებელი:** 33 338

### ლატვია-დანია 0:2

**ლატვია:** კოლინკო, ივანოვსი, კლავა, სტეპანოვსი, ზირნისი, ასტაფიევსი, ბლეიდელისი (66. სოლონიცინსი), ოაიზანსი, რუბინსი (75. კაუნა), კარლსონსი (61. პაჰარსი), ვერპაკოვსკისი.

**დანია:** სიორენსენი, აგერი, იაკობსენი, ნ. იენსენი, ლაურსენი, დ. იენსენი, რომედალი (46. კალენბერგი), ბენდტნერი (60. ვურტცი), გრონკიაერი, იორგენსენი, ტომასონი.

**გოლები:** 0:1 რომედალი (15), 0:2 რომედალი (17)

**მაყურებელი:** 13 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვედეთი | 6 | 5 | 0 | 1 | 14-4 | 15 |
| 2. ესპანეთი | 7 | 5 | 0 | 2 | 13-6 | 15 |
| 3. ჩრ. ირლანდია | 6 | 4 | 1 | 1 | 10-7 | 13 |
| 4. დანია | 5 | 3 | 1 | 1 | 9-2 | 10 |
| 5. ისლანდია | 7 | 1 | 1 | 5 | 5-15 | 4 |
| 6. ლიხტენშტაინი | 7 | 1 | 1 | 5 | 4-18 | 4 |
| 7. ლატვია | 6 | 1 | 0 | 5 | 4-7 | 3 |

მომდევნო ტური. 22 აგვისტო. ჩრ.ირლანდია-ლიხტენშტაინი

## G ჯგუფი

### ლუქსემბურგი-ალბანეთი 0:3

**ლუქსემბურგი:** ჟუბერი, ბიგარდი (46. ლომბარდელი), ჰოფმანი, შტრასერი, ბეტმერი, კინტციგერი, მუტჩი, პეიალი (64. ლა მოტა ალვეში), პეტერსი, რემი, კოლეტი (79. საგრამოლა).

**ალბანეთი:** ბეკაი, კური, დალკუ, დედე, ჰაქსი, კანა, მუკა (77. ქსაფა), სკელა (60. დურო), ბოგდანი, ბუში (67. ბერიშა), კაპლანი.

**გოლები:** 0:1 სკელა (25), 0:2 კაპლანი (36), 0:3 კაპლანი (72)

**მაყურებელი:** 4 325

### ბულგარეთი-ბელარუსი 2:1

**ბულგარეთი:** ივანკოვი, კიშიშევი, ტომაშიჩი, ტუნჩევი, ლუსიო ვაგნერი, ს. პეტროვი, ტელკიისკი, იანკოვი (90. სირაკოვი), იოვოვი (68. ანგელოვი), ბერბატოვი, მ. პეტროვი (84. მანჩევი).

**ბელარუსი:** ჟევნოვი, რადკოვი, შტანუკი, ტიგორევი, იურევიჩი, გლები, კალაშევი (44. კუტუზოვი), კორიტკო, კოვბა, სტრახანოვიჩი (74. გლები), ვასილიუკი (55. კორნილენკო).

**გოლები:** 0:1 ვასილიუკი (5-პენ), 1:1 მ. პეტროვი (10), 2:1 იანკოვი (40)

**მაყურებელი:** 10 227

### რუმინეთი-სლოვენია 2:0

**რუმინეთი:** ლობონტი, კონტრა, გოიანი, რატი, ტამაში, კივუ, კოდრეა (78. პლესანი), პეტრე (75. ნიკოლიტა), ზიკუ (60. როსუ), მარიცა, მუტუ.

**სლოვენია:** ჰანდანოვიჩი, ილიჩი, იოკიჩი (84. ფილეკოვიჩი0, მავრიჩი, მორეცი, ჩეხი, კომაცი, ვრშიჩი, ჟლოგარი (77. სუკალო), ბირსა (54. ნოვაკოვიჩი), ლავრიჩი.

**გოლები:** 1:0 მუტუ (40), 2:0 2:0 კონტრა (70)

**მაყურებელი:** 22 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რუმინეთი | 7 | 5 | 2 | 0 | 14-4 | 17 |
| 2. ბულგარეთი | 7 | 4 | 3 | 0 | 11-4 | 15 |
| 3. ჰოლანდია | 6 | 4 | 2 | 0 | 8-2 | 14 |
| 4. ალბანეთი | 7 | 2 | 3 | 2 | 8-6 | 9 |
| 5. ბელარუსი | 7 | 2 | 1 | 4 | 10-15 | 7 |
| 6. სლოვენია | 7 | 1 | 1 | 5 | 5-12 | 4 |
| 7. ლუქსემბურგი | 7 | 0 | 0 | 7 | 1-14 | 0 |

მომდევნო ტური. 8 სექტემბერი. ბელარუსი-რუმინეთი, ჰოლანდია-ბულგარეთი, ლუქსემბურგი-სლოვენია

## ამხანაგური მატჩი

### ტაილანდი-ჰოლანდია 1:3

**ჰოლანდია:** ტიმერი, დე კლერი (75. ჰუნტელაარი), ჰეიტინგა, მატიისენი, მელხიოტი (46. იალიენსი), დე ზეუვი (75. ენგელაარი), ლანდზაატი (61. დე იონგი), სნეიდერი, ვან დერ ვაარტი, კუიტი (61. კასტელენი), სლორი (46. ვენეგოორ ოფ ჰესელინკი).

**გოლები:** 0:1 ვან დერ ვაარტი (4), 0:2 ჰეიტინგა (41), 0:3 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (58), 1:3 შპირანი (66)

**მაყურებელი:** 20 000



ოუენს პოომმა აული


საქართველოს სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ გალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეგანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა


ეროვნული ბიბლიოთეკა